ჭაბუკი ქირია

ტექსტები და ტესტური დავალებები

კითხვა/წერა

ქართული ენის შემსწავლელთათვის

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012

ქართულის ენის შესწავლის მსურველთა რიცხვი სულ უფრო იზრდება. ამასთან, აქტუალურობას არ კარგავს სასწავლო პროცესის ეფექტურობისთვის ხელშემწყობი სათანადო რესურსების შექმნის საკითხი; კრებულში მასალა შერჩეულია ენის შემსწავლელთა შესაძლო სხვადასხვა დონის გათვალისწინებით, ამასთან, პედაგოგს ეძლევა საშუალება დიფერენცირებულად და შემოქმედებითად მიუდგეს ამა თუ იმ კონკრეტულ სამუშაოს, დაამატოს აქტივობები, კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადოს სწავლების პროცესი.

ვფიქრობთ, გამოცემა დიდად წაადგება ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებით დაკავებულ პედაგოგებსა და, ცხადია, მათ მზარდ აუდიტორიას.

რედაქტორები

ფილ. დოქტ. **ქეთევან გოჩიტაშვილი**
ფილ. დოქტ. **ნინო ჭუმბურიძე**

ISBN

1. ოჯახი. ნათესაობა. ჩემი სახლი.

წაიკითხეთ ტექსტი.



მე და ჩემი ოჯახი

- გამარჯობა!
მე ვარ **სოსო.** მე მყავს დედა და მამა. დედაჩემს ჰქვია **მარიამი,** მამაჩემის სახელია **გივი.**
მე მყავს ცოლი და შვილები. მე მყავს სამი ბიჭი და ოთხი გოგო.
მე მყავს ერთი და, **ნანა.** ნანას ჰყავს ქმარი და ერთი გოგო.
ჩემს ძმას, **ზურას,** ჰყავს ცოლი და ორი ბიჭი.

უპასუხეთ კითხვებს:

რამდენი შვილი ჰყავს სოსოს?	
რამდენი და-ძმა ჰყავს სოსოს?	
რა ჰქვია სოსოს დას?	
რა ჰქვია სოსოს ძმას?	
ვის ჰყავს ერთი გოგო?	
ვის ჰყავს ორი ბიჭი?	
ვის არ ჰყავს გოგო?	
რამდენი ძმა ჰყავს ნანას?	
ვის ჰყავს შვიდი შვილი?	
ვისი ძმაა ზურა?	
რამდენი შვილიშვილი ჰყავთ მარიამს და გივის?	
რამდენი დისშვილი ჰყავს ზურას?	
რამდენი ძმისშვილი ჰყავს ნანას?	

წაიკითხეთ ტექსტი.

* * *

ვაჟიშვილის, ძმის, ბიძაშვილის, მამიდაშვილის, დეიდაშვილის *ცოლს* **რძალი** ჰქვია, ხოლო ქალიშვილის, დის, ბიძაშვილის, მამიდაშვილის, დეიდაშვილის *ქმარს* ჰქვია **სიძე.** ქმრის ძმას ჰქვია **მაზლი,** დას კი – **მული.** ცოლის *ძმას* ჰქვია **ცოლისძმა,** ცოლის *დას* კი – **ცოლისდა.**

დების ქმრებს ერთმანეთისთვის ჰქვიათ **ქვისლები.**

ქმრის *დედას* ჰქვია **დედამთილი,** ხოლო ქმრის *მამას* – **მამამთილი.**

ცოლის *დედას* ჰქვია **სიდედრი,** ხოლო *მამას* – **სიმამრი.**

ვაჟიშვილის ძმის ბიძაშვილის მამიდაშვილის დეიდაშვილის } ცოლი = **რძალი**	ქალიშვილის ძმის ბიძაშვილის მამიდაშვილის დეიდაშვილის } ქმარი = **სიძე**

წაიკითხეთ ტექსტი.

ჩემი ოჯახი და ნათესავები

მე მყავს დედა და მამა. მე მათი შვილი ვარ. მე მყავს ორი **ბებია** და ორი **პაპა.** დედაჩემის დედა ჩემი ბებიაა. ასევე ბებიაა ჩემთვის მამაჩემის დედა. დედაჩემის მამა ჩემი პაპაა. პაპას სხვანაირად **ბაბუასაც** ეძახიან. მამაჩემის მამაც ჩემთვის პაპა ანუ ბაბუაა.

მე მყავს ერთი **და** და ერთი **ძმა.** მე უფროსი **შვილი** ვარ. შუათანა ჩემი ძმაა, ხოლო უმცროსი კი ჩემი და.

დედაჩემის ძმა ჩემი **ბიძაა,** ხოლო და – **დეიდა.** მამაჩემის ძმაც ბიძაა, და კი – **მამიდა.**

მე მყავს **ბიძაშვილები, დეიდაშვილები** და ერთი **მამიდაშვილი.**

ჩემი ბიძაშვილები, სანდრო და ლევანი, ჯერ პატარები არიან, სკოლაში დადიან. სანდრო მეოთხე კლასშია, ლევანი _ მეხუთეში.

ჩემი **დეიდაშვილები,** ნანა და ზურა, ჩემზე უფროსები არიან. ნანა გათხოვილია. მისი **მეუღლე** სტომატოლოგია. მათ ჰყავთ სამი შვილი: ორი **ვაჟიშვილი** და ერთი **ქალიშვილი.** ნანას **დედამთილი** და **მამამთილი** პენსიონერები არიან. ზურაც დაოჯახებულია. მის **ცოლს** ჰქვია ლია. მათ ჰყავთ ორი ქალიშვილი. ზურას **სიდედრი** ჰყავს, **სიმამრი** _ არა.

ჩემი მამიდაშვილი **დედისერთაა,** მას არ ჰყავს არც და და არც ძმა.

ბებიაჩემს ჰყავს სამი შვილი, ცხრა **შვილიშვილი** და ორი **შვილთაშვილი.** ჩვენ მისი **შთამომავლები** ვართ.

ქმრის { ძმა - მაზლი
და - მული
დედა - დედამთილი
მამა - მამამთილი

ცოლის { ძმა - ცოლისძმა
და - ცოლისდა
დედა - სიდედრი
მამა - სიმამრი

ბიძა { დედის ძმა
მამის ძმა
დეიდის ქმარი
მამიდის ქმარი

❖ შემოხაზეთ სწორი პასუხები

I. **დის ქმარი არის ჩემი:**
(1) ბაბუა
(2) სიძე
(3) მამამთილი
(4) მაზლი

II. **დედაჩემის მაზლი არის ჩემი:**
(1) ძმა
(2) ბიძა
(3) ბიძაშვილი
(4) დეიდაშვილი

III. **დედაჩემის მული არის ჩემი:**
(1) დეიდა
(2) და
(3) მამიდა
(4) ბიცოლა

IV. **ძმის ცოლი არის ჩემი:**
(1) დეიდა
(2) რძალი
(3) მული
(4) დედამთილი

V. **დედაჩემის დედამთილი არის ჩემი:**
(1) ბიცოლა
(2) ბებია
(3) დეიდა
(4) მამიდა

VI. **დედაჩემის მამამთილი არის ჩემი:**
(1) ბაბუა
(2) ბიძა
(3) ბიძაშვილი
(4) მაზლი

VII. **მამაჩემის სიმამრი არის ჩემი:**
(1) ბიძა
(2) ბაბუა
(3) სიძე
(4) ცოლისძმა

VIII. **მამაჩემის სიდედრი არის ჩემი:**
(1) ბიცოლა
(2) დეიდა
(3) ბებია
(4) მამიდა

IX. **ქმრის მამას ჰქვია:**
(1) სიმამრი
(2) მამამთილი
(3) ბიძა
(4) ბაბუა

X. **ქმრის დედას ჰქვია:**
(1) დეიდა
(2) დედამთილი
(3) სიდედრი
(4) მამიდა

XI. **დეიდაჩემის ქმარი არის:**
(1) მამაჩემის სიმამრი
(2) მამაჩემის ბიძა
(3) მამაჩემის ქვისლი
(4) მამაჩემის ბაბუა

XII. **ცოლის მამას ჰქვია:**
(1) მამამთილი
(2) ბაბუა
(3) ბიძა
(4) სიმამრი

XIII. **ცოლის დედას ჰქვია:**
(1) სიდედრი
(2) დეიდა
(3) დედამთილი
(4) ბიცოლა

XIV. **დედაჩემის დედა არის ჩემი:**
(1) მამიდა
(2) ბებია
(3) დეიდა
(4) ბიცოლა

XV. **მამაჩემის მამა არის ჩემი:**
(1) ბიძა
(2) ბაბუა
(3) მაზლი
(4) ბიძაშვილი

XVI. **ბიძაჩემის ცოლი არის ჩემი:**
(1) დეიდა
(2) მამიდა
(3) ბიცოლა
(4) მამიდაშვილი

XVII. **რამდენი მამიდაშვილი მყავს?**
(1) სამი
(2) ოთხი
(3) ერთი
(4) ორი

XVIII. **კბილის ექიმი არის**
(1). ჩემი დეიდაშვილის ქმარი
(2). ჩემი ბიძაშვილის ქმარი
(3). ჩემი მამიდაშვილის ქმარი

ბებია = დედის დედა, მამის დედა
ბაბუა, პაპა = დედის მამა, მამის მამა

ჩემი ბებია = **ბებიაჩემი**
ჩემი ბაბუა/პაპა = **ბაბუაჩემი/პაპაჩემი**
ჩემი დედა = **დედაჩემი**
ჩემი მამა = **მამაჩემი**
ჩემი ბიძა = **ბიძაჩემი**
ჩემი ბიცოლა = **ბიცოლაჩემი**
ჩემი მამიდა = **მამიდაჩემი**
ჩემი დეიდა = **დეიდაჩემი**

ჩემი ძმა ≠ ძმაჩემი
ჩემი და ≠ დაჩემი

- **ჩაწერეთ მრავალწერტილების ადგილას საჭირო სიტყვები:**

ბაბუაჩემი, მამაჩემის .....
ბიძაჩემი, მამაჩემის .....
დეიდაჩემი, დედაჩემის .....
მამიდაჩემი, მამაჩემის .....

გაიცანით, ეს არის: ბებიაჩემი, დედაჩემის .....

ჩემი ბიცოლა, ბიძაჩემის .....
ჩემი სიდედრი, ჩემი ..... დედა
ჩემი სიმამრი, ჩემი ..... მამა

მე მყავს მშობლები: დედა და .....
მე მყავს ორი ძმა. ჩემს მშობლებს ჰყავთ ..... შვილი.

დაწერეთ თემა: ჩემი ოჯახი.

წაიკითხეთ ტექსტები.

ტრაგიკული ნათესაობა

ერთმა ფილადელფიელმა მოქალაქემ თავი მოიკლა და შემდეგი შინაარსის წერილი დატოვა: „მე შევირთე ქვრივი ქალი, რომელსაც მოზრდილი ქალიშვილი ჰყავდა. მამაჩემმა შეიყვარა იგი და ცოლად შეირთო. ასე რომ, მამაჩემი ჩემი სიძე გახდა ჩემი, ხოლო გერი – დედაჩემი, რადგან ის მამაჩემის მეუღლე იყო.

ჩემს ცოლს შეეძინა ვაჟი, რომელიც მამაჩემისთვის ცოლისძმა იყო, ჩემთვის კი – ბიძა, როგორც დედის ძმა.

მამაჩემის ცოლსაც შეეძინა ვაჟი. იგი, რა თქმა უნდა, ჩემი ძმაც იყო და შვილიშვილიც, როგორც ჩემი ქალიშვილის ვაჟი.

მაშასადამე, ჩემი ცოლი გახდა ჩემი ბებია, როგორც დედაჩემის, ანუ ჩემი გერის დედა, მე კი ერთსა და იმავე დროს ჩემი ცოლისათვის ქმარიც ვარ და შვილიშვილიც. და რადგან რომელიმე ადამიანის ბებიის ქმარი ამავდროულად ამ ადამიანის ბაბუაც არის, გამოდის, რომ მე ჩემი თავის ბაბუაც ვყოფილვარ.

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, იმედია, არავინ იკითხავს, თუ რატომ მოვიკალი თავი“.

მარკ ტვენი

* * *

მოხუცი შედის მაღაზიაში:

- ორი პიჯაკი მინდა, თუ შეიძლება.
- ბაბუ, რად გინდა ორი პიჯაკი, ერთი იყიდე, სიცოცხლის ბოლომდე გაგიძლებს.
- ერთი ჩემთვის მინდა, მეორე - მამაჩემისთვის.
- მამაშენისთვის? მამაშენი ხომ 100 წლისა იქნება...
- მართალი ხართ. გვინდა ბაბუას ქორწილში კარგად გამოვიყურებოდეთ.
- მოიცა, მამა თუ 100 წლისაა, ბაბუა 135-ის მაინც იქნება და ცოლის მოყვანა უნდა?
- არა, თვითონ კი არ უნდა, მაგრამ მშობლები აძალებენ.

ქვრივი = ვისაც მეუღლე გარდაეცვალა
გერი = მეუღლის შვილი
მოზრდილი = დიდი
ცოლად შეირთო = ცოლად მოიყვანა
პიჯაკი = კოსტუმი
გაგიძლებს = გეყოფა
ცოლის მოყვანა = ცოლის შერთვა = დაოჯახება
აძალებენ = ძალას ატანენ = აიძულებენ

❖ **ამოწერეთ ორივე ტექსტიდან *ნათესაობის* აღმნიშვნელი სიტყვები.**

_____

_____

❖ **ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.**

_____

_____

წაიკითხეთ ტექსტი.

სიამის ტყუპები

ტერმინი **სიამის ტყუპები** პირველად გამოიყენეს **სიამში, ტაილანდში** დაბადებული ტყუპებისთვის 1811 წელს. **ენგი** და **ჩანგი,** რომლებიც მკერდით იყნენ შეერთებულები, გაემგზავრნენ შეერთებულ შტატებში და დაიწყეს მუშაობა ცირკში.

სიამის ტყუპები ძალიან იშვიათი მოვლენაა და მხოლოდ ერთი შემთხვევა ფიქსირდება 50,000-100,000 დაბადებიდან. უმეტესად ასეთები არიან ინდური ან აფრიკული წარმომავლობის გოგონები.

ისტორიულად ყველაზე ადრინდელი შემთხვევა დაფიქსირდა ინგლისში 1100 წელს.

პირველი წარმატებული ოპერაცია სიამის ტყუპების გასაყოფად ჩატარდა 1953 წელს; ქირურგიული ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ტყუპებს არა აქვთ რაიმე საზიარო ორგანო.

უპასუხეთ კითხვებს.

- **საიდან მოდის ტერმინი სიამის ტყუპები?**

- **სად დაიბადნენ ენგი და ჩანგი?**

- **როდის დაიბადა ენგი?**

- **როდის დაიბადა ჩანგი?**

- **სად მუშაობდნენ ისინი?**

- **ისტორიულად რომელი წლიდანაა დაფიქსირებული სიამის ტყუპების არსებობა?**

- **რა შემთხვევაში შეიძლება სიამის ტყუპების გაყოფა ოპერაციის საშუალებით?**

აღწერეთ სურათი: „ბედნიერი ოჯახი“.

სარეკომენდაციო/დამხმარე ლექსიკა და ფრაზები: ოჯახი, დედა, მამა, შვილები, ბავშვები, გოგო, ბიჭი, პატარა, საწოლი, ერთი, ყველა, ერთად, წევს/წვანან, სძინავს/სძინავთ, სიყვარული, უყვარს/უყვართ, საბანი, ლეიბი, ბალიში, ქოლგა, წვიმა/აწვიმს, ღარიბი, ღუმელი, ძაღლი, ქათამი, საწოლის ფეხი.

წაიკითხეთ ტექსტი.

ყველაზე დიდი ოჯახი მსოფლიოში

მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახი ცხოვრობს ინდოეთში. **ზიონა ჩანა** ამ რეკორდის მფლობელია. 67 წლის ინდოელს უზარმაზარი ოჯახი აქვს: მას ჰყავს 39 ცოლი, 98 შვილი, 14 რძალი, 33 შვილიშვილი და ყველანი ერთ სახლში ცხოვრობენ.

ზიონა ჩანას 4-სართულიანი სახლი მდებარეობს ინდოეთის პროვინცია **მიზორამში,** სოფელ **ბაკტვანგში.**

ოჯახის უფროსი მთავრობისაგან არანაირ დახმარებას არ იღებს და ამაზე არცა აქვს პრეტენზია.

მისი თქმით, ის ბედნიერია, რომ ამოდენა ოჯახის უფროსია. სახლში არის, როგორც ამბობენ, „სამხედრო რეჟიმი“.

ყველაზე უფროსი ცოლი **ზატიანგი** სახლის მმართველია; ის განკარგულებებს აძლევს სხვა ცოლებს, თუ ვინ რა უნდა გააკეთოს.

ზიონა ჩანას ოჯახს აქვს საკუთარი სკოლა, საბავშვო მოედანი, სახელოსნო, ფრინველებისა და ღორების ფერმა და ბოსტანი.

მთელი ოჯახის ერთი სადილისთვის საჭიროა 30 ქათამი, 60 კგ კარტოფილი, 90 კგ ბრინჯი.

ზიონას 4-სართულიან სახლში 100-მდე ოთახია. ახალგაზრდა ცოლები ცხოვრობენ ქმრის საძინებლის ახლოს მდებარე ოთახებში და მორიგეობით სტუმრობენ მას, ხოლო ასაკიანი ცოლები კი საერთო საცხოვრებლისმაგვარ ოთახებში ცხოვრობენ. გასულ წელს ცოლების რიცხვი 10-ით გაიზარდა.

უზარმაზარი = ძალიან დიდი	**ასაკიანი = ხნიერი = მოხუცი = ხანდაზმული**
განკარგულება = ბრძანება	**რიცხვი = რაოდენობა**
ასამდე = დაახლოებით ასი	**ამოდენა = ამხელა**
-მდე = დაახლოებით	**მორიგეობით = რიგრიგობით**

❖ **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

❖ **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** შვილი, რძალი, სახლი, სადილი, ბოსტანი

_____

_____

_____

_____

_____

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხი.**

I. **სად ცხოვრობს მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახი?**
   (1) ჩინეთში
   (2) ინდოეთში
   (3) არაბეთში
   (4) აზერბაიჯანში

II. **რამდენი წევრისგან შედგება ზიონა ჩანას ოჯახი?**
   (1) ას ოთხმოცი წევრისგან
   (2) ას ოთხმოცდახუთი წევრისგან
   (3) ას სამოცდაერთი წევრისგან
   (4) ორას ოთხმოცდაერთი წევრისგან

III. **რამდენი შვილი ჰყავს ზიონას?**
   (1) ოცდათოთხმეტი
   (2) ორმოცდათოთხმეტი
   (3) ოთხმოცდათვრამეტი
   (4) სამოცდათოთხმეტი

IV. **რამდენი შვილიშვილი ჰყავს ზიონას?**
   (1) ოცდათოთხმეტი
   (2) ორმოცდათოთხმეტი
   (3) ოცდაცამეტი
   (4) სამოცდათოთხმეტი

V. **რამდენი ვაჟიშვილი ჰყავს ზიონა ჩანას?**

(1) ოთხმოცდათოთხმეტი
(2) თოთხმეტი
(3) ტექსტში არ ჩანს
(4) ოცდაცამეტი

VI. **რამდენი მეუღლე ჰყავს ზიონა ჩანას?**

(1) ცხრამეტი
(2) ოცდაცხრამეტი
(3) ორმოცდაცხრამეტი
(4) სამოცდაცხრამეტი

VII. **ზიონას რამდენ შვილს ჰყავს ცოლი?**

(1) ოცდაოთხს
(2) თოთხმეტს
(3) ოთხს
(4) ცხრამეტს

VIII. **რამდენი რძალი ჰყავს ზიონა ჩანას?**

(1) შვიდი
(2) თოთხმეტი
(3) ტექსტში არ ჩანს
(4) ოცდაცამეტი

წაიკითხეთ ტექსტი.

წერილი ჯერალდინას

ძვირფასო! ახლა ღამეა. ახალი წლის ღამე. სძინავს შენს და-ძმას. დედაშენსაც კი ჩაეძინა. შენ ისე შორს ხარ ჩემგან... შორს, ზღაპრულ პარიზში. დიდებულ სცენაზე ცეკვავ. ვიცი, ამ ლამაზ სპექტაკლში მზეთუნახავის როლს ასრულებ. იყავი მზეთუნახავი და იცეკვე. იყავი ვარსკვლავი და იკაშკაშე. მაგრამ თუკი მაყურებლის ოვაციებმა დაგათროს, დაჯექი სადმე კუთხეში და ჩემი წერილი წაიკითხე, ყური მიუგდე მამაშენის ხმას. მე მამაშენი ვარ ჯერალდინა! მე ჩარლი ჩაპლინი ვარ, ჩარლი ჩაპლინი!

... იცი კი, რამდენჯერ ღამე გამითევია შენს ბალიშთან? სულ ზღაპრებს გიყვებოდი!

ჰო, მე ჩარლი ვარ! ბებერი მასხარა. დღეს შენი ჯერია. იცეკვე! მე დახეული შარვლით ვცეკვავდი, შენ პრინცესის სამოსი გაცვია.

მაგრამ ხანდახან მიწაზეც დაეშვი! ... ჯერალდინა! შუაღამისას იმ დიდებული დარბაზიდან რომ გამოხვალ, ხანდახან მეტროში ჩადი. ქალაქი დაათვალიერე, იარე ფეხით ან ავტობუსით. ხალხს დააკვირდი! და თუნდაც დღეში ერთხელ მაინც შენს თავს უთხარი: „მეც ერთ-ერთი ამათგანი ვარ!“

ჩარლი წავა, ჯერალდინა, და შენ იცოცხლებ... მე არ მინდა, ოდესმე სიღარიბე გამოსცადო. ამ წერილთან ერთად გიგზავნი ჩეკის წიგნაკს - ხარჯე, რამდენსაც მოისურვებ, ოღონდ გახსოვდეს: ორ ფრანკს რომ დახარჯავ, მესამე სხვას მიეცი, ვისაც ის ერთი ფრანკიც არა აქვს. მისი პოვნა არ გაგიჭირდება.

ჩარლი დაბერდა, ჯერალდინა! მე მინდა, რომ არ დაივიწყო მამაშენი ჩარლი. მე ანგელოზი არ ვყოფილვარ, მაგრამ მუდამ ვცდილობდი, ადამიანი ვყოფილიყავი. ეცადე შენც.

გკოცნი, მიყვარხარ!

მზეთუნახავი = ძალიან ლამაზი ქალი	**ბებერი = მოხუცი = ხნიერი**
ყური მიუგდე = მოუსმინე	**სიღარიბე = გაჭირვება**
ჯერი = რიგი	**მასხარა = კლოუნი**
ოვაციია = ძლიერი ტაში	**სამოსი = ტანსაცმელი**

უპასუხეთ კითხვებს.

- **როგორი მოცეკვავეა ჯერალდინა?** (პასუხი დაასაბუთეთ)

- **ლამაზია ჯერალდინა?** (პასუხი დაასაბუთეთ)

- **ჯერალდინა სწავლობს თუ მუშაობს?** (პასუხი დაასაბუთეთ)

- **მდიდარია თუ ღარიბი ჩარლი ამ წერილის მიხედვით?** (პასუხი დაასაბუთეთ)

- **პარიზში ბევრი ღარიბი ადამიანი ცხოვრობს. საიდან ჩანს ეს?**

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. **ვის სწერს ჩარლი წერილს?**
(1) შვილს
(2) ცოლს
(3) დეიდას
(4) დას

II. **ვინ არის წერილის ავტორი?**
(1) ჯერალდინას ქმარი
(2) ჯერალდინას მამა
(3) ჯერალდინას ძმა
(4) ჯერალდინას შვილი

III. **ჩარლი წერილს წერს:**
(1) 26 მაისს
(2) 4 ივლისს
(3) 8 მარტს
(4) 1 იანვარს

IV. **ჯერალდინა არის:**
(1) პოეტი
(2) მომღერალი
(3) მოცეკვავე
(4) მოქანდაკე

V. **სად ცხოვრობს ჯერალდინა?**

(1) ესპანეთში
(2) ინგლისში
(3) საფრანგეთში
(4) იტალიაში

VI. **რამდენი შვილი ჰყავს ჩარლის?**

(1) ორი
(2) სამი
(3) ხუთი
(4) ერთი

VII. **რას ნიშნავს სიტყვები - „ ჩარლი წავა“ ამ კონტექსტში: ჩარლი წავა, ჯერალდინა, და შენ იცოცხლებ...**

(1) ჩარლი გასტროლებზე წავა
(2) ჩარლი ოჯახს მიატოვებს
(3) ჩარლი იმოგზაურებს
(4) ჩარლი მოკვდება

VIII. **რატომ ურჩევს ჩარლი შვილს, რომ მეტროში ჩავიდეს?**

(1) იმიტომ, რომ მეტროში ზაფხულში გრილა, ზამთარში თბილა.
(2) იმიტომ, რომ მეტრო ყველაზე სწრაფი ტრანსპორტია
(3) იმიტომ, რომ მეტროში უბრალო ხალხს ნახავს
(4) იმიტომ, რომ მეტრო უსაფრთხო ტრანსპორტია

IX. **ცოცხლებზე ცოტას ლაპარაკობენ, - ე. ი. ვისზე ლაპარაკობენ ბევრს?**

(1) ნაცნობებზე
(2) გარდაცვლილებზე
(3) მტრებზე
(4) მეგობრებზე

(X) **რას ნიშნავს გამოთქმა: ხანდახან მიწაზეც დაეშვი!**

(1) ნურაფრის ნუ შეგეშინდება
(2) თავმდაბალი იყავი
(3) გაბედულად იმოქმედე
(4) იყავი პრინციპული

❖ **დაახასიათეთ ჩარლი ჩაპლინი /+/ და /-/ სიმბოლოების საშუალებით.**

მზრუნველი მამა	
მედიდური	
თბილი	
ძუნწი	
მოსიყვარულე მამა	
ხარბი	
ამაყი	
მდიდარი	
კეთილი	
ჰუმანური	
მკაცრი	
გულუხვი	

სნეჟანა სუში ხატავს ილუსტრაციებს მამისა და ქალიშვილის განსაკუთრებული, ფაქიზი ურთიერთობის შესახებ.
ამ ნამუშევრებში ჩანს მამის საოცარი სითბო და მზრუნველობა...

აღწერეთ სურათები.

სურათი 1.

სურათი 2.

სარეკომენდაციო/დამხმარე ლექსიკა და ფრაზები:
დიდი/ძალიან დიდი, მსუქანი, გოლიათი, პატარა/პაწაწინა/ძალიან პატარა, საყვარელი, სიყვარული, სითბო, მზრუნველი, საოცარი, ფაქიზი, უყვარს, მამა, გოგო/გოგონა/შვილი/ქალიშვილი, თმა, ნაწნავი, სკამი/სავარძელი, საწოლი, საბანი, ლეიბი, ზეწარი, პიჟამა, შარვალი, ჩუსტები/ფლოსტები, მაისური, ზის, წევს/წვანან, სძინავს/სძინავთ, ბალიში, ნაპირზე/კიდეზე, შუაში, ადგილი, მუცელი/ღიპი, უყურებს...

წაიკითხეთ ტექსტი.

ორი ძმა

(სულხან-საბა ორბელიანის იგავის მიხედვით)

იყო ორი ძმა. უფროსს ცოლ-შვილი ჰყავდა. უმცროსი კი უცოლო იყო. ძმები გაიყარნენ და რაც კი ჰქონდათ, ყველაფერი შუაზე გაიყვეს. გაყოფის შემდეგ ერთი ძმის პურის ორმო ერთ მხარეს იყო, მეორისა – მეორე მხარეს. უფროსი ამოიღებდა თავისი ორმოდან პურს, უმცროსი ძმის ორმოში ჩაყრიდა და ამბობდა:

_ მე ცოლ-შვილი მყავს, მარტო არა ვარ, მეხმარებიან; ჩემს ძმას არავინ არა ჰყავს, ეს მისი იყოს, მან ჭამოსო.

უმცროსი ძმაც ამოიღებდა თავისი ორმოდან პურს და უფროსი ძმის ორმოში ჩაყრიდა.

_ მე მარტო ვარ და ცოტა საჭმელი მჭირდება, ჩემი ძმა კი ოჯახის პატრონია, მას უფრო მეტი სჭირდება და მისი იყოსო.

უპასუხეთ კითხვებს:

- **რომელი ძმა იყო ცოლიანი? პასუხი დაასაბუთეთ** (წარმოადგინეთ სათანადო ადგილი ტექსტიდან).

_____

_____

_____

- **რომელ ძმას არ ჰყავდა მეუღლე? პასუხი დაასაბუთეთ** (წარმოადგინეთ სათანადო ადგილი ტექსტიდან).

_____

_____

_____

- **რომელ ძმას დარჩა გაყოფის დროს მეტი ქონება?** პასუხი დაასაბუთეთ (წარმოადგინეთ სათანადო ადგილი ტექსტიდან).

_____

_____

_____

- **რომელი ძმა იყო უფრო კეთილი? პასუხი დაასაბუთეთ** (წარმოადგინეთ სათანადო ადგილი ტექსტიდან).

_____

_____

_____

ჩამოთვლილი თემებიდან შეარჩიეთ და დაწერეთ ერთ–ერთი (თქვენი სურვილის მიხედვით):

ჩემი ძმა
ჩემი და
ჩემი ბიძაშვილი
ჩემი მამიდაშვილი
ჩემი დეიდაშვილი

❖ ***წაიკითხეთ ტექსტი.***

* * *

შვილიშვილი პაპას ეკითხება:
_ პაპა, მართალია, რომ ცუდის სამაგიერო სიკეთით უნდა გადაიხადო?
_ ჰო, შვილო.
_ მაშინ ნაყინისთვის ფული მომეცი, შენი სათვალე გავტეხე.

- **დაასათაურეთ ტექსტი.**

- **დაახასიათეთ შვილიშვილი.**

❖ *წაიკითხეთ ტექსტი.*

* * *

ერთ კაცს ორი ცოლი ჰყავდა: ერთი ახალგაზრდა და მეორე - ხნიერი. როცა კაცს ჭაღარა შეერია, ახალგაზრდა ცოლი თეთრ თმას აგლეჯდა, ხნიერი კი - შავს. მალე იმ კაცს ერთი თმა აღარ შერჩა თავზე, არც თეთრი და არც შავი.

- **დაასათაურეთ ტექსტი.**

- **რატომ აგლეჯდა ქმარს თეთრ თმას ახალგაზრდა ცოლი?**

- **რატომ აგლეჯდა ქმარს შავ თმას ხნიერი ცოლი?**

- **რატომ გამელოტდა კაცი?**

- როგორი სიძე გყავს?
- უფ, გადასარევი! არაფერს აკლებს ჩემს გოგოს. კარგი ჩაცმა, ძვირფასეულობა, მოგზაურობა, ყველაფერი.
- და რძალი?
- ჰმ, შეჭამა ჩემი შვილი. ეს უყიდე, ის უყიდე. ზღვაზე წაიყვანე...

- **დაწერეთ თქვენი კომენტარი.**

სახლი...



დაწერეთ თემა: ჩემი სახლი/ჩემი ეზო

2. ადამიანის სხეულის ნაწილები.

ადამიანის სხეულის ნაწილების ჩხუბი

(იაკობ გოგებაშვილის მიხედვით)

ერთხელ ადამიანის სხეულის ნაწილებმა ჩხუბი დაიწყეს.

ფეხებმა თქვეს:

– აღარ გვინდა თქვენი ტარება. თქვენ თვითონ იარეთ!

ხელებმა თქვეს:

– აღარ გვინდა ამდენი მუშაობა თქვენთვის! თქვენ თვითონ იმუშავეთ!

პირმა თქვა:

– თქვენ თვითონ ჭამეთ!

თვალებმა თქვეს:

– აღარ გვინდა ყურება!

ყურებმაც უარი თქვეს სმენაზე.

ასე შეწყვიტეს ერთმანეთის სამსახური სხეულის ნაწილებმა. მაგრამ ყველა ნაწილი დასუსტდა და სხეულმა სიკვდილი დაიწყო. მაშინ მიხვდნენ ისინი, რომ ჩხუბით ერთმანეთს დაღუპავდნენ. შერიგდნენ და დაიწყეს ერთმანეთის დახმარება.

სხეული ისევ ჯანმრთელი და ღონიერი გახდა.

უპასუხეთ კითხვებს:

- **სხეულის რომელმა ნაწილმა დაიწყო ჩხუბი?**

- **რაზე თქვეს უარი ფეხებმა?**

- **რაზე თქვეს უარი ხელებმა?**

- **როგორი გახდა ადამიანი იმის გამო, რომ ყურებმა უარი თქვეს მოსმენაზე?**

- **როგორი გახდა ადამიანი იმის გამო, რომ თვალებმა უარი თქვეს ყურებაზე?**

- **რა შედეგი მოჰყვა სხეულის ნაწილების ჩხუბს?**

- **რას გვასწავლის ეს ტექსტი?**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

მიუწერეთ სათანადო სიტყვები. გამოიყენეთ ლექსიკონი.



ეს არის დიდი ჰოლანდიელი მხატვრის - ვინსენტ ვან გოგის ავტოპორტრეტი.





მიუწერეთ სათანადო სიტყვები. გამოიყენეთ ლექსიკონი.

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. ეს არის:

(1) ვინსენტ ვან გოგის ძმის სურათი
(2) ვინსენტ ვან გოგის მამის სურათი
(3) ვინსენტ ვან გოგის სურათი
(4) ვინსენტ ვან გოგის მეზობლის სურათი

II. ვინსენტ ვან გოგი იყო:

(1) ბრაზილიიდან
(2) ჰონდურასიდან
(3) ჰაიტიდან
(4) ჰოლანდიიდან

❖ **აღწერეთ ეს სურათი.**

სარეკომენდაციო/დამხმარე ლექსიკა: თმა/თმები, წვერი/წვერები, ულვაში/ულვაშები, შუბლი, ცხვირი, საფეთქელი, ყური, ნიკაპი, თვალი, გუგა, ენა, კბილი, წარბი, წამწამი, ტანსაცმელი, ღილი, თეთრი, ნაცრისფერი, გახსნილი, სერიოზული, ახალგაზრდა, მოხუცი, შუა ხნის, ასაკი, მზერა, საკუთარი/თავისი, ნახატი/სურათი, ვხედავთ... მძიმე ცხოვრება...

წაიკითხეთ ტექსტი.

* * *

გიორგის ძალიან უყვარს ხილი, ტკბილეული. ბებიას მოსვენებას არ აძლევს:

- ბებო, მომე ვაშლი! ბევრი ვაშლი მინდა!

- ბებო, მომე თხილი! ბევრი, ბევრი თხილი! ბევრი კანფეტი...

ერთხელ ბებიამ გიორგის უთხრა:

- გიორგი, არ მომწონს, ასეთი ხარბი რომ ხარ. ყველაფერი ბევრი გინდა. აბა, ვნახოთ, რა გაქვს ბევრი!

- თავი ერთი გაქვს!

- ცხვირი - ერთი!

- პირი - ერთი!

- შუბლი - ერთი!

- თვალი - ორი!

- ხელი - ორი!

- ფეხი - ორი!

გიორგი ჩაფიქრებული უსმენდა.

- ბებო, შენ დაგავიწყდა, რომ თმა მაქვს ძალიან ბევრი! – უთხრა გიორგიმ ბებოს. ბებიას გაეცინა და ბევრი თხილი მისცა.

❖ **დაასათაურეთ ტექსტი.**

❖ **უპასუხეთ კითხვებს:**

- **რომელ სტრიქონებში ჩანს, რომ გიორგი გონიერი ბავშვია?**

ა) 1-5 ბ) 2-7 გ) 15-16

- **კიდევ რა აქვს გიორგის ერთი?**

- **კიდევ რა აქვს გიორგის ორი?**

❖ **დაახასიათეთ გიორგი.**

აღწერეთ თქვენი ერთ-ერთი კლასელის (ჯგუფელის, მეგობრის, ნაცნობის, მეზობლის, ნათესავის...) გარეგნობა.

„გამოჩენილი“ ადამიანები...

მსოფლიოში ყველაზე გრძელი ენა

კალიფორნიაში მცხოვრებ 21 წლის სტუდენტს, **ჩანელ ტაპერს** მსოფლიოში ყველაზე გრძელი ენა აქვს. გოგონას ენის სიგრძე 9.75 სანტიმეტრია.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ცხვირი

პლანეტაზე ყველაზე დიდი ცხვირის პატრონია თურქეთის მოქალაქე **მეჰმედ ოზირეკი:** მისი ცხვირის სიგრძე 8, 8 სანტიმეტრია.
მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დიდი ცხვირი ადამიანს იცავს მრავალი დაავადებისგან. ასე რომ, ზოგი ჭირი მარგებელია.

ყველაზე ბევრი თითი

2010 წელს დაბადებულ ინდოელ **აკშატ საკსენას** ხელებსა და ფეხებზე **34 თითი** ჰქონდა. აკშატი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ყველაზე ბევრი თითის პატრონი მსოფლიოში, თუმცა ცოტაოდენი ხნის წინ მას ოპერაცია ჩაუტარდა და რამდენიმე ზედმეტი თითი მოაჭრეს.

კუბელი **იოანდრი ჰარიდოს** მეტსახელია „ადამიანი 24 თითით“, - მას ხელებსა და ფეხებზე 6-6 თითი აქვს. კუბელი ძალიან ამაყობს თავისი თითებით, რადგან ის მისთვის შემოსავლის წყაროა. ჰარიდოს ტურისტები საკმაოდ კარგად უხდიან მასთან სურათის გადაღების სანაცვლოდ.

ყველაზე გრძელი ფრჩხილები

მიჩიგანელი **მელვინ ბუტის** (მარცხნივ) ფრჩხილების საერთო სიგრძე 9 მეტრი და 5 სმ-ია, **ლი რედმონდს** (მარჯვნივ) კი ფრჩხილები 1979 წლიდან არ დაუჭრია. მისი საერთო სიგრძე 8 მეტრი და 65 სმ-ი იყო მანამ, სანამ ავტოავარიაში არ დაკარგა თავისი „სიამაყე“.

ყველაზე დიდი ტერფები

ვენესუელელი **ჯეისონ ერნანდესი** 20 წლისაა. მას 40,1 სმ სიგრძის მარჯვენა, ხოლო 39,6 სმ სიგრძის მარცხენა ტერფი აქვს.

ყველაზე გრძელი თმა მსოფლიოში

ადამიანს, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე გრძელი თმა აქვს, ჰქვია ***ხიე ქიუპინგი.*** იგი თმას 1973 წლიდან (ამ დროს 13 წლის იყო) იზრდის; მისი თმის სიგრძეა 5.627 მეტრი, - ამის გამო შესულია გინესის წიგნში.

ყველაზე გრძელი კისერი

ყველაზე გრძელი კისერი 40 სანტიმეტრია. მისი მფლობელია ტაილანდელი ქალი **კეიანი.** კეიანის ტომის ქალები კისერზე აქვთ მოოქროვილი რგოლები, რათა კიდევ უფრო დაუგრძელდეთ კისერი, ამიტომ ამ ქალებს უწოდებენ ქალ ჟირაფებს. მათი ეს ტრადიცია რამდენიმე საუკუნეს ითვლის. ამ ტომის ქალების სიცოცხლის თითოეულ წელს ემატება თითო რგოლი.

- **ამოწერეთ უცნობი სიტყვები და განმარტეთ ლექსიკონის დახმარებით.**

- **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** ენა, ცხვირი, კისერი, ტერფი, თითი, თმა, ფრჩხილი.

❖ **უპასუხეთ კითხვებს:** ვისა აქვს:

- **ყველაზე გრძელი კისერი?**

- **ყველაზე გრძელი თმა?**

- **ყველაზე გრძელი ფრჩხილები?**

- **ყველაზე გრძელი ენა?**

- **ყველაზე დიდი ცხვირი?**

❖ **დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:**

მოქალაქე, დაავადებისგან, თითებით, რგოლები, ჩაუტარდა

ტომის ქალებს კისერზე აქვთ მოოქროვილი .....
ცოტაოდენი ხნის წინ მას ოპერაცია .....
ყველაზე დიდი ცხვირის პატრონია თურქეთის .....
კუბელი ძალიან ამაყობს თავისი .....
დიდი ცხვირი ადამიანს იცავს მრავალი .....

❖ **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. გინესის	უხდის
ბ. ჩაუტარდა	დაავადებისგან
გ. კარგად	წიგნი
დ. შემოსავლის	ენა
ე. გრძელი	წყარო
ვ. იცავს	ოპერაცია

3. ტანსაცმელი. ფეხსაცმელი

- მიუწერეთ სათანადო სიტყვები. გამოიყენეთ ლექსიკონი.

❖ **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** შარვალი, კაბა, ფეხსაცმელი, ქუდი, ჯემპრი, ქურქი, ქურთუკი, ჩექმა, სათვალე, ხალათი, ჩანთა, პიჯაკი, წინდა

წაიკითხეთ ტექსტები.

1. შარვლის ისტორიიდან

შარვლის ასაკის და წარმომავლობის დადგენას არქეოლოგები, ისტორიკოსები და ფილოლოგებიც კი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ.

საუკუნეების განმავლობაში შარვლის დიზაინი სწრაფად იცვლებოდა.

XV საუკუნეში ესპანეთში, ინგლისსა და საფრანგეთში პოპულარი იყო მოკლე, ვიწრო ან განიერი შარვლები. მათ დასამზადებლად აბრეშუმის ქსოვილს იყენებდნენ.

XVI საუკუნეში დიდებულთა „შარვლები“ ესპანეთში ბალიშებს დაემსგავსა, – შარვალს ტენიდნენ ბუმბულით.

საფრანგეთში მოდაში იყო მუხლებამდე სიგრძის **შოსები,** რომლებიც მეფის მუშკეტერებს ეცვათ.

XVII საუკუნეში, ეს შარვლები კიდევ უფრო დაგრძელდა და გაჩნდა მუხლს ქვემოთ შესაკრავი **კიულოტი,** რომლებიც ეცვათ არისტოკრატებს, სამხედროებს, უბრალო მოქალაქეებს, ვაჭრებსა და მუშებსაც კი.

კიულოტი სადღესასწაულო ტანსაცმლად ითვლებოდა, დღეს კი მხოლოდ ალპინისტებს აცვიათ.

ღარიბებს გრძელი, განიერი შარვლები – **პანტალონები** ეცვათ და ხშირად ამის გამო არისტოკრატები დასცინოდნენ მათ; მოგვიანებით ეს სტილი უკვე ნორმად იქცა სხვებისთვისაც.

XIX საუკუნეში გაჩნდა ნაკეცებიანი – უხეში, ძნელად დასაუთოვებელი ორტოტიანი სამოსი. სწორედ ეს სახეობაა ყველაზე უფრო დღევანდელი შარვლის მსგავსი.

...ერთხელ უელსის პრინცი ქუჩაში მიდიოდა და წვიმა წამოვიდა. შარვალი რომ არ დასვროდა, პრინცმა ტოტები აიკეცა... ცოტა ხანში მოდაში შემოვიდა ტოტებაკეცილი შარვლები...

XIX საუკუნეში გაჩნდა **ჯინსი.** ამავე პერიოდში კემბრიჯის სტუდენტებმა, რომლებიც წყლის სპორტს მისდევდნენ, გამოიგონეს მოკლეტოტიანი შარვალი - **შორტი.**

XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა **გალიფე** – მუხლებამდე ვიწრო, ზემოთ კი გაფართოებული შარვალი.

ინგლისში შეიქმნა შარვლის კიდევ ერთი სახეობა – **ბრიჯი,** რომელსაც მაღალ ჩექმასთან იცვამდნენ.

1940 წლიდან მოდაში შემოვიდა **ჯინსი**...

მას შემდეგ შარვლის დიზაინში ბევრი არაფერი შეცვლილა...

❖ **ამოწერეთ უცნობი სიტყვები და განმარტეთ ლექსიკონის დახმარებით.**

_____

_____

_____

_____

_____

უპასუხეთ კითხვებს:

- **როდის მოხდა ბოლო ცვლილება შარვლის დიზაინში?**

- **ვინ დაუდო სათავე ტოტებაკეცილი შარვლის მოდას?**

- **რასთან ერთად იცვამენ ბრიჯს?**

- **რა ერქვა ღარიბების შარვალს?**

- **რა ერქვა მუშკეტერების შარვალს?**

- **რა მსგავსებაა XVI საუკუნის ესპანელი დიდებულების შარვალსა და ბალიშს შორის?**

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები.**

I. **რომელ საუკუნეში გამოიგონეს შორტი?**
(1) მე-19
(2) მე-18
(3) მე-17
(4) მე-20

II. **ვინ გამოიგონა შორტი?**
(1) სტუდენტებმა
(2) არისტოკრატებმა
(3) ღარიბებმა
(4) ვაჭრებმა

III. **რომელ საუკუნეში გამოიგონეს ჯინსი?**
(1) მე-19
(2) მე-18
(3) მე-17
(4) მე-20

IV. **რომელ საუკუნეში გაჩნდა შარვალი?**
(1) მე-20
(2) მე-19
(3) მე-18
(4) მე-17

V. **რატომ აიკეცა შარვლის ტოტები პრინცმა?**
(1) მოდას მისდევდა
(2) შარვალი გრძელი ჰქონდა
(3) შარვალი რომ არ დასვროდა

(4) დასცხა

VI. **ახლა ვის აცვია კიულოტი?**

(1) კომპოზიტორებს
(2) მთამსვლელებს
(3) პროფესორებს
(4) მორაგბეებს

VII. **რა ჰქვია გრძელ, განიერ შარვლებს, რომელიც ღარიბებს ეცვათ?**

(1) შორტი
(2) პანტალონი
(3) კიულოტი
(4) ჯინსი

VIII. **რა ჰქვია შარვალს, რომელიც მუხლებამდე ვიწროა, ზემოთ კი გაფართოებული?**

(1) ბრიჯი
(2) შორტი
(3) გალიფე
(4) პანტალონი

2. კაბის ისტორიიდან

1830-იან წლებში ინგლისის დედოფალმა **ვიქტორიამ** საფუძველი ჩაუყარა მოდას, რომელიც ყველა ფენის ქალებისთვის ხელმისაწვდომი იყო.

სიტყვა **კრინოლინი** წარმოდგება ფრანგული სიტყვებისგან: **ძუა** და **სელი** და წარმოადგენს ცხენის ძუისა და სელის ტილოსაგან შეკერილ ქვედაბოლოს. საჭირო იყო ბევრი (ხუთი-ექვსი) სარჩულის გამოყენება, რათა ქვედაბოლოს შთამბეჭდავი ზომა მიეღო. არც იყო გასაკვირი, რომ ამ პერიოდის ქალებს ხშირად უწუხდებოდათ გული, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში, როდესაც ქვედაბოლოს სიმძიმე აუტანელი ხდებოდა.

1850-იან წლებში მოდაში შემოვიდა **ლითონის კრინოლინი,** რომელიც მორთულ გალიას ჰგავდა. ამ გამოგონებამ დიდი პოპულარობა მოიპოვა, რადგან მისი წყალობით ქალებს ბოლოს და ბოლოს შეეძლოთ კაბის ქვეშ ფეხების თავისუფლად მოძრაობა.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ლითონის კრინოლინი მრავალ პრობლემას უქმნიდა პატრონს. მოქნეულ კაბას შეეძლო ტროტუარებიდან გამვლელები გადმოეყარა, ხოლო ოთახში ნივთები აქეთ-იქით მიმოეფანტა. ქალები კარში გასვლას ძლივს ახერხებდნენ. მოუხერხებელი იყო იგი მუშაობის დროს.

1930-იან წლებში კრინოლინი კვლავ გამოჩნდა მოდის ისტორიაში. 1950-იანი წლების დასაწყისში **ჟაკ ფარტმა** შექმნა მდიდრული სამეჯლისო კაბები ახალგაზრდა პარიზელი ქალებისთვის.

❖ ამოწერეთ უცნობი სიტყვები და განმარტეთ ლექსიკონის დახმარებით.

უპასუხეთ კითხვებს:

- **რას ჰგავდა ლითონის კრინოლინი?**
- **რატომ იყო არაპრაქტიკული ლითონის კრინოლინი?**
- **ვინ ჩაუყარა საფუძველი ქალების საყოველთაო მოდას მე-19 საუკუნეში?**
- **სადაური სიტყვაა და რას ნიშნავს „კრინოლინი“?**
- **ვინ შექმნა მდიდრული სამეჯლისო კაბები პარიზელებისთვის მე-20 საუკუნეში?**
- **რატომ უწუხდებოდათ მე-19 საუკუნის ქალებს გული ზაფხულის ცხელ დღეებში?**

❖ **დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:**

პატრონს, მოძრაობა, გული, ახერხებდნენ

ამ პერიოდის ქალებს ხშირად უწუხდებოდათ .....
ქალებს ბოლოს და ბოლოს შეეძლოთ კაბის ქვეშ ფეხების თავისუფლად .....
ლითონის კრინოლინი მრავალ დაბრკოლებას უქმნიდა .....
ქალები კარში გასვლას ძლივს .....

3. ქუსლიანი ფეხსაცმლის ისტორია

დღეს მეტად პოპულარულია მაღალძირიანი ფეხსაცმელი.
საინტერესოა როგორ წარმოიშვა იგი:

ქუსლიანი ფეხსაცმელი ადამიანმა პირველად ძველ საბერძნეთში ჩაიცვა. სცენაზე გამოსვლისას მსახიობებს ხისძირიანი სანდლები ეცვათ.

* შუა საუკუნეების ევროპაში, ისეთი უსუფთაო ქუჩები იყო, რომ მაღალძირიანი ფეხსაცმლის გარეშე გარეთ არავინ გამოდიოდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი ფეხსაცმელი, ის წარმოადგენდა ხის ძირს, რომელსაც ფეხსაცმელზე ტყავის თასმებით იმაგრებდნენ.

* შუა საუკუნეებში ხის ძირის სიმაღლე დაახლოებით 20 სანტიმეტრი იყო.

* მაღალძირიანი ფეხსაცმელი ძალიან გამოსადეგი იყო სამხედროებისთვის. ისინი გაცვეთილ ძირებს ცვლიდნენ, ფეხსაცმელი კი არ ზიანდებოდა.

* XVIII საუკუნემდე მაღალძირიანი ფეხსაცმელი მარტო კაცებს ეცვათ, მოგვიანებით მათი ჩაცმა ქალბატონებმაც დაიწყეს.

(იხ.https://teasblogi.wordpress.com/2014/06/17/მაღალქუსლიანი ფეხსაცმლი/)

უპასუხეთ კითხვებს.

- **ვის ეცვა ძველ საბერძნეთში ხისძირიანი სანდლები?**

- **რატომ ეცვათ შუა საუკუნეების ევროპაში მაღალძირიანი ფეხსაცმელები?**

- **როდის დაიწყეს მაღალძირიანი ფეხსაცმელების ჩაცმა ქალებმა?**

- **რომელ ტექსტშია ინფორმაცია ქალის სამოსის შესახებ?**

დავიმახსოვროთ:

აცვია **მას**	ახურავს **მას**	უკეთია **მას**	უჭირავს **მას**
შარვალი	ქუდი	ჰალსტუხი	ჩანთა
კოსტიუმი	შლაპა	ბაფთა	წიგნი
პიჯაკი	კეპი	ბეჭედი	ტელეფონი
პერანგი	ცილინდრი	საყურე	ბურთი
ხალათი	სომბრერო	სამკაული	ქოლგა
ქურთუკი	ჩაფხუტი	ძეწკვი	ცხვირსახოცი
პალტო	მუზარადი	საათი	ჭიქა
ქურქი	მანდილი	სამაჯური	ფანქარი
ჯემპრი	თავსაფარი	წინსაფარი	ცარცი
სვიტერი	საბანი...	ხელთათმანი	პური
კაბა		ყელსახვევი	ყველი
ტრუსი		კაშნე	ხაჭაპური
წინდა		შარფი...	კალამი
ფეხსაცმელი			ვაშლი
ჩექმა			დანა
ჩუსტი...			ჩანგალი...

რა აცვია დედას?
რა ახურავს დედას?
რა უკეთია დედას?

_____

_____

_____

რა აცვია მამას?
რა ახურავს მამას?
რა უკეთია მამას?

_____

_____

_____

რა აცვია გოგონას?
რა ახურავს გოგონას?

_____

_____

_____

რა უჭირავთ დედას და მამას?

აღნიშნეთ, რომელია სწორი?

- ქუდი აცვია
- ქუდი ახურავს
- ქუდი უკეთია

- ბეჭედი აცვია
- ბეჭედი ახურავს
- ბეჭედი უკეთია

- საათი აცვია
- საათი უკეთია
- საათი ახურავს

- ჰალსტუხი აცვია
- ჰალსტუხი ახურავს
- ჰალსტუხი უკეთია

- ფეხსაცმელი ახურავს
- ფეხსაცმელი უკეთია
- ფეხსაცმელი აცვია

- წინდა უკეთია
- წინდა აცვია
- წინდა ახურავს

❖ **აღწერეთ სურათი (მოიფიქრეთ რაიმე ისტორია). დაასათაურეთ.**



სარეკომენდაციო/დამხმარე ლექსიკა: გამყიდველი, მყიდველი/კლიენტი, მაღაზია/მარკეტი, ქალი, კაცი/მამაკაცი, პიჯაკი, მოკლე, გრძელი, სახელო, ეტიკეტი, მოსწონს/არ მოსწონს, კმაყოფილია/უკმაყოფილოა, ახალგაზრდა, ლამაზი, ქერა, შავგვრემანი, ხუჭუჭა თმა, კაბა, ჰალსტუხი, დაბადების დღე, ქორწილი, ფასი, მომსახურება, იზომებს, მეორე, საკიდი, უხდება...

- *წაიკითხეთ ტექსტი.*

ო, მოდა, მოდა
საინტერესო ფაქტები მოდის ისტორიიდან

მოდის ისტორია, ალბათ, მაშინ დაიწყო, როცა ადამიანებმა პირველად მოიგონეს რაღაც ტანსაცმლის მაგვარი. მოდა გამოხატვის თავისუფლების ფორმაა, სამოსისა და აქსესუარების საშუალებით ადამიანები ყოველთვის ცდილობენ საკუთარი ინდივიდუალობის ხაზგასმას.

თუმცა გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, შუა საუკუნეების ევროპაში კათოლიკური ეკლესია მოითხოვდა, რომ ყველა ებრაელს თავზე ყვითელი ქუდი ეტარებინა, ანუ, მაშინ სამოსი არა თავისუფლების, არამედ დისკრიმინაციის ფორმა იყო.

ნაპოლეონის წყალობით

მოდის ისტორიას ბევრი პოზიტიური საინტერესო ფაქტიც ახსოვს, რომელიც თანამედროვე ადამიანის სამოსის ელემენტსაც წარმოადგენს. მაგალითად, ცოტას თუ ეცოდინება, რასთან არის დაკავშირებული რამდენიმე პატარა ღილის მიკერება ქალისა და მამაკაცის პიჯაკების სახელოებზე. აღმოჩნდა, რომ ეს წესი პირველად ნაპოლეონ ბონაპარტმა შემოიღო ფრანგული არმიისათვის.

იმპერატორმა პირადად გასცა სამხედრო სამოსის სახელოებზე რამდენიმე ღილის მიკერების ბრძანება, რათა ჯარისკაცებს სახელოებით არ მოეხოცათ ცხვირი და, შესაბამისად, არც მუნდირები გაეფუჭებინათ.

თოჯინები – არა მხოლოდ ბავშვებისთვის

ტანსაცმლის დემონსტრირების ტრადიცია მოგვიანებით გაჩნდა. მოდელის ან მანეკენის ცნება მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს დაიბადა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე დიზაინერები პოტენციურ კლიენტებთან თავიანთი მხატვრული ჩანაფიქრის დემონსტრირებას არ ახდენდნენ. მათ ტანსაცმლის ჩვენების მშვენიერი საშუალება გამონახეს – თოჯინების გამოყენებით.

თავიდან ყველა სამოსი შემცირებული ზომებით სწორედ თოჯინებისთვის იკერებოდა. ამით გარკვეული ეკონომიაც კეთდებოდა: საჭირო აღარ იყო დიდი ქსოვილების შესაძენად ფულის უაზროდ ხარჯვა.

გაპარსული წარბები

აღორძინების ეპოქაში ქალის სახე მიმზიდველად არ მიიჩნეოდა, თუ წარბები სუფთად არ ჰქონდა გაპარსული. მოდის ამ ჭირვეულობის საუკეთესო დემონსტრირებისთვის, ალბათ, მონა ლიზას გახსენებაც საკმარისია.

ეპოქა და წვერები

XVII-XVIII საუკუნეებში ევროპელი მამაკაცები წვერის ტარებაზე უარს ამბობდნენ. რუსეთის მეფე პეტრე I იძულებული გახდა, 1698 წელს წვერის ტარებაზე სპეციალური გადასახადიც კი დაეწესებინა. გადასახადი დიფერენცირებული იყო წოდებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით. 1715 წლიდან ყველა წვეროსანი ერთნაირ გადასახადს – წელიწადში 50 რუბლს იხდიდა. ეს გადასახადი 1772 წელს გაუქმდა.

თუმცა პეტრე I პირველი მეფე არ ყოფილა, რომელმაც წვერის ტარებაზე გადასახადი დააწესა. „საავტორო უფლება“ ჰენრიხ VIII-ს ეკუთვნის, რომელმაც ანალოგიური გადასახადი ინგლისში 1535 წელს დააწესა. გადასახადის ოდენობა გადამხდელის სოციალურ სტატუსზე იყო დამოკიდებული. გადასახადი უნდა გადაეხადა ნებისმიერს, ვინც ორ კვირაზე მეტხანს არ გაიპარსავდა წვერს.

მესამე ათასწლეულში წვერი კვლავ პოპულარული გახდა.

მოკლე ვარცხნილობა, რომელიც ასე პოპულარულია დღეს, ოდესღაც სამარცხვინოდ ითვლებოდა. შუა საუკუნეებში ყველა ქალს, მიუხედავად სოციალური სტატუსისა, გრძელი თმა უნდა ჰქონოდა. მეუღლის ღალატი თმის სახალხოდ მოკლედ შეკრეჭით ისჯებოდა.

http://friday.ge/-ს მიხედვით

სარვან სინგის წვერის სიგრძე 2 მეტრსა და 33 სმ-ს აღწევს.

სამოსი = ტანსაცმელი
საუკუნე = ასწლეული
დიფერენცირებული = განსხვავებული
წვეროსანი = წვერ(ებ)იანი
მიმზიდველი = ლამაზი
კლიენტი = მუშტარი
აქსესუარი = სამკაული
ეკონომია = მომჭირნეობა

❖ **ამოწერეთ უცნობი სიტყვები და განმარტეთ ლექსიკონის დახმარებით.**

❖ **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** მოდა, თოჯინა, სამოსი, კაბა, შარვალი, პიჯაკი, ღილი.

❖ **უპასუხეთ კითხვებს:**

- **რატომ დააკერეს სამხედრო სამოსის სახელოებზე ღილები?**

- **რატომ აქვს მონა ლიზას წარბები გაპარსული?**

- **რისთვის იყენებდნენ თოჯინებს, სანამ მანეკენები გაჩნდებოდნენ?**

- **რისი გადასახადი იყო რუსეთში 50 რუბლი?**

- **რითი სჯიდნენ ქმრის მოღალატე ცოლს შუა საუკუნეებში?**

- **ვისა აქვს ყველაზე გრძელი წვერები მსოფლიოში?**

❖ **დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:**

დაიბადა, ისჯებოდა, დამოკიდებული, არმიისათვის, მიხედვით

გადასახადის ოდენობა გადამხდელის სოციალურ სტატუსზე იყო .....
მანეკენის ცნება მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს .....
გადასახადი დიფერენცირებული იყო წოდებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის .....
მეუღლის ღალატი თმის სახალხოდ მოკლედ შეკრეჭით .....
ეს წესი პირველად ნაპოლეონ ბონაპარტმა შემოიღო ფრანგული .....

❖ **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. წესი	სტატუსი
ბ. გადასახადი	უფლება
გ. სოციალური	შემოიღო
დ. მოიხოცა	შეკრეჭა
ე. საავტორო	დააწესა
ვ. თმის	ცხვირი

შიშველი მეფე

(ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპრის მიხედვით)



იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა კარგად ჩაცმა და ახალ-ახალი სამოსი. იგი მთელ თავის ფულს ამაში ხარჯავდა.

ქალაქი, რომელშიც ცხოვრობდა მეფე, დიდი და ხმაურიანი იყო. დღე არ გავიდოდა, ქალაქს უცხოელი სტუმრები რომ არ სწვეოდნენ და აი როგორღაც ერთხელ მას ორი მატყუარა ესტუმრა. მათ განაცხადეს, რომ არიან განსაკუთრებული მკერავები, - შეუძლიათ შეკერონ საუცხოო სამოსი, რომლის მსგავსს კაცი ვერც კი წარმოიდგენს. თან ამ სამოსს საოცარი თვისება ექნება - **იგი უხილავი იქნება ბრიყვებისთვის.**

„მართლაც რა შესანიშნავი ტანსაცმელი იქნება! – გაიფიქრა მეფემ – ჩავიცმევ და მაშინვე შევძლებ გავარჩიო ჭკვიანები ბრიყვებისაგან! სასწრაფოდ შემიკერონ ასეთი სამოსი!“ - გასცა მან ბრძანება.

მატყუარებს ბევრი ფული მისცეს, რათა მათ დაუყოვნებლივ დაიწყოთ მუშაობა.

ცრუ მკერავები ვითომ შეუდგნენ საქმეს.

უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ მეფისთვის ჯადოსნური სამოსი იკერებოდა და ყველა დიდი ინტერესით ელოდა მას.

ცოტა ხნის შემდეგ მეფემ თავისი მოხუცი და პატიოსანი მინისტრი გააგზავნა იმის გასაგებად, თუ როგორ მიდის საქმე.

და აი მინისტრი შევიდა დარბაზში, სადაც ორი მატყუარა „მუშაობდა“.

„ღმერთო, შემიწყალე! – გაიფიქრა მოხუცმა მინისტრმა, – მე ხომ ვერანაირ ქსოვილს ვერ ვხედავ!“

მაგრამ მას ამაზე კრინტიც არ დაუძრავს.

– რატომ აღარაფერს იტყვით? – შეეკითხა მას ერთ-ერთი მკერავი.

– ოჰ, შესანიშნავია! მშვენიერია! – თქვა მოხუცმა მინისტრმა, თან გულმოდგინედ აკვირდებოდა სათვალიდან – რა ფერებია... დიახ, დიახ, მე მოვახსენებ მეფეს, რომ ძალიან მომწონს!

მეფემ მალე სხვა პატიოსანი მოხელეც გაგზავნა ამბის გასაგებად. ამ მოხელესაც ზუსტად იგივე დაემართა, რაც მინისტრს, მანაც დიდხანს უყურა, უყურა, მაგრამ ვერაფერი დაინახა, რადგან იქ სანახავი არაფერი იყო.

– აბა რას იტყვით, მოგწონთ ქსოვილი? – ეკითხებიან მატყუარები.

„მე ხომ ბრიყვი არა ვარ! – გაიფიქრა მოხელემ – არ უნდა შევიმჩნიო არაფერი“.

და ისიც შეუდგა მისთვის უხილავი ქსოვილის ქებას.

– ოჰ, რა დიდებული ქსოვილია! – მოახსენა მან მეფეს.

ამის შემდეგ მთელი ქალაქი ალაპარაკდა, თუ რა საოცარი სამოსი შეკერეს მკერავებმა.

ახლა კი მეფემაც ისურვა ქსოვილის ნახვა. იგი მოხერხებულ მატყუარებს ეწვია, რომლებიც მთელი ძალით „მუშაობდნენ“, თუმცა მათი ნამუშევარი არსად ჩანდა.

„რა ხდება? – გაიფიქრა მეფემ – მე ვერაფერს ვხედავ! რა უბედურებაა! ნუთუ ბრიყვი ვარ?“

– ოჰ, რა ლამაზია! – თქვა მან.

ის კმაყოფილებით აქნევდა თავს და „ათვალიერებდა“ ქსოვილს. მისმა ამალამაც უყურა, უყურა და თუმცა ვერაფერი დაინახა, მეფეს მაინც ეთანხმებოდა: „ოჰ, რა შესანიშნავია!“ – გაიძახოდნენ ისინი და თან ურჩევდნენ მას, ეს შესანიშნავი სამოსი ჩაეცვა მოახლოებული ზეიმისთვის.

ზეიმის წინა დღეს მთელი ღამე „კერავდნენ“ მატყუარები და თექვსმეტზე მეტი სანთელი დახარჯეს. ყველა ხედავდა, როგორ ჩქარობდნენ ისინი, რომ დათქმულ ვადაში მოესწროთ მეფისათვის სამოსი. ბოლოს თქვეს: – ესეც ასე, სამოსი მზადაა!

– ახლა კი, თქვენო უდიდებულესობავ, ტანზე გახდა ინებეთ! – უთხრეს მატყუარებმა. – ჩვენ ჩაგაცმევთ ამ ახალ ჯადოსნურ სამოსს დიდი სარკის წინ.

მეფემ გაიხადა, მატყუარები კი თითქოს ერთიმეორის მიყოლებით აცმევდნენ მას სამოსის სხვადასხვა ნაწილებს.

ყველანი გაიძახოდნენ:

– ოჰ, რა დიდებულია მეფის ახალი სამოსი!

არავის სურდა ეღიარებინა, რომ ვერაფერს ხედავდა, - ეს ხომ იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ იგი ბრიყვია.

– კი მაგრამ, ის ხომ შიშველია! მეფე შიშველია! – წამოიძახა მოულოდნელად ბიჭუნამ.

ხალხმა ჩურჩულით დაიწყო ბავშვის ნათქვამის ერთმანეთში გავრცელება: აი, ბავშვმა თქვა, რომ ის შიშველია!

– მეფე შიშველია! – იხუვლა ბოლოს ყველამ ერთად.

უსაზღვროდ = ძალიან
საუცხოო = ძვირფასი, დიდებული
ბრიყვი = სულელი
შიშველი = ტიტველი
დაუყოვნებლივ = მაშინვე
შეუდგა საქმეს = დაიწყო საქმე
უხილავი = რაც არ ჩანს
ვადა = დრო
ღმერთო, შემიწყალე! = ღმერთო, შემიბრალე!
შეუდგა ქებას = დაიწყო ქება
მატყუარა = თაღლითი
იხუვლა = იყვირა
მკერავი = თერძი
ქსოვილი = ნაჭერი
კრინტი არ დაძრა = ხმა არ ამოიღო
გულმოდგინედ = მონდომებით
ზეიმი = დღესასწაული
დათქმული = შეთანხმებული
ტოლფასი = ტოლი

❖ **ამოწერეთ უცნობი სიტყვები და განმარტეთ ლექსიკონის დახმარებით.**

❖ **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** მეფე, მატყუარა, მკერავი, სულელი, უხილავი, შიშველი, ქსოვილი

❖ **უპასუხეთ კითხვებს:**

- **რა უყვარდა მეფეს განსაკუთრებით?**
- **ვინ ეწვია ერთხელ ქალაქს?**
- **როგორი სამოსი უნდა შეეკერათ უცხო მკერავებს?**
- **რატომ მოეწონა მეფეს ახალი სამოსის იდეა?**
- **რატომ ვერ ხედავდნენ „საუცხოო“ სამოსს?**
- **ვინ და როგორ აუხილა ხალხს თვალი?**

❖ **დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** *მკერავებმა, ქებას, გავრცელება. გასაგებად, იკერებოდა*

მეფისთვის ჯადოსნური სამოსი .....
ხალხმა ჩურჩულით დაიწყო ბავშვის ნათქვამის ერთმანეთში .....
მეფემ მალე სხვა პატიოსანი მოხელეც გააგზავნა ამბის .....
ისიც შეუდგა მისთვის უხილავი ქსოვილის .....
მთელი ქალაქი ალაპარაკდა, თუ რა საოცარი სამოსი შეკერეს .....

- **მოცემულია სიტყვების არეული რიგი. ისე დაალაგეთ ისინი, რომ მიიღოთ გამართული წინადადება.**

სხვადასხვა სამოსის მატყუარები ერთიმეორის თითქოს აცმევდნენ ნაწილებს მიყოლებით

ჩურჩულით ხალხმა დაიწყო ნათქვამის გავრცელება ბავშვის ერთმანეთში

ჭკვიანები მაშინვე ბრიყვებისაგან გავარჩიო შევძლებ

- **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. შეუდგა	ვადა
ბ. დათქმული	თავს
გ. გასცა	უდიდებულესობავ
დ. აქნევს	ქებას
ე. საუცხოო	ბრძანება
ვ. თქვენო	სამოსი

- **დაახასიათეთ მეფე.**

---

4. საჭმელ-სასმელი. ხილ-ბოსტნეული.

- მიუწერეთ ნახატებს სათანადო სიტყვები. გამოიყენეთ ლექსიკონი.





ხუთი პური

ერთი კაცი ყოველდღე დადიოდა ბაზარში და ხუთ პურს ყიდულობდა.
ერთხელ თავის მეგობარს შეხვდა გზაში. მეგობარმა ჰკითხა:
- მითხარი, დღეში ხუთ პურს რატომ ყიდულობ?
კაცმა მიუგო:
- ერთს მე ვჭამ, ორს სესხად ვაძლევ, ორით კი ვალს ვიხდი.
- არ მესმის, — უთხრა მეგობარმა, - ერთი კარგად ამიხსენი.
- აი, რა: ერთ პურს მე თვითონ ვჭამ, ორს შვილებს ვაძლევ, ორს კი - დედ-მამას.

- **ვისი „ვალი“ ჰქონდა კაცს?**

- **ვისა აქვს ამ კაცის „ვალი“?**

- **ვის „ვალს“ იხდიან თქვენი მშობლები?**

- **რა არის ამ იგავის აზრი? დაასაბუთეთ.**

❖ *წაიკითხეთ ტექსტი.*

მენიუ

ქართველი მწერალი და ჟურნალისტი გიორგი ზედგინიძე რესტორანში შევიდა, მენიუ დიდხანს ათვალიერა და ბოლოს მიმტანს უთხრა:
_ მომიტანეთ, გეთაყვა, ერთი ულუფა ორთოგრაფიული შეცდომა!
მიმტანმა უცნაური სტუმარს გაკვირვებით შეხედა და მიუგო:
_სამწუხაროდ, არ გვაქვს!
_ მაშ, მენიუში რატომ შეიტანეთ? – ჰკითხა გიორგიმ.

❖ **გაარკვიეთ, ქვემოთ მოცემული ინფორმაციიდან რომელია სწორი და რომელი არასწორი. მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პლუსით /+/ ან მინუსით /-/ და პასუხის დასადასტურებლად წარმოადგინეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილი.**

ინფორმაცია	**სწორია**	**არასწორია**
რესტორანში შევიდა ორი ადამიანი		
მენიუში შეცდომები იყო		
გიორგიმ მენიუში შეცდომა იპოვა		
გიორგიმ იხუმრა		
ოფიციანტი მიხვდა ხუმრობას		

უპასუხეთ კითხვებს.

- **გიორგის მართლაც უნდა შეემჩნია შეცდომა! რატომ?**

- **საიდან ჩანს, რომ ოფიციანტი ვერ მიხვდა ხუმრობას?**

- **რატომ არ გაეცინა ოფიციანტს?**

- **რატომ არ ჰქონდათ რესტორანში კერძი „ორთოგრაფიული შეცდომა“?**

❖ **აღწერეთ სურათი. მოიფიქრეთ სიუჟეტი.**

სარეკომენდაციო/დამხმარე ლექსიკა: კლიენტი, ოფიციანტი/მიმტანი, მენიუ, კერძი, საჭმელი, სასმელი, ალკოჰოლიანი, უალკოჰოლო, წვენი, დესერტი, ნამცხვარი, ხილი, ყავა, ჩაი, შაქარი, შაქრიანი, უშაქრო, მარილი, მარილიანი, უმარილო, ტკბილი, გემრიელი, წიწაკა, წიწაკიანი, სადილი, საუზმე, ვახშამი, თეფში, ჭიქა, დანა, ჩანგალი, ბლოკნოტი, კალამი, შეკვეთა, შეკვეთას აძლევს, რესტორანი, ახალგაზრდა, ასაკიანი/ხნიერი, მაგიდა, სუფრა, მრგვალი, სათვალე, სათვალიანი, ყელსახვევი/ჰალსტუხი, ბაფთა, პიჯაკი, ხალათი, მარტოა, ეკითხება, აინტერესებს, ელოდება, შესვენებაზეა...

გაეცანით მენიუს

ქაბაბი საქონლის - 8,00 ლარი	ტოლმა - 8 ლარი	ლობიო ქოთანში - 5,50GEL
ხბოს მწვადი - 14,00 ლარი	ხაჭაპური - 12,50GEL	ლობიანი - 8,00 ლარი
პური თონის - 1,50 ლარი	მჭადი - 1,50 ლარი	ღომი ყველით - 5,50 ლარი
ქათმის ღვიძლის სალათი - 13,50 ლარი	შემწვარი ქათამი - 27,00GEL	ბადრიჯანი ნიგვზით - 9,00 ლარი
ყველი იმერული - 7,00GEL	მწნილის ასორტი - 7,50 ლარი	სალათი ხბოს ხორცით - 13,00 ლარი
ნადუღი სულგუნის ფირფიტებში - 6,50GEL	სალათი ცეზარი ქათმის ხორცით - 15,00 ლარი	ფხალის ასორტი - 14,50 ლარი
ბერძნული სალათი - 12,00 ლარი	სალათი ცეზარი ორაგულით - 22,00 ლარი	კიტრისა და პომიდვრის სალათი - 8,50 ლარი

უპასუხეთ კითხვებს.

- **რომელია წარმოდგენილ მენიუში ყველაზე ძვირი კერძი?**

- **რომელია ყველაზე იაფი კერძი?**

- **რომელი კერძ(ებ)ის გაკეთება იცით?**

- **ჩამოთვალეთ თქვენი საყვარელი კერძები.**

- **აღწერეთ ერთი რომელიმე კერძის მომზადების რეცეპტი და პროცედურა.**

- **წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გაქვთ 60 ლარი. დაპატიჟეთ მეგობარი რესტორანში და შეუკვეთეთ სადილი. რას შეარჩევთ ზევით წარმოდგენილი მენიუდან?**

ჩაქაფულის მომზადება

ინგრედიენტები:
ბატკნის ან ხბოს ხორცი - 1 კგ
ტარხუნა - 6 კონა
ქინძი - 4 კონა
მწვანე ტყემალი - დაახლოებით 2 მუჭა
მწვანე წიწაკა
მარილი
მწვანე ხახვი - 1-2 კონა
ოხრახუში -1 პატარა კონა

ჩაქაფულის მოსამზადებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც ხბოს, ასევე ბატკნის ხორცი. დაჭერით ხორცი საშუალო ნაჭრებად. თუ ბატკნის ხორცია, ცოტაოდენი დუმაც შეგიძლიათ დაამატოთ, ხბოს შემთხვევაში - ცოტა კარაქი.

დადგით ხორცი დაბალ ცეცხლზე, დაახურეთ თავზე და მოხარშეთ თავისივე გამოშვებულ წვენში.

თუ სითხე მანამდე ამოშრა, სანამ ხორცი მომზადდება, დაამატეთ ცოტა ღვინო ან წყალი. პარალელურად, გაარჩიეთ ტარხუნა - დაგჭირდებათ მხოლოდ ფოთლები, დაჭერით ქინძი, ოხრახუში, მწვანე ხახვი, წიწაკა.

ხორცი რომ თითქმის მზად იქნება, დაამატეთ ტყემალი, მარილი, წიწაკა და მწვანილი ისე, რომ მთლიანად დაიფაროს. უხდება წითელი დაღერღილი წიწაკაც. დაახურეთ თავზე და კვლავ წამოადუღეთ დაახლოებით 15-20 წუთი.

ცოტაოდენი ახალი მწვანილი უკვე მზა კერძსაც შეგიძლიათ მოაყაროთ.

- **ამოწერეთ უცნობი სიტყვები და განმარტეთ ლექსიკონის დახმარებით.**

შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით: ხორცი, ნაჭერი, მომზადება, ცეცხლი, წვენი, იხარშება, დუღს.

- **ჩამოთვალეთ, მწვანილის რომელი სახეობებია ნახსენები ტექსტში?**

❖ **უპასუხეთ კითხვებს.**

- **რისგან მზადდება ჩაქაფული?**
- **რა შემთხვევაში შეიძლება დაგვჭირდეს კარაქი?**
- **რა შემთხვევაში უნდა დავამატოთ ღვინო ან წყალი?**
- **ტარხუნის რომელი ნაწილია საჭირო?**
- **კიდევ რომელი მწვანილია საჭირო ჩაქაფულის მოსამზადებლად?**

❖ **დაალაგეთ არეული სიტყვები ისე, რომ მიიღოთ გამართული წინადადება.**

ბატკნის ჩაქაფულის გამოიყენოთ ხორცი მოსამზადებლად შეგიძლიათ

შეგიძლიათ ახალი კერძსაც მოაყაროთ მწვანილი მზა

ხორცი ცეცხლზე დაბალ დადგით

ჭარბწონიანები

1967 წელს დაბადებულმა ამერიკელმა **დონა სიმპსონმა** 2008 წელს გადაწყვიტა, გამხდარიყო პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ადამიანი. მისი თავდაპირველი მიზანი 450 კგ გახლდათ. 2010 წლის ივნისისთვის დონა 273 კგ-ს იწონიდა, რაც ნაკლები იყო 2008 წლის მაჩვენებელზე (290 კგ). ამ პერიოდში ის ხელმძღვანელობდა ვებსაიტს, სადაც მომხმარებლები ფულს იხდიდნენ მისი ჭამის ყურებაში. 2010 წელს სიმპსონი გინესის წიგნში შევიდა და გახდა „ყველაზე ჭარბწონიანი ქალი, რომელმაც შვილი გააჩინა“. 2011 წლის აგვისტოში დონამ დიეტის დაცვა და 170 კგ-ზე ჩამოსვლა გადაწყვიტა, რათა ბავშვების აღზრდა უკეთ შეძლებოდა.

მექსიკელი **მანუელ ურიბე** 1965 წლის 11 ივნისს დაიბადა. მას სიმსუქნის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმა ჰქონდა, რაც კი ისტორიაშია ცნობილი. მას შემდეგ, რაც 600 კგ-ს მიაღწია და 2001 წლიდან მოყოლებული, საწოლიდან ვეღარ დგებოდა, მის საქმეში სამედიცინო სპეციალისტები ჩაერივნენ და სპეციალური დიეტის მეშვეობით 182 კგ დააკლებინეს. ამის შემდეგ ის საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა და რამდენჯერმე სხვადასხვა ტელეარხზეც მოხვდა, თუმცა უარი განაცხადა კუჭის შუნტირების ოპერაციის ჩატარებაზე. 2008 წლის 26 ოქტომბერს ურიბეს წონა 360 კგ-ზე იყო ჩამოსული, 2012 წლის თებერვლის მონაცემით კი 200 კგ-ს იწონის.

რობერტ ჰიუისი (1926-1958) თავის სიცოცხლეში ითვლებოდა ისტორიაში ყველაზე მძიმე ადამიანად. მისი მკერდის გარშემოწერილობა 3,15 მეტრი იყო და ზოგიერთ პერიოდში იწონიდა 486 კგ-ს. 6 წლის ასაკში მისი წონა 92 კგ იყო, 10 წლის ასაკში – 171 კგ, სიკვდილის მომენტში კი ნახევარ ტონას აჭარბებდა. მოზრდილობის პერიოდში ხშირად გამოდიოდა სხვადასხვა კარნავალსა და წარმოდგენაზე, დაგეგმილი იყო ედ სალივანის შოუზე გამოსვლაც, თუმცა ვერ განხორციელდა. 1958 წლის 10 ივლისს რობერტს წითელა შეეყარა, რაც მალე გადაიზარდა ურემიაში (ორგანიზმის მოწამვლა თირკმლების დაავადების დროს) და მისი სიკვდილი გამოიწვია. ამ დროს ჰიუისი 32 წლის იყო.

კენეტ ბრამლი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ადამიანი იყო, რომლის წონაც ჩაწერილი და დადასტურებულია. ის გადაიღეს ბრიტანული მე-4 არხის დოკუმენტური ფილმების სერიაში „ბოდიშოკი“. გადაცემაში, რომელსაც „ნახევარტონიანი მამა” ერქვა, განიხილეს 4 შვილის მამის ცხოვრება, რომელიც თითქმის 470 კგ-ს იწონიდა. კენეტის განცხადებების მიხედვით, ის 4 წლის განმავლობაში საწოლს იყო მიჯაჭვული. შემდეგ კი ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში კუჭის შუნტირების ჩატარებაზე თანხმობა მისცეს, მაგრამ იმისთვის, რომ საოპერაციო მაგიდამდე მიეყვანათ, სახლის კედლის ჩამონგრევა გახდა საჭირო. ბრამლის მკურნალობაში პირველი ეტაპი იყო დიეტა, რომელიც დღეში არაუმეტეს 1200 კალორიას მოიცავდა, - ამის მეშვეობით მან 40 დღეში 76 კგ დაიკლო.

1953 წლის 14 მაისს დაბადებული **მაიკლ ჰებრანკო** სიმსუქნის უკიდურესად მძიმე ფორმით იტანჯებოდა. ნიუ-იორკში მდებარე წმინდა ლუკას საავადმყოფოში მან 19 თვე გაატარა და ამ პერიოდში 411 კგ-იდან 90-ზე ჩამოვიდა, მკერდის გარშემოწერილობა კი 290-იდან 91 სმ-მდე შეუმცირდა. დაკლების პროცედურები მოიცავდა დიეტასა და მწვრთნელის მითითებით ვარჯიშებს, ამის შედეგად კი 1990 წელს ის გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ადამიანი, რომელმაც ყველაზე დიდი წონა დაიკლო.

მას შემდეგ, რაც 318 კგ წონის **ტერი სმიტს** ექიმებმა უთხრეს, რომ ჭარბწონიანობის გამო შეიძლებოდა დაღუპულიყო, ქალმა დაკლება გადაწყვიტა. ის ოჰაიოში ცხოვრობს, მიჯაჭვული იყო საწოლს, არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება და მთლიანად იყო მინდობილი თავის ქმარ მაირონზე და 30 წლის ქალიშვილზე. 7 წლის ასაკში ტერი იწონიდა 50 კგ-ს, 20 წლის ასაკში კი – 114-ს. 2010 წელს სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ ტერიმ ვარჯიშისა და ჯანსაღი კვების სისტემას მიჰყო ხელი.

კეროლ იაგერი (1960-1994) ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე მძიმეწონიანი ქალი, რომელსაც კი ოდესმე უცხოვრია. ის ასევე ცნობილია იმით, რომ დროის მოკლე პერიოდში საკმაოდ დიდი წონა დაიკლო ბუნებრივი საშუალებებით (ქირურგიის გარეშე) – 237 კგ 4 თვეში. 1993 წლის იანვარში კეროლი საავადმყოფოში დააწვინეს, ამ დროს ის 539 კგ-ს იწონიდა, აწუხებდა ცელულიტი და იმუნური სისტემის სისუსტე. 1200-კალორიიანი დიეტით საკმაოდ დიდი მასის მოკლება მოახერხა. კეროლის ბოიფრენდი ირწმუნებოდა, რომ პიკში ყოფნისას ქალის წონა 727 კგ იყო, თუმცა ეს ინფორმაცია არ არის დადასტურებული.

უოლტერ ჰადსონი (1944-1991) გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ყველაზე განიერი წელის პატრონი. 1987 წელს ეს მაჩვენებელი იყო 300 სმ, წონა კი – 543 კგ. უოლტერი ამბობდა, რომ მისი დღიური მენიუ შედგებოდა ორი ყუთი სოსისისგან, 450 გ ბეკონისგან, 12 კვერცხისგან, დიდი პურისგან, 4 ჰამბურგერისა და 4 ორმაგი ჩისბურგერისგან, 8 დიდი ულუფა შემწვარი კარტოფილისგან, 3 ლორისგან ან 2 წიწილისგან, 4 ტკბილი კარტოფილისგან, 4 თავი ბროკოლისგან, დიდი ნამცხვრისა და დამატებით „მსუბუქი" საუზმისგან. გარდა ამისა, ყოველდღე სვამდა 17 ლიტრ გაზიან წყალს.

http://charliuss.wordpress.com/

ვებსაიტი = ვებგვერდი
ჭარბი = ზედმეტი
პიკი = მწვერვალი = მაქსიმუმი
ჯანსაღი = ჯანმრთელი
წითელა შეეყარა = წითელათი დაავადდა
უკიდურესად = მეტად
დაიკლო = გახდა
საკვები = საჭმელი
ბუნებრივი = ნატურალური
კილო = კილოგრამი
მასა = წონა

❖ **ამოწერეთ უცნობი სიტყვები და განმარტეთ ლექსიკონის დახმარებით.**

❖ **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** წონა, იწონის, სიმსუქნე, დიეტა, კილო, დაიკლო, აწუხებს

❖ **უპასუხეთ კითხვებს:**

- **რამდენი მეტრი იყო უოლტერ ჰადსონის წელის გარშემოწერილობა?**

- **ვინ იყო ყველაზე მძიმეწონიანი ქალი?**

- **რაში უხდიდნენ ფულს ინტერნეტის მომხმარებლები დონა სიმპსონს?**

- **როგორ დაიკლო 182 კილო მანუელ ურიბემ?**

- **რა იყო რობერტ ჰიუსის სიკვდილის მიზეზი?**

- **როგორ გამოიყვანეს სახლიდან კენეტ ბრამლი, როცა საოპერაციოდ მიჰყავდათ?**

- **რის გამო შევიდა მაიკლ ჰებრანკო გინესის წიგნში?**

- **რატომ გადაწყვიტა გახდომა ტერი სმიტმა?**

❖ **დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:**

ჩაერივნენ, წარმოდგენაზე, სერიაში, იტანჯებოდა, გადაწყვიტა, დააწვინეს

ის გადაიღეს ბრიტანული მე-4 არხის დოკუმენტური ფილმების .....
მოზრდილობის პერიოდში ხშირად გამოდიოდა სხვადასხვა კარნავალსა და .....
მაიკლი სიმსუქნის უკიდურესად მძიმე ფორმით .....
იანვარში კეროლი საავადმყოფოში .....
აგვისტოში დონამ დიეტის დაცვა .....
მის საქმეში სამედიცინო სპეციალისტები .....

❖ **დაალაგეთ არეული სიტყვები ისე, რომ მიიღოთ გამართული წინადადება.**

სოსისისგან შედგებოდა მისი დღიური კვების დიეტა ყუთი ორი

უარი შუნტირების მან განაცხადა კუჭის ჩატარებაზე ოპერაციის

ყველაზე ის ადამიანად ისტორიაში ითვლებოდა მძიმე

❖ **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. დიეტის	ცენტრში
ბ. მძიმე	წიგნი
გ. ჭარბი	მაგიდა
დ. გინესის	ფორმა
ე. ყურადღების	დაცვა
ვ. საოპერაციო	წონა

❖ შემოხაზეთ სწორი პასუხები

I. ყველაზე დიდი გულმკერდი ჰქონდა:
(1) ჰადსონს
(2) იაგერს
(3) სმიტს
(4) ჰიუისს

II. ექვსი წლის ასაკში 92 კილო იყო:
(1) სმიტი
(2) ურიბე
(3) ჰიუსი
(4) ბრამლი

III. ოჰაიოში ცხოვრობს:
(1) ურიბე
(2) ჰებრანკო
(3) სიმპსონი
(4) სმიტი

IV. პლანეტის ყველაზე მძიმეწონიანი ქალი:
(1) სიმპსონი
(2) სმიტი
(3) იაგერი
(4) სმიტის ქალიშვილი

V. ყველაზე მეტი დაიკლო წონაში:
(1) ჰებრანკომ
(2) ირუბემ
(3) ჰიუსმა
(4) ჰადსონმა

VI. ნახევარ ტონაზე მეტი იყო:
(1) ჰებრანკო
(2) იაგერი
(3) სმიტი
(4) სიმპსონი

VII. ჭამის დროს მაყურებელი ჰყავდა:
(1) სმიტს
(2) სიმპსონს
(3) ჰებრანკოს
(4) ურიბეს

VIII. წმინდა ლუკას საავადმყოფოში იწვა:
(1) ირუბე
(2) ბრამლი
(3) ჰებრანკო
(4) სმიტი

IX. კუჭის შუნტირების ოპერაციაზე უარი თქვა:
(1) სიმპსონმა
(2) ჰიუსმა
(3) ბრამლმა
(4) ურიბემ

X. ექვს ასეულ კილოს იწონიდა:
(1) ურიბე
(2) ჰადსონი
(3) ჰიუსი
(4) სმიტი

XI. ჰადსონი გინესის წიგნში შევიდა, როგორც:
(1) ყველა მეტის მჭამელი
(2) ყველაზე მეტის მსმელი
(3) ყველაზე განიერი წელის პატრონი
(4) ყველაზე დიდი თავის პატრონი

XII. დონა სმიტი არის:
(1) პლანეტის ყველაზე მძიმე ქალი
(2) ყველაზე მძიმე მშობიარე
(3) ყველაზე მსუბუქი ქალი
(4) ყველაზე მხიარული ქალი

XIII. სმიტს არ შეეძლო დამოუკიდებლად:
(1) ჭამა
(2) სიარული
(3) დალევა
(4) სიცილი

XIV. ტექსტში წარმოდგენილი მენიუ არის:
(1) ჰადსონის
(2) ბრამლის
(3) ირუბეს
(4) სიმპსონის

XV. სახლის კედელი მოანგრიეს:
(1) სიმპსონის გამოსაყვანად
(2) ბრამლის გამოსაყვანად
(3) ჰებრანკოს გამოსაყვანად
(4) ირუბეს გამოსაყვანად

XVI. ჰადსონის მენიუში არ შედიოდა:
(1) სოსისი
(2) ბეკონი
(3) კარტოფილი
(4) ყველი

* * *

აკაკი ერთ ოჯახში სადილად იყო. დიასახლისის პატარა ბიჭი გაჭირვეულდა და ვერმიშელი აღარ ჭამა. დედა ცემით დაემუქრა. შვილს იმედი ჰქონდა, სტუმრებთან მაინც არაფერს მეტყვიანო და ხელში კოვზს აწვალებდა. მერე მიუბრუნდა აკაკის და ჰკითხა:

_ ძია, ამ კოვზს რა აწერია?

აკაკიმ კოვზი ჩამოართვა და ვითომ წაიკითხა:

„თუ არ ჭამე ვერმიშელი,

გაგლახავენ, ვერ გიშველი“.

- ***დაასათაურეთ ტექსტი.***

- **რისი იმედი ჰქონდა ბავშვს?**

- **მართლა ეწერა კოვზზე, რაც აკაკიმ თქვა? დაასაბუთეთ.**

---

5. ცხოველები, ფრინველები

- მიუწერეთ ნახატებს სათანადო სიტყვები. გამოიყენეთ ლექსიკონი.









ზოგიერთი ინფორმაცია ზოგიერთ ცხოველსა და ფრინველზე:

- პინგვინებს შეუძლიათ ახტნენ 180 სანტიმეტრ სიმაღლეზე.
- სირაქლემას და კენგურუს არ შეუძლიათ უკან სიარული.
- თახვებს შეუძლიათ სუნთქვის შეკავება წყლის ქვეშ 45 წუთის განმავლობაში.
- დათვს შეუძლია სირბილი 48 კმ/სთ სიჩქარით.
- სპილოები არიან ერთადერთი ცხოველები, რომლებსაც არ შეუძლიათ ახტომა.
- ნიანგს არ შეუძლია ენის გამოყოფა.
- კატას აქვს 32 კუნთი თითო ყურში.
- ვეფხვებს არა მხოლოდ ბეწვი აქვთ ზოლებით დაფარული, არამედ კანიც.
- კოდალას შეუძლია ხეზე კაკუნი წამში 20-ჯერ.

- კოდალებს არ სტკივათ თავი ამდენი კაკუნით, რადგან მათ თავის ქალაზე აქვთ სპეციალური ჰაერის „ოთახები“, რათა გაანიავონ ტვინი.
- პეპლები საჭმელს უსინჯავენ გემოს ფეხებით, ანუ, როდესაც მასზე დგანან.
- ყველაზე ძლიერი ცხოველი მთელს მსოფლიოში არის ხოჭო მარტორქა. მას შეუძლია აწიოს თავის წონასთან შედარებით 850-ჯერ მძიმე საგანი.
- ქამელეონის ენა არის იმავე სიგრძის, რაც არის მისი მთლიანი სხეული. მას შეუძლია 2 ობიექტს ადევნოს თვალი ერთდროულად.
- კენგურუს წინაპრები ცხოვრობდნენ ხეებზე. ახლაც შემორჩენილია ხის კენგურუების 8 სახეობა.
- ბევრი გველი არ წყვეტს ზრდას. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რატომ იცვლიან ისინი კანს.
- ავსტრალიური ჭიანჭველა მეტსახელად „ბულდოგი“ არის ყველაზე საშიში მის სახეობაში. მის ნაკბენს შეუძლია მოკლას ადამიანი.
- ჰიპოპოტამს წყალქვეშ გაჩერება შეუძლია 30 წუთით.

http://ucnauri.com

უპასუხეთ კითხვებს:

- **რატომ იცვლის კანს გველი?**

- **რატომ არ სტკივა თავი კოდალას?**

- **რომელია ყველაზე ძლიერი ცხოველი მსოფლიოში?**

- **რამდენი კუნთი აქვს ყურში კატას?**

- **რამდენ მეტრზე შეუძლია ახტომა სპილოს?**

- **ჰიპოპოტამს უფრო დიდხანს შეუძლია წყალქვეშ გაჩერება თუ თახვს?**

„ბავშვობის“ მეგობრები

ლომი, ვეფხვი და დათვი ერთად ცხოვრობენ და არათუ არ ჩხუბობენ, არამედ სულ ერთად ატარებენ დროს, ერთად თამაშობენ, ერთად ჭამენ, ერთმანეთს უფრთხილდებიან კიდეც. როგორც ირკვევა, მათი მეგობრობა ჯერ კიდევ მცირე ასაკიდან დაიწყო, როცა ცხოველები ნარკოდილერებს ჰყავდათ ტყვედ, მერე კი, როცა ნარკოდილერები დააპატიმრეს, ცხოველების მეგობრობა გაგრძელდა, - ახალ რეალობაში ისინი ერთმანეთს არ დააშორეს.

- **გაიხსენეთ, ხომ არ იცით ცხოველების მეგობრობის სხვა მაგალითები (რეალური ცხოვრებიდან, წიგნებიდან, ფილმებიდან...).**

წაიკითხეთ ტექსტები:

1. რატომ ყოფენ ძაღლები მოძრავი ავტომობილის ფანჯრიდან თავს

ბევრჯერ გვინახავს მოძრავი ავტომობილის ფანჯრიდან თავგამოყოფილი ძაღლები: ქარი ცხოველს ბეწვს უფრიალებს, დრუნჩზე კი ნეტარება აქვს გამოსახული.

ძაღლებს ავტომობილის ფანჯრიდან თავის გამოყოფა აშკარად მოსწონთ. რა არის ამის მიზეზი? - სუნი. ძაღლები ყველაფერში ყნოსვას ენდობიან, რადგან მათი მხედველობა მოიკოჭლებს.

მათ გასაოცარი ყნოსვა აქვთ. ადამიანის ყნოსვის მემბრანებს 5 მილიონი რეცეპტორი, ანუ „სუნის უჯრედი“ აქვს. ძაღლების ყნოსვის მემბრანებს კი - 225 მილიონი რეცეპტორი.

ჩქარი მოძრაობის დროს ძაღლის დრუნჩზე დაბერილი ქარი ცხოველის ტვინს უამრავ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ინფორმაციას აწვდის და ძაღლებს ავტომობილის ფანჯრიდან თავის გამოყოფა სწორედ იმიტომ უყვართ, რომ გარე სამყაროზე წარმოდგენა შეიქმნან და, ამასთან, ახალი შთაბეჭდილებები მიიღონ.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ცხენი ტეხასში, მაუნტ პლიზენტში ცხოვრობს. ამ ფლოქვებიან „ტანკს“ სახელად **რადარი** ჰქვია. მისი სიმაღლე 2,8 მ-ია, წონა კი 1008 კგ. რადარს მადაც, ცხადია, თავისი ზომების შესაბამისი აქვს. ის დღეში ათობით კგ ქერს მიირთმევს, რასაც 75 ლიტრ წყალს აყოლებს.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ღორის ფიტული ჩინეთში, ლაონინის პროვინციის მუზეუმში ინახება, - იგი გინესის წიგნშია დაფიქსირებული. ღორი 900 კგ-ს იწონიდა და სიგრძეში 2,5 მ იყო, წელის გარშემოწერილობა 2,23 მ-ს, ხოლო ეშვების სიგრძე კი 14,4 სმ-ს აღწევდა.

მისი ყოფილი პატრონის ფერმერ ხუ ჩანჯინის თქმით, ღორი **ჩუნ-ჩუნი** გოჭობიდანვე გასაოცარი მადით გამოირჩეოდა და მისი ცალკე სადგომში გადაყვანა გახდა საჭირო, რადგან 10 ღორისთვის გათვალისწინებულ საკვებს მთლიანად ის ნთქავდა. სუპერღორმუცელამ 5 წელი იცოცხლა.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ძაღლი, **ჰერკულესი,** ორი წელია, რაც პირველობას ინარჩუნებს. გიგანტური ინგლისური მასტიფის წონა 128 კგ, ხოლო კისრის გარშემოწერილობა 1 მ-ია, არადა, ის ჯერ მხოლოდ 4 წლისაა. „ჰერკის ყოველთვის უყვარდა ჭამა და ძილი. მისთვის სპეციალური მენიუ არ შემირჩევია, ჩვეულებრივად ვკვებავ, ის კი იზრდება და იზრდება“, - აცხადებს ძაღლის პატრონი მისტერ ფლინი, რომელიც პროფესიონალი ბოდიბილდერია.

2. ყოველ მეხუთე თბილისელს ჰყავს შინაური ცხოველი/ფრინველი



„ეისითის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისის მოსახლეობის 20%-ს ჰყავს შინაური ცხოველი/ფრინველი.

მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ძაღლი (60%). აღსანიშნავია, რომ პოპულარობით მეორე ადგილზე არა კატა (10%), არამედ თუთიყუშია (28%).

შინაური ცხოველის/ფრინველის პატრონები მათი მოვლისთვის თვეში საშუალოდ 38 ლარს ხარჯავენ.

კვლევა ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის გზით თბილისის 400 ზრდასრულ მოსახლეს შორის 2017 წლის იანვარში. მონაცემთა სტატისტიკური ცდომილება არ აღემატება 4.9%-ს. გამოყენებული მეთოდი – პირისპირ ინტერვიუ.

მოიკოჭლებს = სუსტია
გასაოცარი = სასწაული = ძალიან კარგი
ნეტარება = სიამოვნება
მიირთმევს *(ზრდ.-ირონ.)* **= ჭამს**
ცდომილება = შეცდომა, შეუსაბამობა
ნოქავს *(უხეშ.)* **= ჭამს**
კვებავს = აჭმევს
სპეციალური = საგანგებო
ღორმუცელა = მსუნაგი

❖ **ამოწერეთ უცნობი სიტყვები და განმარტეთ ლექსიკონის დახმარებით.**

❖ **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** სუნი, ყნოსვა, ძაღლი, დრუნჩი, ღორი, გოჭი, ცხენი, ეშვი, მიირთმევს

უპასუხეთ კითხვებს:

- **როგორი ყნოსვა აქვს ძაღლს?**
- **რატომ უყვარს ძაღლს მანქანიდან თავის გამოყოფა?**
- **სად ცხოვრობს რადარი?**
- **რა ჯიშის ძაღლია ჰერკულესი?**
- **რითი გამოირჩეოდა „ბავშვობიდან“ ჩუნ-ჩუნი?**
- **რითია გატაცებული მისტერ ფლინი?**
- **რომელი ცხოველი/ფრინველი გყავთ სახლში?**

❖ **„ეისითის“ კვლევის მიხედვით მიხედვით 400 გამოკითხულიდან რამდენ ადამიანს ჰყავს:**

თევზი	
თუთიყუში	
ძაღლი	
კურდღელი	
კატა	

❖ **ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:**

ადგილზეა, პროფესიონალი, მადით, მემბრანებს, ფანჯრიდან, საკვებს

ძაღლებს ავტომობილის ..... თავის გამოყოფა სწორედ იმიტომ უყვართ.
ღორი ჩუნ-ჩუნი გოჭობიდანვე გასაოცარი ..... გამოირჩეოდა.
მისტერ ფლინი ..... ბოდიბილდერია.
ის ათი ღორისთვის გათვალისწინებულ ..... მთლიანად ჭამდა.
პოპულარობით მეორე ..... თუთიყუში.
ადამიანის ყნოსვის ..... ხუთი მილიონი რეცეპტორი აქვს.

❖ **დავალება.**

დახატეთ (ან უბრალოდ დაასახელეთ) ცხოველები, რომელთაც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად ჰგავს თქვენი ნაცნობები. მთავარი აქცენტი გააკეთეთ არა ცხოველებზე, არამედ ნაცნობებზე.

ნიმუში: X იმით ჰგავს ძაღლს, რომ არის ძალიან ერთგული...

ძაღლები...

ძაღლი ადამიანის მეგობარია უხსოვარი დროიდან. თუმცა ეს ცხოველები არასწორი გაწვრთნის შემთხვევაში ზოგჯერ საშიშებიც არიან. თანაც, ყველა ჯიშის ძაღლს ხომ ერთნაირი ბუნება არა აქვს...

	ტოსა ინუ შეიძლება შესანიშნავი მეგობარი იყოს, თუმცა ის ადრეული ასაკიდანვე უნდა იყოს შეჩვეული სხვა ცხოველებს და გაიწვრთნას სათანადოდ. შთამბეჭდავი გარეგნობის და „მაკომპრომეტირებელი“ წარსულის გამო ტოსა ინუ ბევრ ქვეყანაში აკრძალულია.
	**ამერიკული ბანდოგი** ძალიან ძლიერი ძაღლია, ამერიკული პიტბულ ტერიერისა და ნეაპოლიტანური მასტიფის ნაჯვარი. მიუხედავად მისი ვიზუალისა, ის არ არის საბრძოლო ჯიშის ძაღლი, თუმცა მას ზოგი იყენებდა ამ დანიშნულებით.
	კანე კორსო აქვს მსხვილი ძვლები და კარგად განვითარებული მუსკულატურა. იგი შეიძლება იწონიდეს 99-დან 150 ფუნტამდე. რომაელები მას იყენებდნენ დიდ ცხოველებზე სანადიროდ, სასახლეების და ეკლესია-მონასტრების დასაცავად, პირად მცველებად და ბრძოლებში. კანე კორსო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სასამსახურო ძაღლია.
	**ბულტერიერი** ცნობილია დიდი კვერცხის ფორმის თავით. კეთილგანწყობილია ადამიანის მიმართ და ძაღლის სხვა ჯიშებთან შედარებით იშვიათად იკბინება. მაგრამ თუ კბენა გადაწყვიტა, მის კბილებს საშინელი დაზიანებების მიყენება შეუძლია — მსხვერპლისგან ძაღლის მოცილება ძალიან ძნელია.
	არგენტინული დოგი დიდი, ძლიერი და კუნთოვანი ძაღლია, იაგუარზე ან პუმაზე ნადირობა მის გარეშე წარმოუდგენელია. სამშობლოში არგენტინულ დოგებს იყენებენ ასევე პოლიციასა და ჯარში საყარაულო სამსახურისათვის.
	ბასენჯი ეს ჯიში გამოყვანილია ცენტრალურ აფრიკაში. ბასენჯი ადვილად ეჩვევა ქალაქის პირობებში ცხოვრებას. კარგად ეგუება სიცხეს და ბავშვებს. ძნელად იწვრთნება და ცუდი მოდარაჯეა.
	გერმანული დოგი ძაღლის ჯიში, რომელიც გამოყვანილია გერმანიაში. ამ მებრძოლ მასტიფებს, ალბათ, გრეიჰაუნდებთან აჯვარებდნენ, რის შედეგადაც წარმოიშვა დახვეწილი და გაწონასწორებული თანამედროვე ძაღლი. იგი მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ყველაზე მაღალი ძაღლი.

	ბოქსიორი ეს დაკუნთული, საშიში შესახედაობის ძაღლი სახლის არაჩვეულებრივი დამცველია და ამავე დროს ბავშვების მიმართ ალერსიანობით გამოირჩევა. ხმაურიანი, თავდაჯერებული ბოქსიორი 100 წლის წინ გერმანიაში გაჩნდა.
	მგელძაღლი მგლისა და ძაღლის ნაჯვარი, რომელსაც აქვს მგლის სიფრთხილე. გენეტიკური თვისებების მიხედვით ნაკლებად პროგნოზირებადი ქცევები ახასიათებს.
	დობერმან პინჩერი დობერმანები ადვილად სწავლობენ პატრონის პატივისცემასა და დაცვას და ამის გამო ბრწყინვალე მოდარაჯე ძაღლებად ითვლებიან. ზოგადად ისინი მეგობრულნი არიან ადამიანებისა და სხვა ძაღლების მიმართ, თუმცა მიეკუთვნებიან ძაღლის ისეთ ჯიშებს, რომელთაც შესაძლოა აგრესია გამოავლინონ უცხოებისა და სხვა ძაღლებისადმი.
	როტვეილერი ძლიერი სხეულის და ყბების მქონე ძაღლია. იგი შეიძლება არაჩვეულებრივი დამცველი იყოს. დღეს ეს ლამაზი, ძლიერი და ტახზე მონადირე ძაღლი მთელ მსოფლიოშია პოპულარული, როგორც კომპანიონი და მონადირე. სჭირდება ძლიერი ფიზიკური დატვირთვა. შეიძლება პრობლემები წარმოიქმნას სხვა ძაღლებთან ურთიერთობისას.
	პიტბული ეს ჯიში გამოყვანილია ამერიკაში სპეციალურად ძაღლების ჩხუბისთვის. მისი აგრესიულობა მიმართულია მხოლოდ ძაღლებისა და სხვა ცხოველებისკენ. ამერიკაში ამ ჯიშით ნადირობენ გარეულ ტახზე, დათვზე; კარგი ყნოსვა აქვს, ბრძოლისუნარიანი და ტკივილის ამტანია. ამერიკაში იგი ცნობილია, როგორც ყველაზე საშიში ძაღლი.
	კავკასიური ნაგაზი კავკასიური ნაგაზი ფხიზელი, ყურადღებიანი, ძლიერი დამცველობითი ინსტინქტისა და გაწონასწორებული ფსიქიკის მქონე ძაღლია. აგრესიულია უცხოს მიმართ, ერთგული, გულადი, მოსიყვარულე - მფლობელებისა და თავისი ოჯახის წევრებისადმი.

ანა კვაშილავას მიხედვით (იხ.: http://intermedia.ge)

❖ შემოხაზეთ სწორი პასუხები

I. დათვზე მონადირეა:
- ტოსა ინუ
- ბოქსიორი
- მგელძაღლი
- პიტბული

II. ბევრ ქვეყანაშია აკრძალული:
- მგელძაღლი
- გერმანული დოგი
- ტოსა ინუ
- როტვეილერი

III. ნაკლებად პროგნოზირებადია:
- ტოსა ინუ
- მგელძაღლი
- ბულტერიერი
- კავკასიური ნაგაზი

IV. ყველაზე მაღალი ძაღლია:
- არგენტინული დოგი
- კავკასიური ნაგაზი
- გერმანული დოგი
- ბასენჯი

V. კვერცხის ფორმის თავი აქვს:
- არგენტინულ დოგს
- გერმანულ დოგს
- დობერმან პინჩერს
- ბულტერიერს

VI. ცუდი წარსული აქვს:
- ბოქსიორს
- როტვეილერს
- ტოსა ინუს
- ბასენჯის

VII. აფრიკული ჯიშია:
- ბასენჯი
- კანე კორსო
- ტოსა ინუ
- პიტბული

VIII. ჩინებული პირადი მცველია:
- ბასენჯი
- ტოსა ინუ
- კანე კორსო
- არგენტინული დოგი

IX. ყველაზე საშიში ძაღლია:
- ბასენჯი
- როტვეილერი
- პიტბული
- ამერიკული ბანდოგი

X. ძალიან ფრთხილია:
- პიტბული
- მგელძაღლი
- ტოსა ინუ
- კანე კორსო

XI. საუკუნის წინ გაჩნდა გერმანიაში:
- დოგი
- ტერიერი
- ბოქსიორი
- მასტიფი

XII. გამოირჩევა პატრონის პატივისცემით:
- დობერმან პინჩერი
- ტოსა ინუ
- მგელძაღლი
- ბანდოგი

XIII. ნადირობს იაგუარზე:
- ბულტერიერი
- დობერმან პინჩერი
- არგენტინული დოგი
- კანე კორსო

XIV. გაწონასწორებულია:
- ბასენჯი
- მგელძაღლი
- კავკასიური ნაგაზი
- ამერიკული ბანდოგი

XV. ბრწყინვალე მოდარაჯე ძაღლია:
- ბოქსიორი
- ამერიკული ბანდოგი
- დობერმან პინჩერი
- კანე კორსო

XVI. პიტბულისა და მასტიფის ნაჯვარია:
- კავკასიური ნაგაზი
- ამერიკული ბანდოგი
- გერმანული დოგი
- არგენტინული დოგი

აღწერეთ სურათი.

სარეკომენდაციო სიტყვები და ფრაზები:

პატარა, ბიჭი, ძაღლი, ანკესი, თევზაობს, იჭერს/უჭირავს/დაჭერილი ჰყავს, ნაპირი, მაღალი, პირით, წყალი / მდინარე, მეგობარი/მეგობრები, ზრუნავს, უყვარს, მშვიდად/არხეინად, ჩავარდება, ეშინია, ქუდი, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული...

❖ *წაიკითხეთ ტექსტი.*

ერთმა **ბუმ არწივს** შეუთვალა: შენ დღისითა ხარ ძლიერი, მე ღამით, მოდი, მოყვრები გავხდეთ, შენი ქალი ჩემს ვაჟს შევრთოთო. არწივი დაეთანხმა.

შეუდგნენ ქორწილის სამზადისს, მაგრამ დღისით ბუ ვერ ხედავდა ვერაფერს და ღამე - არწივი.

ასე ჩაეშალათ ქორწილი.

ა) ამ ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს (სრულად):

- **რომელი ფრინველია დღისით უფრო ძლიერი?**

- **ღამით რომელი ფრინველია უფრო ძლიერი?**

- **რაზე შეთანხმდნენ ბუ და არწივი?**

- **რომელი ვერ ხედავდა დღისით ვერაფერს?**

- **რომელი ვერ ხედავდა ღამით ვერაფერს?**

- **რატომ ჩაეშალათ ბუსა და არწივს ქორწილი?**

ბ) **ჩამოწერეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები ტექსტიდან.**

- **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** ფრინველი, შენ, ღამით, ქორწილი, ცოლი, ხედავს, მაგრამ

---

6. ტრანსპორტი.

ტრანსპორტის დანიშნულებაა ადამიანების გადაყვანა ან ტვირთის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეში.

განასხვავებენ მიწისზედა, წყლის და საჰაერო ტრანსპორტს. მიწისზედა ტრანსპორტში იგულისხმება სარკინიგზო ტრანსპორტი, საავტომობილო და მილსადენი ტრანსპორტი, წყლის ტრანსპორტში – საზღვაო და სამდინარო, საჰაეროში – საავიაციო ტრანსპორტი.

საჰაერო ტრანსპორტია: ვერტმფრენი, თვითმფრინავი, ხომალდი.

წყლის ტრანსპორტია: გემი, კატარღა, კატერი, ნავი.

სარკინიგზო ტრანსპორტია: მატარებელი, მეტრო, ტრამვაი.

საგზაო ტრანსპორტია: ავტობუსი, ავტომობილი, ველოსიპედი, მოტოციკლი, სატვირთო ავტომანქანა, ტროლეიბუსი...

❖ **მიუწერეთ სათანადო სიტყვები. გამოიყენეთ ლექსიკონი.**



ტრანსპორტის უცნაური სახეობები

არსებობს ქვეყნები, სადაც ადგილობრივი მთავრობა მოსახლეობისა და ტურისტების გადაადგილებისთვის სხვადასხვა და ცოტა უცნაურ სატრანსპორტო საშუალებებს იყენებს. გთავაზობთ მსოფლიოს ყველაზე უცნაურ სატრანსპორტო საშუალებებს.

	ჩენელ ტაქსი (ტაილანდი) – ამ დიდი ნავებით ბანგკოკში სხვადასხვა მიმართულებით ათასობით ადამიანი გადაადგილდება.
	ჯონკი (ბანგკოკი) – ტრანსპორტის ეს სახეობა, ჩაშენებული ძრავით, ასევე ძალიან პოპულარულია ბანგკოკში.
	სეგვეი (აშშ) – ეს ელექტრონული თვითგადაადგილების საშუალება 2001 წელს დინ კეიმენმა გამოიგონა და ის ძალიან პოპულარულია.
	გიროსკუტერი – ესაა გადაადგილების საშუალება, რომელიც დინამიკური ბალანსის საშუალებითა და ელექტროძრავის დახმარებით მოძრაობს. ამ სკუტერს ინტელექტუალურ ტრანსპორტს უწოდებენ, რადგან აქ სიჩქარის მართვა და მანევრირება საკმაოდ მარტივია.
	ამფიბუსი ანუ **ავტობუსი-ამფიბია (ნიდერლანდები)** – ეს უნიკალური ავტობუსი მოძრაობს როგორც ხმელეთზე, ასევე წყალში. ეს ტრანსპორტი როტერდამის ღირსშესანიშნაობად ითვლება.
	აქლემი-ავტობუსი (კუბა) – ეს სატრანსპორტო საშუალება ავტობუსისა და სატვირთო მანქანის ნაზავია. მას 300-მდე ადამიანის გადაყვანა შეუძლია.
	მატარებელი-ატრაქციონი (გერმანია) – ეს, ერთი შეხედვით, საშიში ტრანსპორტი ქალაქ ვუპერტალში 1901 წლიდან ფუნქციონირებს. ამ დაკიდებულ მატარებელს დღეში 82 ათასი ადამიანი გადაჰყავს.

	მაგლევი ანუ **მატარებელი მაგნიტურ ბალიშზე (შანხაი)** – ეს მატარებელი 431 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს და ის შანხაიში მოძრაობს. ესაა ყველაზე სწრაფი მატარებელი მსოფლიოში.
	დუკვი (დიდი ბრიტანეთი) – ესაა კიდევ ერთი ავტობუსი-ამფიბია, რომელიც ტურისტებს ლონდონის უკეთ დათვალიერების საშუალებას აძლევს.
	ფელუკა (ეგვიპტე) – ესაა ტრადიციული ეგვიპტური ნავი, რომელიც ხისგანაა დამზადებული. ამ სატრანსპორტო საშუალებას ეგვიპტელები უკვე წლებია იყენებენ და ის კულტურის ნაწილად ითვლება.
	სიკლო (ვიეტნამი) – ეს ტრასპორტი საკმაოდ პოპულარულია ვიეტნამში. ამ ველოტაქსით ტურისტები სწრაფად გადაადგილდებიან ხალხით დატვირთულ ქუჩებში.
	ბამბუკის რკინიგზა კამბოჯაში – ბამბუკისგან დამზადებული ეს ტრანსპორტი საათში 40 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს და ძალზე ეკონომიურია.
	ბარკო დე ტოტორა (პერუ) – ეს ტრანსპორტი ძალზე პოპულარულია ადგილობრივ მეთევზეებსა და ტურისტებში.
	ლიფტები (ჩილე) – ეს ლიფტები მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. ძირითადად ისინი მოქმედებს იმ ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, რომლებიც მაღალმთიან ადგილებში ცხოვრობენ. ამ ლიფტების საშუალებით ტურისტებს შეუძლიათ დაათვალიერონ ქალაქი ვალპარასიო.
	ეტლი (იაპონია) – ეს ტრანსპორტი იაპონიის კულტურის ნაწილად ითვლება და ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან მოქმედებს.

http://fortuna.ge/msoflios-15-yvelaze-ucnauri-transporti-foto/

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები**

I. ბამბუკის რკინიგზა არის:
- ვიეტნამში
- პერუში
- პანამაში
- მექსიკაში

II. ველოტაქსებით მოძრაობენ:
- ესპანეთში
- ვიეტნამში
- პოლონეთში
- მაროკოში

III. ეკონომიური ტრანსპორტია:
- ბამბუკის რკინიგზა
- ლიფტი
- ავტობუსი
- მატარებელი

IV. ფელუკა არის:
- გემი
- მატარებელი
- ავტობუსი
- ნავი

V. ინტელექტუალური ტრანსპორტი, ანუ:
- ურემი
- გიროსკუტერი
- მარხილი
- ფელუკა

VI. როტერდამის ღირსშესანიშნაობა:
- ტაქსი
- მეტრო
- კატერი
- ამფიბუსი

VII. ბარკო დე ტოტორა არის:
- წყლის ტრანსპორტი
- სახმელეთო ტრანსპორტი
- საჰაერო ტრანსპორტი
- მიწისქვეშა ტრანსპორტი

VIII. ლიფტები სატრანსპორტო საშუალებაა:
- გერმანიაში
- ინგლისში
- ჩილეში
- პერუში

IX. ჩენელ ტაქსით მოძრაობენ:
- შანხაიში
- ლონდონში
- პარიზში
- ბანგკოკში

X. აქლემი-ავტობუსით მოძრაობენ:
- ეგვიპტეში
- კუბაზე
- სირიაში
- ირანში

XI. მატარებელი-ატრაქციონი არის:
- გერმანიაში
- უკრაინაში
- ლიტვაში
- ლატვიაში

XII. სეგვეი გამოიგონეს:
- ჩინეთში
- იაპონიაში
- ამერიკაში
- კორეაში

XIII. ამფიბუსი მოძრაობს:
- მხოლოდ ხმელეთზე
- მხოლოდ წყალში
- მხოლოდ ჰაერში
- ხმელეთზე და წყალში

XIV. ჯონკი პოპულარულია:
- შანხაიში
- ბანგკოკში
- სეულში
- ტოკიოში

XV. უსწრაფესი მატარებელი მსოფლიოში:
- ფელუკა
- მაგლევი
- ჯონკა
- სიკლო

XVI. დინ კეიმენმა გამოიგონა:
- ციგა
- თვითმფრინავი
- თხილამური
- სეგვეი

სამთვალა შუქნიშანი

ქალაქში ტრანსპორტისა და ქვეითების მოძრაობას არეგულირებს შუქნიშანი.

შუქნიშანი სამთვალაა, ანუ, მას სამი თვალი აქვს. ერთი თვალი „კეთილია“, მეორე - „მკაცრი“, მესამე - „გამაფრთხილებელი“.

კეთილი თვალი **მწვანეა.** როცა ის ანთია, მოძრაობის ნება გვაქვს.

მკაცრი თვალი **წითელია.** როცა ის ანთია, მოძრაობა აკრძალულია.

გამაფრთხილებელი თვალი **ყვითელია.** როცა ის ანთია, ეს იმას ნიშნავს, რომ მალე წითელი ან მწვანე თვალი აინთება და ყურადღებით უნდა ვიყოთ.

ასე რომ, როცა ქუჩაში გადასასვლელზე გადავდივართ, უნდა დავაკვირდეთ შუქნიშნის თვალებს. ისინი ჩვენზე ზრუნავენ, - სწორად უნდა მოვიქცეთ და არ დავარღვიოთ მოძრაობის წესები. ეს ჩვენი და სხვების უსაფრთხო გადაადგილებისთვისაა აუცილებელი.

უპასუხეთ კითხვებს:

- **რატომ ჰქვია შუქნიშნის მწვანე თვალს „კეთილი“?**

- **რატომ არის „მკაცრი“ შუქნიშნის წითელი თვალი?**

- **რას გვაფრთხილებს ყვითელი თვალი, როცა ის ანთია?**

- **როგორ ფიქრობ, მართლა ზრუნავენ ჩვენზე შუქნიშნის თვალები?**

- **რატომ უნდა დავიცვათ ქუჩაში მოძრაობის წესები?**

დაწერეთ, რა შეიცვალა?

betube.ge

პირველი ტრანსპორტი საქართველოში
(ტივიდან, ბორნიდან და ურმიდან ავტომანქანამდე)

სანამ XX საუკუნის დასაწყისში ავტომობილებს გამოიგონებდნენ, ადამიანები სულ სხვა სახის ტრანსპორტით გადაადგილდებოდნენ.

ძველად, მტკვარზე, ხის დიდი მორებისგან შემდგარი **ტივებით** გადაადგილდებოდნენ.

გლეხები თბილისში მახლობელი სოფლებიდან **ურმებით** ჩამოდიოდნენ. ზოგს **ვირზე** გადაკიდებულ ხურჯინში მაწვნით სავსე ქილები ჩამოჰქონდა გასაყიდად. მდინარეებსა და ტბებზე გადაადგილების საშუალებად **ბორანსაც** იყენებდნენ.

მოგვიანებით ქალაქის ქუჩებში **ფაეტონი** გამოჩნდა, **ეტლი,** რომელშიც შებმული იყო ერთი, ორი ან სამი **ცხენი.** მალე ქუჩებში **ლიანდაგების** მსგავსი რამ გაჩნდა. ზედ იდგა ერთი ღია **ვაგონი,** რომელიც ცხენების დახმარებით დადიოდა.

პირველად ის გოლოვინსკიზე (დღევანდელი რუსთაველის გამზირი) გამოჩნდა, მეფისნაცვლის სასახლის წინ. მას **კონკა** შეარქვეს.

ელექტროტრანსპორტი თბილისში XX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1904 წელს გამოჩნდა. ეს **ტრამვაი** იყო. მისი ხაზი 1904 წლის 21 ნოემბერს გაიხსნა.

ის კონკის გზას იმეორებდა. ამავე წელს გამოჩნდა საქართველოს დედაქალაქში ავტოტრანსპორტიც. პირველი **ავტომობილი** მეფისნაცვალს ეკუთვნოდა.

ველოსიპედიც ისეთივე პოპულარული იყო ტფილისში, როგორც შემდეგ ავტომობილი. XIX საუკუნის ბოლოს ქალაქში 250 ველოსიპედი დადიოდა.

თბილისში **ავტობუსის** პირველი მარშრუტი 1934 წელს გაიხსნა. მან რუსთაველის გამზირი ვაგზლის მოედანს დაუკავშირა.

თბილისში **ტროლეიბუსის** პირველი ხაზი 1937 წლის 30 მარტს ამუშავდა, „დინამოს“ სტადიონიდან, პლეხანოვის პროსპექტის გავლით, მარქსის მოედნამდე. 1938 წელს ტროლეიბუსი რუსთაველის გამზირზე გამოჩნდა.

სახელწოდება **მეტროპოლიტენი** ფრანგული სიტყვიდან ,,მეტროპოლიტაინ“ წარმოიშვა, რაც სიტყვასიტყვით ,,მიწისქვეშა ქალაქს“ ნიშნავს. მეტროპოლიტენის სამშობლო ბრიტანეთის დედაქალაქი ლონდონია. ლონდონში პირველი მეტროსადგური 1863 წლის 10 იანვარს გაიხსნა. სწორედ ეს თარიღი მიიჩნევა მეტროს დაბადების დღედ.

თბილისში მეტროს შექმნის იდეა XX საუკუნის შუა ხანებში გაჩნდა. მისი გახსნის დადგენილება 1951 წლის 29 სექტემბერს მიიღეს.

თბილისის მეტრო ექსპლოატაციაში შევიდა 1966 წლის 11 იანვარს და ის მეტროს მეოთხე სისტემა იყო საბჭოთა კავშირში (მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის შემდეგ).

1966 წლის 11 იანვარს თბილისში გაიხსნა ექვსი **მეტროსადგური:** „რუსთაველი“, „მარჯანიშვილი“, „ვაგზლის მოედანი“, „ოქტომბერი“ (შემდგომში მას „ნაძალადევი“ ეწოდა), ,,ელექტროდეპო“ და „დიდუბე“.

1967 წლიდან გაგრძელდა სადგურების მშენებლობა და ხაზი 4 კმ.-ით გაიზარდა. მშენებლობა 1971 წელს დასრულდა და საერთო შემადგენლობას კიდევ 5 სადგური დაემატა: „ლენინის მოედანი“ (დღეს მას „თავისუფლების მოედანი“ ეწოდება), „ ავლაბარი“, „300 არაგველი“, „ისანი“ და „სამგორი“.

1979 წელს მეტროპოლიტენს დაემატა მეორე – საბურთალოს ხაზი. ამჟამად თბილისის მეტროში 23 სადგურია.

ფაეტონი = ეტლი	**მეტროპოლიტენი = მეტრო**
ავტომობილი = ავტომანქანა = მანქანა	**ლიანდაგი = რელსი**
პროსპექტი = გამზირი	**ძველად = ადრე**

❖ **ამოწერეთ უცნობი სიტყვები და განმარტეთ ლექსიკონის დახმარებით.**

❖ **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** ტრანსპორტი, მანქანა, ეტლი, გამზირი, სადგური, გზა, შუქნიშანი

❖ **უპასუხეთ კითხვებს:**

- **როდის გაჩნდა თბილისში მეტროს შექმნის იდეა?**

- **რომელი ქალაქია მეტროპოლიტენის სამშობლო?**

- **რას ნიშნავს სიტყვა „მეტროპოლიტაინ“?**

- **რისგან შედგებოდა ტივი?**

- **ვისი საკუთრება იყო პირველი ავტომობილი საქართველოში?**

- **რა ერქვა ადრე რუსთაველის გამზირს?**

- **როდის გამოჩნდა ელექტროტრანსპორტი თბილისში?**

❖ **დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:**

დაუკავშირა, დადიოდა, ეკუთვნოდა, გასაყიდად, ლონდონია

მეტროპოლიტენის სამშობლო ბრიტანეთის დედაქალაქი .....
პირველი ავტომობილი მეფისნაცვალს .....
ზოგს ვირზე გადაკიდებულ ხურჯინში მაწვნით სავსე ქილები ჩამოჰქონდა .....
ერთი ღია ვაგონი ცხენების დახმარებით .....
მან რუსთაველის გამზირი ვაგზლის მოედანს .....

❖ **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. ღია	გაჩნდა
ბ. მეტროს	დადგენილება
გ. დაბადების	გაიხსნა
დ. მარშრუტი	დღე
ე. იდეა	ვაგონი
ვ. გახსნის	ხაზი

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. **მეტრო გამოიგონეს:**
(1) საფრანგეთში
(2) ინგლისში
(3) გერმანიაში
(4) ამერიკაში

II. **თბილისში პირველი ავტომობილი გამოჩნდა:**
(1) ათას რვაას ოთხ წელს
(2) ათას ცხრაას ოთხ წელს
(3) ათას რვაას სამოცდაოთხ წელს
(4) ათას რვაას შვიდ წელს

III. XIX საუკუნეში გლეხები თბილისში ჩამოდიოდნენ:

(1) კონკით
(2) ველოსიპედით
(3) ურმით
(4) ავტომობილით

IV. რომელი ელექტროტრანსპორტი გამოჩნდა თბილისში პირველად?

(1) ტროლეიბუსი
(2) მეტრო
(3) ტრამვაი
(4) ელექტრომობილი

V. ავტობუსის პირველი მარშრუტი იყო:

(1) „დინამოს“ სტადიონი – მარქსის მოედანი
(2) რუსთაველის გამზირი – ვაგზლის მოედანი
(3) ვაგზლის მოედანი – მარქსის მოედანი
(4) „დინამოს“ სტადიონი – ვაგზლის მოედანი

VI. მეტროსადგური „მარჯანიშვილი“ გაიხსნა:

(1) ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტ წელს
(2) ათას ცხრაას სამოცდაექვს წელს
(3) ათას ცხრაას სამოცდასამ წელს
(4) ათას ცხრაას სამოცდაცხრამეტ წელს

VII. ტროლეიბუსი რუსთაველის გამზირზე გამოჩნდა:

(1) ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტ წელს
(2) ათას ცხრაას ოცდათვრამეტ წელს
(3) ათას რვაას სამოცდასამ წელს
(4) ათას ცხრაას სამოცდაექვს წელს

VIII. საჰაერო ტრანსპორტია:

(1) შვეულმფრენი
(2) ტივი
(3) მეტრო
(4) ტრამვაი

IX. წყლის ტრანსპორტია:

(1) ბორანი
(2) ველოსიპედი
(3) ავტობუსი
(4) რაკეტა

X. სარკინიგზო ტრანსპორტია:

(1) ტრამვაი
(2) ტროლეიბუსი
(3) ფაეტონი
(4) ურემი

XI. საგზაო ტრანსპორტია:

(1) თვითმფრინავი
(2) ავტობუსი
(3) კატერი
(4) მატარებელი

❖ **დაალაგეთ ტრანსპორტის სახეობები გამოჩენის ქრონოლოგიის მიხედვით (სათანადო გრაფაში დასვით პლუსი /+/):**

	1	2	3	4	5	6
მეტრო						
ავტომობილი						
ველოსიპედი						
ურემი						
ტროლეიბუსი						
ტრამვაი						

ჯიპი...

ეს უდავოდ ყველაზე დიდი ჯიპია მთელ მსოფლიოში, მისი სიმაღლე 4,7 მეტრია, ხოლო ბორბლების სიმაღლე – 3 მეტრი. იგი 17 236 კილოგრამას იწონის, ძრავაზე და საწვავის ხარჯზე კი ლაპარაკიც ზედმეტია

უპასუხეთ კითხვებს:

- **რამდენი სანტიმეტრია მსოფლიოში ყველაზე დიდი ჯიპის სიმაღლე?**

_____

- **რამდენი სანტიმეტრია მსოფლიოში ყველაზე დიდი ჯიპის ბორბლების სიმაღლე?**

_____

- **რამდენს ტონას იწონის გიგანტური ჯიპი?**

_____

აღწერეთ სურათი (მოიფიქრეთ სიუჟეტი).

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

სარეკომენდაციო/დამხმარე ლექსიკა და ფრაზები: მანქანა, მძღოლი, დაეჯახა, გზა, სავალი ნაწილი, გვერდზე, გადავიდა, ხე, ავარია, მუხრუჭი, კაპოტი, დაზიანდა/გაფუჭდა, მანქანა დაამტვრია, საჭე, მარჯვენასაჭიანი, ნასვამი/მთვრალი, დალევა, დალია, ღამენათევი/უძინარი, დაეძინა/ძილი მოერია, დაბადების დღე, ქორწილი, თამადა, პატრული, ევაკუატორი, დახმარება/სასწრაფო დახმარება, ექიმი...

❖ *აღწერეთ სურათი. მოიფიქრეთ სიუჟეტი.* **რა პრობლემა აქვს მძღოლს? რას მოითხოვს პოლიციელი?**



სარეკომენდაციო/დამხმარე ლექსიკა და ფრაზები: მანქანა, მძღოლი, პატრული, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქუდი, ჰალსტუხი, ფორმა/უნიფორმა, შავი, თეთრი, მოძრაობის შეფერხება, საბურავი, დაშვებული, საბურავის გამოცვლა, ევაკუატორი, პრობლემა, დახმარება, გზის სავალი ნაწილი, მარცხნივ/მარცხენა, მოთხოვნა, გაფრთხილება, მოითხოვს, აფრთხილებს, უხსნის, ჯარიმა, ჟესტი, ახალგაზრდა, ასაკიანი...

❖ *აღწერეთ სურათი. მოიფიქრეთ სიუჟეტი.*



სარეკომენდაციო/დამხმარე ლექსიკა და ფრაზები: მოგზაურობა, მგზავრობა, მიემგზავრება, მიდის, ჩამოვიდა, მძიმე, ბევრი, ტვირთი/ბარგი, მებარგული, წაღება, მიაქვს, მატარებელი, ვაგონი, ფანჯარა, სადგური,/ვაგზალი, წინ, უკან, მიჰყვება, შავი, თეთრი, ურიკა, ჩემოდანი, ჩანთა, მაღალი, გამხდარი, ახალგაზრდა, დაბალი, მსუქანი, ასაკიანი, ტანსაცმელი, ქუდი, ულვაშა/ულვაშიანი, გაუპარსავი...

საინტერესო ციფრები

მეტრო

- პირველ ხაზზე (ახმეტელის თეატრი-ვარკეთილი) მატარებელს მთლიანი მარშრუტის გასავლელად 60 წუთი სჭირდება, ხოლო საბურთალოს ხაზზე - 30 წუთი;
- თბილისის მეტროს გვირაბებიდან ყოველდღიურად 25 000 ტონა წყლის ამოტუმბვა ხდება;
- პირველი ხაზის სიგრძე 40 კმ-ს შეადგენს, საბურთალოს ხაზის სიგრძე კი - 13,6 კმ-ს;
- საშუალოდ დღეში პირველ ხაზზე მომუშავე მატარებლები 400 კმ-ს გადიან, საბურთალოს ხაზზე კი - 311 კმ-ს;
- თბილისის მეტროს სადგურებში არსებული ყველა ესკალატორის საერთო სიგრძე 10 კმ-ს შეადგენს;
- თბილისის მეტროს გვირაბების საერთო სიგრძე (დამხმარე გვირაბებისა და ჩიხების ჩათვლით) 53,7 კმ-ს შეადგენს;
- ყველაზე ღრმა რუსთაველის სადგურია, რომელიც 60 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს;
- მეტრო წელიწადში საშუალოდ 65 მილიონ კვტ/სთ დენს ხარჯავს.

ავტობუსი

- ყველაზე გრძელი ავტობუსის მარშრუტია №106 - ორბელიანის მოედანი/კიკეთი: 60,8კმ (მთლიანი ბრუნის სიგრძე);
- ყველაზე მოკლე მარშრუტია № 79 - მუხიანის დასახლება /მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი“: 4,6კმ;
- მთლიანი ბრუნის დროის მიხედვით ყველაზე ხანგრძლივი მარშრუტია № 51: 2:45 საათი;
- ყველაზე ხანმოკლე მარშრუტი № 79: 32 წუთი;
- თბილისში 1832 ავტობუსის გაჩერებაა;

საბაგირო გზა

- საბაგირო გზის მთლიანი სიგრძე 508 მეტრს შეადგენს;
- საბაგირო გზაზე სულ 7 გონდოლა მოძრაობს - 6 რვაადგილიანი და 1 ხუთადგილიანი;
- გონდოლის მოძრაობის სიჩქარეა 3,5 - 5 მ/წმ;
- რიყიდან ნარიყალამდე საბაგირო გზით მგზავრობა საშუალოდ 2,5 წუთი გრძელდება;
- დონეებს შორის სხვაობა საბაგირო გზის ქვედა (რიყე) და ზედა (ნარიყალა) სადგურებს შორის 93 მეტრია.

http://ttc.com.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=74

უპასუხეთ კითხვებს.

- **რამდენია თბილისის საბაგირო გზის მთლიანი სიგრძე?**

- **რომელია ავტობუსის ყველაზე მოკლე მარშრუტი?**

- **რამდენია თბილისის მეტროს მეორე ხაზის სიგრძე?**

- **რომელია მეტროს ყველაზე ღრმა სადგური?**

- **სულ რამდენი გონდოლა მოძრაობს თბილისის საბაგირო გზაზე?**

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები**

I. მეტროს გვირაბებიდან ყოველდღე იტუმბება:

- ოცდახუთ ტონა წყალი
- ოცდახუთი ათას ტონა წყალი
- ორ-ნახევარ ტონა წყალი
- ორას ორმოცდაათ ტონა წყალი

II. თბილისის საბაგირო გზაზე მოძრაობს:

- 8-ადგილიანი 1 გონდოლა
- 8-ადგილიანი 6 გონდოლა
- 6-ადგილიანი 8 გონდოლა
- 1-ადგილიანი 8 გონდოლა

III. № 51ავტობუსი ერთ ბრუნს უნდება:

- ორ-ნახევარი საათი
- ორი საათი და ორმოცდახუთი წუთი
- სამი საათი და ოცი წუთი
- საათ-ნახევარი

III. № 79 ავტობუსი ერთ ბრუნს აკეთებს:

- სამ-ნახევარ წუთში
- სამ წუთსა და თორმეტ წამში
- სამას ოც წუთში
- ოცდათორმეტ წუთში

V. თბილისის საბაგირო გზის საერთო სიგრძეა:

- რვაას ხუთი მეტრი
- ოთხას რვა მეტრი
- ექვსას შვიდი მეტრი
- ხუთას რვა მეტრი

VI. მეტროს წლიური საშუალო ხარჯია:

- სამოცდახუთი მილიონი კვტ/სთ
- ექვს-ნახევარი კვტ/სთ
- ექვსას ორმოცდაათი კვტ/სთ
- ექვსი კვტ/სთ

VII. მეორე ხაზის მატარებელი დღეში გადის:

- საშუალოდ 311 მეტრს
- საშუალოდ 311 კილომეტრს
- საშუალოდ 3 კმ-სა და 11 მ-ს
- საშუალოდ 31 კილომეტრს

VIII. მეტროს გვირაბების საერთო სიგრძეა:

- დაახლოებით ორმოცდათხუთმეტი კმ
- ორმოცდაათ კილომეტრამდე
- ოცდაათ კილომეტრამდე
- დაახლოებით ოცდათხუთმეტი კმ

IX. რიყიდან ნარიყალამდე საბაგიროს უნდა:

- სამ-ნახევარი წუთი
- ორ-ნახევარი წუთი
- ხუთ-ნახევარი წუთი
- ოცდახუთი წუთი

X. რუსთაველის მეტროს სადგურის სიღრმეა:

- ოცი მეტრი
- ორმოცი მეტრი
- სამოცი მეტრი
- ოთხმოცი მეტრი

XI. მეტროს პირველი ხაზის სიგრძეა:

- ოცი კილომეტრი
- ორმოცი კილომეტრი
- ოთხი კილომეტრი
- ოთხმოცი კილომეტრი

XII. ესკალატორების საერთო სიგრძეა:

- ათასი მეტრი
- ათი ათასი მეტრი
- ასი მეტრი
- ათას ასი მეტრი

XIII. ყველაზე გრძელი მარშრუტი აქვს:

- № 106 ავტობუსს
- № 16 ავტობუსს
- № 96 ავტობუსს
- № 160 ავტობუსს

XIV. რიყისა და ნარიყალას სადგურებს შორის:

- სხვაობა ოცდაცამეტი მეტრია
- სხვაობა სამოცდაცამეტი მეტრია
- სხვაობა ოთხმოცდაცამეტი მეტრია
- სხვაობა ორმოცდაცამეტი მეტრია

XV. პირველი ხაზის სულ გავლას სჭირდება:

- სამოცი წუთი
- სამოცი საათი
- სამოცი წამი
- სამოცი დღე

XVI. თბილისში არის ავტობუსების:

- ათას რვაას ოცდათორმეტი გაჩერება
- რვაას ოცდათორმეტი გაჩერება
- ას ოთხმოცდაორი გაჩერება
- ოცდათორმეტი გაჩერება

* * *

მოლა და მისი შვილი რომელიღაც სოფელში მიდიოდნენ. მამამ შვილი სახედარზე შესვა, თვითონ კი ფეხით გაჰყვა. გზაზე მგზავრები შემოხვდნენ და თქვეს:

- ახლანდელი ახალგაზრდობა არაფრად არ ვარგა, შეხედე თვითონ სახედარზე შემჯდარა და მოხუცი მამა კი ფეხით მისდევს.

მაშინ შვილმა უთხრა მოლას:

- მამა, ხომ გითხარი, ასე არ ვარგა-მეთქი. მოდი, მე ჩამოვალ და შენ შეჯექი.

მოლა სახედარზე შეჯდა.

ცოტა რომ გაიარეს, ახლა სხვა მგზავრები შემოეყარენ და უთხრეს:

- ამოდენა კაცი რომ სახედარზე შემჯდარხარ და ეს გამხდარი ბიჭი კი ფეხით მოგდევს, რა საკადრისია?

მოლამ შვილი უკან შემოისვა. ცოტა რომ გაიარეს, უსაქმურების მთელი გროვა შემოხვდათ. სახედარზე გადამჯდარი მოლა და მისი შვილი რომ დაინახეს, დაუძახეს:



- ეს რა უსულგულო ხალხი ყოფილხართ, განა შეიძლება ერთ სახედარზე ორი კაცი იჯდეს?

მოლა გაჯავრდა, სახედრიდან ჩამოვიდა, შვილიც ჩამოიყვანა და სახედარი წინ გაიგდო.

ბევრი იარეს თუ ცოტა, რამდენიმე კაცი შემოეყარათ. ფეხით მიმავალი მოლა და მისი შვილი რომ დაინახეს, თქვეს:

- რა სულელები არიან, სახედარი ცარიელი მიდის, ესენი კი ამ სიცხეში ფეხით მიჩანჩალებენ.

ეს რომ მოლამ გაიგონა, ხელები მაღლა აღაპრო და თქვა:

- ღმერთო, არა მგონია ქვეყანაზე იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც არ გაჭორონ.

სახედარი = ვირი
არ ვარგა = ცუდია
შემოეყარნენ = შეხვდნენ
გამხდარი = სუსტი
რა საკადრისია = როგორ შეიძლება

გროვა = ჯგუფი
უსულგულო = შეუბრალებელი
გაჯავრდა = გაბრაზდა
მიჩანჩალებენ = მიდიან (ძლივს)
ზევით აღაპყრო = ზევით აიშვირა

- **დაასათაურეთ ტექსტი.**

- **უპასუხეთ კითხვებს.**

სად მიდიოდნენ მოლა და მისი შვილი?

მოლა და მისი შვილი ვირით მგზავრობენ. როგორ შეაფასეს ეს უსაქმურებმა?

თქვენ როგორ მოიქცეოდით მოლას ადგილზე?

წაიკითხეთ ტექსტი.

„პოპულარული“ კარუზო

ერთხელ დიდმა მომღერალმა **კარუზომ** ნიუ-იორკის შტატში მანქანით იმოგზაურა. გზაში მანქანა გაფუჭდა. მომღერალი ერთი ფერმერის სახლს მიადგა. ფერმერმა მას ვინაობა ჰკითხა. მომღერალმა უთხრა თავისი ვინაობა. ფერმერი წამოხტა და ორივე ხელი სტაცა სტუმარს:
_ რამხელა პატივია ჩემთვის, რომ ჩემს სახლში მოვიდა დიდი მოგზაური რობინზონ კრუზო!

❖ *უპასუხეთ კითხვებს:*

- **ვინ არის კარუზო?**

- **ვინ არის კრუზო?**

- **რა შეცდომა დაუშვა ფერმერმა?**

- **რატომ დაუშვა ფერმერმა შეცდომა?**

- **თქვენი აზრით, რატომ არის სიტყვა „პოპულარული“ ბრჭყალებში?**

---

* * *

ხანგრძლივი მოგზაურობისას **ფრანსუა რაბლეს** ერთ-ერთ ქალაქში ფული გაუთავდა და პარიზში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ გზის ფულიც არ აღმოაჩნდა. აიღო შაქრის ნატეხი, გაახვია ქაღალდში, წააწერა: „საწამლავი ხელმწიფისათვის” და მაგიდაზე დადო. შეშინებულმა სასტუმროს დამლაგებელმა ეს პაკეტი სასტუმროს დირექტორს მიურბენინა, ამ უკანასკნელმა კი სასწრაფოდ გამოიძახა პოლიცია. რაბლე დააპატიმრეს და უმალ პარიზისაკენ გააქანეს. პარიზის პოლიციაში რაბლემ აღიარა თავისი განზრახვა და შაქარი თვითონ მიირთვა. პოლიციელებს გაეცინათ და სახლში გაუშვეს.

- **დაასათაურეთ ტექსტი.**

რატომ დააპატიმრეს რაბლე?

რისთვის დასჭირდა რაბლეს ეს ხერხი?

---

* * *

ერთხელ **აკაკი** სადგურიდან სოფელში ეტლით მიდიოდა. მეეტლემ გზად სხვა მგზავრიც აიყვანა და აკაკის გვერდით მოუსვა. ახალი მგზავრი არ იცნობდა პოეტს და თავისი თავი ასე გააცნო _ აკაკი ვარო. გზადაგზა სულ აკაკის ლექსებს ამბობდა ზეპირად. აკაკის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ეტლი გაჩერდა. გამოთხოვებისას ცრუ აკაკიმ ჰკითხა პოეტს:

_ თქვენ ჩემი ვინაობა გაიგეთ, არ შეიძლება ვიცოდე, თქვენ ვინღა ბრძანდებით?

_ დღევანდლამდე აკაკი ვიყავი და დღეის შემდეგ არ ვიცი ვინა ვარო, _ უპასუხა აკაკიმ.

- ***დაასათაურეთ ტექსტი.***

- **საიდან მოდიოდა აკაკი?**

- **რაზე მეტყველებს ცრუ აკაკის საქციელი?**

- **რას ნიშნავს გამოთქმა: „მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა“**

- **რა არის ის, რაც ამ ოთხ იუმორისტულ ტექსტს აერთიანებს?**

---

7. სკოლა; უნივერსიტეტი; მე ვსწავლობ ქართულ ენას...

წაიკითხეთ ტექსტი.

ლალი

კარზე კაკუნია. ლალი მეძახის:

– მასწავლებელო, სკოლაში გვაგვიანდება, „თეზელა“ (სწრაფად) ვისაუზმოთ!

არადა, ჯერ 7 საათი და 30 წუთია, ჩვენი გაკვეთილები კი 9:00 საათზე იწყება. ვიცი, რატომ ჩქარობს ასე: დღეს ხომ 7 მარტია და ღონისძიება გვაქვს. ვერ წარმოიდგენთ, რა ბეჯითი და შრომისმოყვარეა, ჯერ ხომ მხოლოდ 10 წლისაა და მოზრდილივით მთელი დღე დაგეგმილი აქვს. მხიარულია, მოკისკისე, აქტიური, მზრუნველი, ხან დიდი ქალია და ხან პატარა ბავშვი. ახლაც დიდი ქალივით საუზმობს და თან მელაპარაკება:

– მასწავლებელო, რომ შემეშალოს ლექსი, სინათლე რომ არ იყოს, მაშინ რა ვქნა?... არა, არ შემეშლება, მასწავლებელო, თუ გინდათ, ვიტყვი და იწყებს დღეს უკვე მეცხრედ ლექსს. ბოლომდე თქვა და მეკითხება:

– როგორი იყო?!

– კარგი გოგო ხარ, ლალი, მე შენით ვამაყობ!

ამ სიტყვებზე მორცხვად ხრის თავს და ქვემოდან ამომხედავს:

– მართლა, მასწავლებელო?

– მართლა, ლალი.

მივდივართ ყარაჯალის ქვიან გზაზე და 15 წუთში სკოლაში ვართ. ცოტა დრო კიდევ გვაქვს სასაუბროდ.

– მასწავლებელო, რა კარგია, რომ ჩამოხვედით და ჩვენთან ცხოვრობთ, სანამ თქვენ მოხვიდოდით, ძალიან ბევრი სიტყვა არ ვიცოდი და ლაპარაკი მრცხვენოდა, ახლა კი სულ ვლაპარაკობ, თითქოს თუთიყუში ვიყო, მასწავლებელო, მარტო ერთი წლით იცხოვრებთ ჩვენთან? – მეკითხება ღიმილით.

– დიახ, ლალი, მომავალ წელს მაგისტრატურაში უნდა ვისწავლო უნივერსიტეტში!

– მერე ჩვენი სახლი დაგავიწყდება! – ახლა ლალი მოწყენილი იყურება სადღაც იქით.

– გპირდები, რომ არ დამავიწყდება, ოღონდ თუ შემპირდები, რომ კარგად ისწავლი ქართულს! ხომ იცი, მე არასდროს გატყუებ, – ვპასუხობ და ხელს ვუწვდი.

უხარია და კვლავ დღევანდელ ღონისძიებაზე საუბრობს, არადა, საშინელი ქარი პირდაპირ სახეში გვიბერავს, ლამისაა წაგვიღოს, ის კი ლაპარაკობს. პატარა აზერბაიჯანელი უაქცენტოდ და შეუჩერებლად მელაპარაკება. მე ამაყი ვარ ამ დროს, როგორც მისი მასწავლებელი.

მე და ლალი კი სკოლაში მივდივართ. ის ბედნიერია, რომ ჩემს ენაზე ლაპარაკი შეუძლია, მე კი ბედნიერი იმით, რომ მას ვუსმენ.

ლალის ვკითხე, რას ფიქრობ, ეს ჩვენი ერთი დღის ამბავი რომ ინტერნეტში გამოვაქვეყნო-მეთქი?

ცოტა ხნით დაფიქრდა, მერე შემომხედა და მკითხა:

– მასწავლებელო, სხვა ბავშვებს არ ეტკინებათ გული?

– სხვა ბავშვებზეც დავწერ შემდეგში აუცილებლად! – ვპირდები ლალის.

- **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. **სად ცხოვრობს ქართულის მასწავლებელი?**
(1) სკოლაში
(2) სასტუმროში
(3) თავის სახლში
(4) ლალის სახლში

II. **რისი რცხვენოდა ლალის?**
(1) იმის, რომ ზარმაცი იყო
(2) იმის, რომ ქართული ცუდად იცოდა
(3) იმის, რომ ლექსი არ იცოდა
(4) იმის, რომ აქცენტით ლაპარაკობდა

III. **რამდენი წუთის გზაა ლალის სახლიდან სკოლამდე?**
(1) ნახევარი საათის
(2) მეოთხედი საათის
(3) ერთი საათის
(4) ორი საათის

IV. **რა ღონისძიება იმართება სკოლაში?**
(1) მშვიდობის დღე
(2) კაცთა დღე
(3) ქალთა დღე
(4) შრომის დღე

V. **რის პირობას აძლევს მასწავლებელი ლალის?**
(1) რომ კარგად ისწავლის
(2) რომ სხვა ბავშვებსაც არ აწყენინებს
(3) რომ ლალის სკოლაში დარჩება სულ
(4) რომ კარგ ნიშანს დაუწერს ლალის

VI. **რას ნიშნავს ლალის სიტყვები: „ახლა კი სულ ვლაპარაკობ, თითქოს თუთიყუში ვიყო“?**
(1) ლალიმ ცუდად იცის ქართული
(2) ლალიმ კარგად იცის ქართული
(3) ლალი კარგად ისწავლის ქართულს
(4) ლალი ერთსა და იმავეს ხშირად იმეორებს

VII. **რომელ საათზე იწყება გაკვეთილები?**
(1) დილის ცხრა საათზე
(2) საღამოს ცხრა საათზე
(3) ათ საათზე
(4) თერთმეტ საათზე

VIII. **რომელ საათზე უკაკუნებს კარზე მოსწავლე მასწავლებელს?**
(1) დილის შვიდ საათზე
(2) საღამოს რვა საათზე
(3) საღამოს ცხრის ნახევარზე
(4) დილის რვის ნახევარზე

IX. **რამდენი წლისაა მოსწავლე?**
(1) შვიდის
(2) რვის
(3) ათის
(4) თერთმეტის

X. **როგორი ამინდია ყარაჯალაში?**
(1) წვიმიანი
(2) თოვლიანი
(3) ქარიანი
(4) წყნარი

XI. **რისი ეშინია ლალის?**
(1) სიბნელის
(2) სინათლის
(3) შეცდომის
(4) სიჩუმის

XII. **რამდენი წელი ასწავლის მასწავლებელი ლალის სკოლაში?**
(1) ორი წელი
(2) ერთი წელი
(3) სამი წელი
(4) შვიდი წელი

XIII. **რა ჰქვია ლალის მასწავლებელს?**
(1) ნანა
(2) ნინო
(3) არ ჩანს
(4) ნოდარი

XIV. **რითი ამაყობს მასწავლებელი? - იმით, რომ**
(1) გაისად მაგისტრატურაში ისწავლის
(2) ლალის ქართული ასწავლა
(3) ქართული კარგად იცის
(4) კარგი ხელფასი აქვს

ბეჯითი = შრომისმოყვარე
მხიარული = ხალისიანი
მოზრდილი = დიდი
გული ეტკინება = ეწყინება
ჰპირდება = პირობას/სიტყვას აძლევს
მზრუნველი = ის, ვინც სხვაზე ზრუნავს
დიდი ქალივით = როგორც დიდი ქალი
მორცხვი = მორიდებული
მოწყენილი = სევდიანი
უაქცენტოდ = აქცენტის გარეშე

❖ **უპასუხეთ კითხვებს:**

- **რატომ არის ლალი ბედნიერი?**

- **რატომ არის მასწავლებელი ბედნიერი?**

- **რა უხარია ლალის?**

- **რას პირდება ლალი მასწავლებელს?**

- **როდის ისწავლის ლალის მასწავლებელი მაგისტრატურაში?**

❖ **დაახასიათეთ ლალი /+/ და /-/ სიმბოლოების საშუალებით**

ხალისიანი		ამაყი	
ბოროტი		ენერგიული	
მხიარული		პასიური	
მოწესრიგებული		კეთილი	
თბილი		ჯიუტი	
ზარმაცი		ბეჯითი	
მოსიყვარულე		შურიანი	
გულისხმიერი		გონიერი	

- **ამოწერეთ ადგილი, სადაც ჩანს, რომ ლალიმ ქართული კარგად ისწავლა.**

- **ამოწერეთ ადგილი, სადაც ჩანს, რომ ლალი მოწესრიგებული მოსწავლეა.**

- **როგორ ფიქრობთ, სხვა ბავშვებზეც დაწერს მასწავლებელი? პასუხი დაასაბუთეთ.**

წერილები...

წაიკითხეთ **წერილი 1.**

ელზა, როგორა ხარ? ძალიან მომენატრე. როგორ მიდის შენი საქმეები?

დღევანდელ ამბებზე მინდა მოგწერო.

პირველი გაკვეთილი მეოთხე კლასში ჩავატარე, ამ კლასში 7 ბიჭი და 9 გოგო სწავლობს. მხიარული კალენდარი გავაკეთეთ და ვკითხულობდით ორი მასწავლებელი, რომელ მოსწავლეს კვირის რომელი დრო უყვარს. კლასი აქტიურობდა, აისელი კი, რომელიც საკმაოდ ბეჯითი მოსწავლეა, რაღაცას წერდა. შენიშვნა მივეცი. ცოტა ხნით მიატოვა საქმე, თუმცა მერე ისევ გააგრძელა წერა.

ზარი დაირეკა, ჩემი ნივთები ავიღე და ბავშვებს გამოვემშვიდობე. აისუნი, რაფაელა, ლამია, ფარიდა გარს შემომეხვივნენ, აისელი კი არსად ჩანს. გავიხედე და ვხედავ, კვლავ რაღაცას წერს. გავიფიქრე, ალბათ დავალებას წერს-მეთქი და მე-5 კლასისკენ წავედი. პირველი სართულის კიბეზე ჩავედი და მარჯვნივ გავუხვიე საკლასო ოთახისკენ. უკნიდან ხმა შემომესმა: „თეონა მასწავლებელო! თეონა მასწავლებელო!“ აისელი ჩამორბოდა კიბეზე. გავჩერდი და დაველოდე. მოირბინა, დაკეცილი ქაღალდი გადმომცა. „მასწავლებელო, ეს თქვენ!“ მითხრა და გაიქცა. ქაღალდს დავხედე, ზედ ეწერა: „წერილი აისელისგან“. აი, თურმე რას წერდა მთელი გაკვეთილი!

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ შევედი სამასწავლებლოში, გავხსენი წერილი და აი რა წავიკითხე:

„თეონა მასწავლებელი და აისელი.

მე თქვენ ძალიან მიყვარხართ. მე თქვენ წალიან მიყვარხართ. გილოცავთ 8 მარდს და თქვენთვის ერთ ლექსი ვიცი:

„სოფელში ერთი ვარდია

ეს ვარდი სკოლაში მიდის-მოდის

ის ვარდი თეონ მასწავლებელია.“

ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მასწავლებელი ხართ და ყოველ წელს ჩემი მასწავლებელი იქნებით, იმედი მაქვს“.

მართლა ძალიან ბედნიერი ვიყავი!

გამახსენდა ჩემი პირველი მასწავლებელი – ქალბატონი ციალა ჭინჭარაშვილი, რომელიც დღესაც აგრძელებს ამ დიდ საქმეს და დაწყებითი კლასების მასწავლებელია ფასანაურის სკოლაში: მინდა მას ვუთხრა: „მადლობა თქვენ, ჩემო პირველო მასწავლებელო!“

ძალიან მიყვარს ბავშვები, ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია!

აი, ეს მინდოდა მეთქვა. მომწერე შენ შესახებ.

07. 03 2012

22.30

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. **ვინ არის წერილის ავტორი?**
(1) ელზა
(2) თეონა
(3) ციალა
(4) აისელი

II. **როდის დაიწერა ეს წერილი?**
(1) სამ ივნისს, დილით
(2) შვიდ მარტს, ღამე
(3) რვა მარტს, საღამოს
(4) ცხრა მაისს, შუაღამისას

III. **ვინ არის წერილის ადრესატი?**
(1) ელზა
(2) აისელი
(3) ციალა
(4) თეონა

IV. **როდის მოხდა წერილში გადმოცემული ამბავი?**
(1) სამ მაისს
(2) შვიდ მარტს
(3) რვა მარტს
(4) ცხრა მაისს

V. **რამდენი მოსწავლე სწავლობს მეოთხე კლასში?**
(1) თოთხმეტი
(2) ჩვიდმეტი
(3) თექვსმეტი
(4) თორმეტი

VI. **რომელ კლასთან ჰქონდა თეონას მეორე გაკვეთილი?**
(1) მესამე კლასთან
(2) მეოთხე კლასთან
(3) მეხუთე კლასთან
(4) მეშვიდე კლასთან

VII. **რომელ სართულზე ჰქონდა გაკვეთილი მეხუთე კლასს?**
(1) პირველ სართულზე
(2) მეორე სართულზე
(3) მესამე სართულზე
(4) მეოთხე სართულზე

VIII. **ქალბატონი ციალა იყო:**
(1) ელზას მასწავლებელი
(2) თეონას მასწავლებელი
(3) აისუნის მასწავლებელი
(4) რაფაელას მასწავლებელი

IX. **თეონამ წერილი წაიკითხა:**
(1) სახლში
(2) სკოლაში
(3) გზაში
(4) ბიბლიოთეკაში

X. ვისი სიტყვებია: „**მე თქვენ ძალიან მიყვარხართ**“.
(1) ელზა მასწავლებლის
(2) თეონა მასწავლებლის
(3) აისელის
(4) ციალა მასწავლებლის

XI. **აისელის წერილის ადრესატია:**
(1) ციალა მასწავლებელი
(2) ელზა მასწავლებელი
(3) თეონა მასწავლებელი
(4) სკოლის დირექტორი

XII. **მასწავლებელს მე-5 კლასში ჰქონდა:**
(1) პირველი გაკვეთილი
(2) მეორე გაკვეთილი
(3) მესამე გაკვეთილი
(4) მეოთხე გაკვეთილი

- **გადაწერეთ აისელის წერილი. შეცდომები გაასწორეთ.**

- **გაარკვიეთ, ქვემოთ მოცემული ინფორმაციიდან რომელია** *სწორი* **და რომელი** - *არასწორი.* **მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პლუსით /+/ ან მინუსით /-/ და პასუხის დასადასტურებლად წარმოადგინეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილი.**

ინფორმაცია	**სწორია**	**არასწორია**
აისელი ზარმაცია		
აისელი დავალებას წერდა		
აისელმა თეონა მასწავლებელი ყვავილს შეადარა		
ქალბატონი ციალა დღესაც მუშაობს სკოლაში		
თეონას სძულს მასწავლებლობა		
თეონა ძალიან გაახარა აისელის წერილის წაკითხვამ		
აისელმა თეონას მიულოცა ქალთა დღესასწაული		
აისელის წერილი უშეცდომოა		
წერილში გადმოცემულია შვიდი მარტის ამბები		

წაიკითხეთ **წერილი 2.**

გამარჯობა, თეონა. როგორა ხარ?

მივიღე შენი წერილი და, აი, პასუხსაც გიგზავნი.

მეც მინდა მოგიყვე ჩემს მუშაობაზე, ჩემს სკოლაზე, სადაც ვასწავლი ქართულს.

როგორ მახსოვს შარშანდელი დღე, როდესაც ჩამოვედი აქ, ჯავახეთში, ახალქალაქის სოფელ დილისკაში.

როგორი უცხო იყო ყველაფერი ჩემთვის.

სოფელი ზღვის დონიდან 1800 მეტრზეა. სექტემბერში აქ უკვე საკმაოდ ციოდა. ნოემბერში ფარავნის და საღამოს ტბა გაიყინა, თოვლიც დიდი იყო… იანვარში ტემპერატურა -15-20 გრადუსი იყო. ცოტა გამიჭირდა ასეთ ყინვასა და თოვლში.

ასე მგონია, მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა. უკვე მეშვიდე თვეა, აქა ვარ. ახლა ყველაფერი ძალიან ნაცნობი და მშობლიურია ჩემთვის.

როგორ იწყება ჩემი სამუშაო დღე? – შევაღებ საკლასო ოთახის კარს და ერთხმად მესალმებიან:

– გამარჯობათ!

– როგორ ხართ? – ვეკითხები მე...

– კარგად, შენ? - ეს სუსანაა.

– შენ კი არა, თქვენ! – უსწორებს სოფია.

მე ამაზე მეღიმება და ვპასუხობ:

– კარგად, კარგად, ბავშვებო.

მე-4 კლასში ბევრნი არ არიან, 4 გოგო და 1 ბიჭია: **სუსანა, სათენიკი, ჰასმო, სოფია** და **ჰაკობი.** ძალიან თბილი ბავშვები არიან, შრომისმოყვარეები და ბეჯითები. მიყვარს მათთან შესვლა. ძალიან მეგობრულები და ყურადღებიანები არიან ერთმანეთის მიმართ. ჰაკობი კი მათი საუკეთესო მეგობარია.

ერთხელ სათენიკმა მითხრა, რომ სურს ქართულის მასწავლებელი გამოვიდეს. გამიხარდა, ის ძალიან კარგი მასწავლებელი იქნება.

ერთი კვირის წინ ჰაკობის დაბადების დღე იყო. ქართულად დავუმზადეთ მისალოცი ბარათები. დაბადების დღის სიმღერაც ვასწავლე და მომდევნო გაკვეთილზე სიმღერით მივულოცეთ და ბარათებიც გადავეცით. იმ დღეს ძალიან ბედნიერი იყო ჰაკობი.

აბა, კარგად იყავი. მერე კიდევ მოგწერ.

გკოცნი, შენი ელზა.

12.03. 2012. ორშაბათი, 23.30

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. **წერილის ავტორია:**
(1) თეონა
(2) ელზა
(3) სათენიკი
(4) სოფია

II. **წერილის ადრესატია:**
(1) ჰაკობი
(2) სუსანა
(3) თეონა
(4) ელზა

III. **მეოთხე კლასში სწავლობს:**
(1) შვიდი მოსწავლე
(2) ოთხი მოსწავლე
(3) ხუთი მოსწავლე
(4) თხუთმეტი მოსწავლე

IV. **ჰაკობი დაიბადა:**
(1) ხუთ მარტს
(2) ხუთ მაისს
(3) თხუთმეტ მარტს
(4) თხუთმეტ თებერვალს

V. **ჰაკობის დაბადების დღე იყო:**
(1) ოთხშაბათს
(2) სამშაბათს
(3) ორშაბათს
(4) შაბათს

VI. **მომავალი ქართულის მასწავლებელია:**
(1) ელზა
(2) სათენიკი
(3) თეონა
(4) ციალა

VII. **ელზა დილისკაში ჩავიდა:**
(1) ორი ათას თერთმეტ წელს
(2) ორი ათას ცამეტ წელს
(3) ორი ათას თორმეტ წელს
(4) ორი ათას ათ წელს

VIII. **დილისკა ზღვის დონიდან:**
(1) ათას მეტრზეა
(2) ათას ორას მეტრზეა
(3) ათას რვაას მეტრზეა
(4) ორი ათას მეტრზეა

IX. **ელზა ჯავახეთში ჩავიდა:**
(1) ოქტომბერში
(2) ნოემბერში
(3) სექტემბერში
(4) აგვისტოში

X. **როგორ იწყება ელზას სამუშაო დღე?**
(1) გამომშვიდობებით
(2) მადლობის თქმით
(3) ბოდიშის თქმით
(4) მისალმებით

❖ **გაარკვიეთ, ქვემოთ მოცემული ინფორმაციიდან რომელია** *სწორი* **და რომელი** - *არასწორი.* **მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პლუსით /+/ ან მინუსით /-/ და პასუხის დასადასტურებლად წარმოადგინეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილი.**

ინფორმაცია	სწორია	არასწორია
ეს არის თეონას წერილის საპასუხო წერილი		
სათენიკი ქართულის მასწავლებლია		
მეოთხე კლასში ცოტა მოსწავლეა		
ელზა ფილოლოგია		
მეოთხეკლასელებს ეზარებათ მუშაობა		
შემოდგომაზე ფარავნის ტბა გაიყინა		
დილისკაში ცივი ზამთარი იყო		
მეოთხე კლასი მეგობრულია		
ელზა რამდენიმე წელია ახალქალაქში მუშაობს		
მეოთხე კლასში ოთხი ბიჭი და ერთი გოგო სწავლობს		

ფრაგმენტი ბუნების გაკვეთილიდან

გაკვეთილის თემა:

კონტინენტები, ქვეყნები და მოსახლეობა

მასწავლებელი: ბავშვებო, გავიმეოროთ წინა გაკვეთილის მასალა. აბა, ნინო, სულ რამდენი კონტინენტი ვიცით?

ნინო: დედამიწაზე სულ ექვსი კონტინენტია: სამხრეთ ამერიკა, ჩრდილოეთ ამერიკა, აფრიკა, ევრაზია, ავსტრალია, ანტარქტიდა; ზოგჯერ ევრაზიას ორ კონტინენტად თვლიან: ევროპად და აზიად.

მასწავლებელი: გიორგი, რომელია ყველაზე დიდი კონტინენტი?

გიორგი: ყველაზე დიდი კონტინენტია ევრაზია. აქედან აზიაში 50-მდე სახელმწიფოა, მოსახლეობა კი 4 მილიარდზე მეტია.

მასწავლებელი: კახა, რომელია სიდიდით მეორე კონტინენტი?

კახა: აფრიკა მსოფლიოში სიდიდით მეორე კონტინენტია, მასში 53 ქვეყანა შედის. მოსახლეობა 900 მილიონია.

მასწავლებელი: სანდრო, რომელია ყველაზე პატარა კონტინენტი?

სანდრო: ყველაზე პატარა კონტინენტია ავსტრალია. იგი გამოირჩევა ძალიან ცხელი კლიმატით. მოსახლეობა 22 მილიონია.

მასწავლებელი: ეკა, რომელია ყველაზე ცივი კონტინენტი?

ეკა: ყველაზე ცივი კონტინენტია ანტარქტიდა. ანტარქტიდა დაუსახლებელი კონტინენტია.

მასწავლებელი: დათო, კიდევ რომელი კონტინენტები ვიცით?

დათო: ჩრდილოეთი ამერიკა დიდი კონტინენტია, რომელშიც 23 ქვეყანა შედის. აქ ცხოვრობს 530 მილიონი ადამიანი. სამხრეთ ამერიკას სამკუთხედის ფორმა აქვს. მასში 12 ქვეყანა შედის. ცხოვრობს 370 მილიონზე მეტი ადამიანი.

მასწავლებელი: ჩვენ სად ვცხოვრობთ, თამარ?

თამარი: ჩვენ ვცხოვრობთ ევროპაში. ეს არის შედარებით პატარა კონტინენტი, რომელზეც 50 ქვეყანა და 800 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

მასწავლებელი: ყოჩაღ, ბავშვებო. ახლა კი გადავიდეთ ახალ თემაზე.

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. **რამდენი მოსწავლე გამოკითხა მასწავლებელმა?**
(1) სამი
(2) ხუთი
(3) შვიდი
(4) ექვსი

II. **გამოკითხულთაგან რამდენია გოგო და რამდენია ბიჭი?**
(1) 4 გოგო და 1 ბიჭი
(2) 4 ბიჭი და 2 გოგო
(3) 2 გოგო და 4 ბიჭი
(4) 3 გოგო და 4 ბიჭი

III. **რომელია ყველაზე ცივი კონტინენტი?**
(1) ავსტრალია
(2) ევრაზია
(3) ანტარქტიდა
(4) სახრეთ ამერიკა

IV. **რომელია ყველაზე დიდი კონტინენტი?**
(1) აფრიკა
(2) ევრაზია
(3) ავტრალია
(4) სამხრეთ ამერიკა

V. **რომელია ყველაზე პატარა კონტინენტი?**
(1) ანტარქტიდა
(2) ავსტრალია
(3) აფრიკა
(4) სამხრეთ ამერიკა

VI. **რომელი კონტინენტია დაუსახლებელი?**
(1) აფრიკა
(2) ავსტრალია
(3) ანტარქტიდა
(4) ევრაზია

VII. **რომელ კონტინენტს აქვს გეომეტრიული ფიგურის ფორმა?**
(1) სამხრეთ ამერიკას
(2) ჩრდილოეთ ამერიკას
(3) ევროპას
(4) ევრაზიას

VIII. **რომელ კონტინენტზეა ოცდასამი ქვეყანა?**
(1) ჩრდილოეთ ამერიკის
(2) სამხრეთ ამერიკის
(3) ევრაზიის
(4) ავსტრალიის

IX. **სად ცხოვრობს რამდენიმე მილიარდი ადამიანი?**
(1) ამერიკაში
(2) ავსტრალიაში
(3) ევრაზიაში
(4) აფრიკაში

X. **სად ცხოვრობს ოცდაორი მილიონი ადამიანი?**
(1) ევროპაში
(2) ავსტრალიაში
(3) სამხრეთ ამერიკაში
(4) ანტარქტიდაში

XI. **სად მდებარეობს დაახლოებით ორმოცდაათი ქვეყანა?**
(1) აზიაში
(2) ევროპაში
(3) აფრიკაში
(4) ჩრდილოეთ ამერიკაში

❖ **მონიშნეთ პლუს (+) სიმბოლოთი შესაბამისი სწორი პასუხები.**

	სამხრ. ამერიკა	ჩრდ. ამერიკა	აფრიკა	ავსტრალია	ევრაზია	ანტარქტიდა
ყველაზე დიდი კონტინენტი						
ყველაზე პატარა კონტინენტი						
ყველაზე მეტი ადამიანი ცხოვრობს						
ყველაზე მეტი სახელმწიფოა						
დაუსახლებელი კონტინენტი						
ყველაზე ცივი კონტინენტი						

- **რომელ კონტინენტზე საუბრობენ?**

	სამხრ. ამერიკა	ჩრდ. ამერიკა	აფრიკა	ავსტრალია	აზია	ევროპა	ანტარქტიდა
სანდრო							
გიორგი							
თამარი							
დათო							
ეკა							
კახა							

- **დაალაგეთ კონტინენტები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (მიუწერეთ სათანადო ნომრები):**

ავსტრალია -
სამხრ. ამერიკა -
ჩრდ. ამერიკა -
აფრიკა -
ანტარქტიდა -
ევრაზია -

- **დაალაგეთ კონტინენტები ქვეყნების რაოდენობის მიხედვით (მიუწერეთ სათანადო ნომრები):**

ავსტრალია -
სამხრ. ამერიკა -
ჩრდ. ამერიკა -
აფრიკა -
ანტარქტიდა -
ევრაზია -

მიყურადება

სცენა: „მარშრუტკის“ გასვლის მოლოდინში, უკანა სკამებზე მოკალათებული ორი ტიპი იქვე „ჩამოტარებულ“ კროსვორდს ისე აქტიურად ავსებს, რომ პასიურად ვერთვები. ოღონდ აღზრდა მათკენ მიტრიალების და, მით უმეტეს, ხმის ამოღების საშუალებას არ მაძლევს.

ხმა 1: სახელმწიფო ამიერკავკასიაში, სადაც მდებარეობს კასპიის ზღვა.

ხმა 2: საქართველო, ბიჯო.

ხმა 1: არაა, ერთი ასო აკლია.

ხმა 2: დაბეჭდვის შეცდომა იქნება, მიახატე ერთი უჯრა. საქართველოშია-თქვა!

ხმა 1: მაი შავი ზღვა არაა, ბიჯო?

ხმა 2: ერთი ზღვაა მერე?!

ხმა 1: აბა სადაა კასპიის ზღვა?

ხმა 2: კასპიის ზღვა სა იქნება, ბიჯო, კასპში!

ხმა 1: კასპი სადაა, კი მარა?

ხმა 2: კასპში არ ვიყავით მე და შენ, არ იცი სადაა?

ხმა 1: როის ვიყავით?

ხმა 2: მასალიზა არ ვიყავით, რევაზიეს ობიექტიზა?

ხმა 1: აუ ჩემი, ხო ბიჯო, კასპში ხო ვიყავით.

(პაუზა)

ხმა 1: მერე იქანე ზღვა სა იყო, ბიჯო? სა იყო, მითხარი ერთი, სა იყო?!

ხმა 2: იყო!

ეს „იყო“ იმდენად მტკიცედ და შეუვალად ჟღერდა, რომ „ხმებისკენ“ შევტრიალდი და მოჭარბებული ცნობისმოყვარეობისგან ზრდილობადავიწყებულს აღმომხდა:

- სა იყო?????

P.S. გავილანძღე უკანონო მიყურადებისთვის. დამსახურებულად.

ეთი თავართქილაძე

- **ამოწერეთ ყველა ის ფორმა, რომელიც, თქვენი აზრით, ლიტერატურულად არასწორია და შეეცადეთ გაასწოროთ.**

ჩემი კლასელები (წერილი მეგობარს)

ნანა, როგორა ხარ? როგორ მიდის შენი საქმეები? მე ვარ ძველებურად, დავდივარ სკოლაში, ვსწავლობ. ვცხოვრობ ისე, როგორც ცხოვრობს ჩემისთანა სხვა ათასი ბავშვი. როგორც შეგპირდი, გაგაცნობ ჩემს კლასელებს:

ლაშა გეგიძე ძალიან ნიჭიერი ბიჭია. ის მომავალი მხატვარია. მან დახატა ჩვენი კლასელების კარიკატურები და, ვფიქრობ, ეს ძალიან კარგად გამოუვიდა.

ბაქარ ბეჟუაშვილი წყნარი და ნორმალური ბავშვია, სწავლობს ძალიან კარგად, ჩუმია, უყვარს მუსიკა. ხშირად გვეხმარება ისეთ რთულ სიტუაციებში, როგორიცაა საკონტროლო წერა.

ქეთი გობეჩია ძალიან მორცხვია. ისეთი მორცხვი, რომ თვალებში არ გიყურებს ხოლმე, როცა გელაპარაკება.

გუგა ბერიძე მისდევს სპორტს და ძალიან მაგარი წყალბურთელია. მაღალი და მხარბეჭიანია. სწავლობს საშუალოდ. გეოგრაფია არ უყვარს.

თამრიკო ესაძე ძალიან კეთილი, სანდო, ერთგული და, შეიძლება ითქვას, თავდადებული მეგობარია; ძალიან მიყვარს. სწავლობს კარგად. როგორია უცნაურია, იცი? შარშან, ზაფხულში, მენატრებაო და სკოლის სანახავად დადიოდა.

ანა კონჯარია არის მხიარული, ზარმაცი, პუტკუნა და საყვარელი გოგო.

რატი ბაქრაძე არის ძალიან მშვიდი და წყნარი ბავშვი, არავის ზედმეტს არ ეუბნება, აქვს კარგი იუმორის გრძნობა. მათემატიკას სწავლობს ცუდად და არ მინდა, რომ შემდეგი წლიდან გააგდონ.

ლაშა ტაბიძე მომავალი სპორტსმენია, რამდენიმე წელია დადის კალათბურთზე და ძალიან მაგრად თამაშობს.

ლანა ქორქია კლასში მარტო ქეთისთან მეგობრობს. ნიჭიერი ბავშვია. არის მხიარული, კომუნიკაბელური, აქვს იუმორის გრძნობა, მაგრამ ზოგჯერ ხასიათი ისე უფუჭდება, რამდენიმე კვირა ხმას არ გვცემს.

გიორგი ღვინაძეზე არ ვიცი, რა დავწერო, როგორც ყველა ბავშვი, არის ნორმალური და წესიერი ბავშვი, სწავლობს ისე რა, არასტაბილურია. ხან ოლიმპიადაზე 25-დან 23 ქულას იღებს, ხან გეომეტრიის საკონტროლოზე სამიანს იღებს.

ნიკა მანჯგალაძე მეგობრულია, მიამიტი და ცოტათი მშიშარაც კი. მსუქანია და საყვარელი.

აჩი გოგია გაკვეთილებზე საერთოდ არ იღებს ხმას, ვერ გააღიმებ, ვერ გააცინებ, ურეაქციოა. ორიანს მიიღებს – დუმს, ათიანს მიიღებს – დუმს. ოოო, შესვენებებზე კი საქმე სხვანაირადაა - დიამეტრალურად იცვლება!

ელენე ჩაფიძე ძალიან თბილი, კეთილი და გამგები ბავშვია. არის თავისთვის წყნარად, მშვიდად, არავის არ ელაპარაკება და კლასში რამდენიმე ბავშვთან მეგობრობს მხოლოდ. დადის ხატვაზე და დრო არ რჩება მეცადინეობისთვის. ამის გამო ზოგჯერ ცუდ ნიშნებს იღებს.

ტყუპები არიან **ნიკა და გიორგი ბაკურაძეები,** მაგრამ ერთმანეთს საერთოდ არ ჰგვანან. სულ ერთი თვეა, რაც გადმოვიდნენ და ამ ხნის განმავლობაში კარგად ვერ გავიცანი, თუმცა კარგი ბავშვები ჩანან.

მე მგონი, ყველაზე შეგიქმენი წარმოდგენა. ახლა შენი ჯერია, გამაცანი შენი კლასელები. აბა, დროებით!

ნინო დარსაძე

25.12. 2012

❖ **ვისი გარეგნობის შესახებ არის ინფორმაცია *ნინო დარსაძის* წერილში? აღნიშნეთ პლუსით / + /.**

ელენე ჩაფიძე		გუგა ბერიძე	
ნიკა მანჯგალაძე		თამრიკო ესაძე	
ნიკა ბაკურაძე		ანა კონჯარია	
გიორგი ბაკურაძე		რატი ბაქრაძე	
ლაშა გეგიძე		ლაშა ტაბიძე	
ბაქარ ბეჟუაშვილი		ლანა ქორქია	
ქეთი გობეჩია		გიორგი ღვინაძე	

❖ **გამოიცანით, ვისზეა ლაპარაკი (სწორი პასუხი შემოხაზეთ):**

I. **ხატავს კარგად**
(1) ლაშა
(2) გუგა
(3) რატი
(4) ლანა

II. **ძმები არიან**
(1) ლაშა და რატი
(2) გიორგი და ლაშა
(3) აჩი და რატი
(4) ნიკა და გიორგი

III. **მომავალი კალათბურთელია**
(1) ლაშა გეგიძე
(2) ლაშა ტაბიძე
(3) ელენე ჩაფიძე
(4) გიორგი ნიკურაძე

IV. **მხოლოდ ერთი მეგობარი ჰყავს**
(1) ლანას
(2) ნიკას
(3) ანას
(4) ნიკას

V. **ხატვა ხელს უშლის სწავლაში**
(1) ბაქარს
(2) ელენეს
(3) თამრიკოს
(4) გიორგის

VI. **ხან კარგ ნიშნებს იღებს, ხან - ცუდს**
(1) გიორგი ბაკურაძე
(2) გიორგი ღვინაძე
(3) რატი ბაქრაძე
(4) ნიკა ბაკურაძე

VII. **ძალიან მორცხვია**
(1) ლანა
(2) ქეთი
(3) აჩი
(4) ნიკა

VIII. **გაკვეთილების დროს ურეაქციოა**
(1) ელენე
(2) აჩი
(3) ნიკა
(4) გუგა

IX. **საყვარელი ბიჭია**
(1) გუგა
(2) აჩი
(3) ნიკა
(4) რატი

X. **საყვარელი გოგოა**
(1) ლანა
(2) ანა
(3) ქეთი
(4) თამრიკო

XI. **წყალბურთში სერიოზულად ვარჯიშობს**
(1) აჩი
(2) რატი
(3) გუგა
(4) ნიკა

XII. **უცნაური გოგოა**
(1) ელენე
(2) ლანა
(3) თამრიკო
(4) ქეთი

❖ **რითი ჰგვანან ერთმანეთს:**

ლანა და რატი

ელენე, რატი და ბაქარი?

ლანა და ანა?

თამრიკო და ბაქარი?

ლაშა ტაბიძე და გუგა?

- **ვინ არის წერილის ავტორი?**

- **ვინ არის წერილის ადრესატი?**

- **რომელ თვეშია წერილი გაგზავნილი?**

❖ **დაახასიათე** შენი თანაკლასელები/თანაჯგუფელები

- **დაწერეთ:**

- სამი სიტყვა, რითიც დაახასიათებთ საკუთარ თავს...

- ერთი რამ, რის გამოც განსაკუთრებული ხართ...

- **დაამთავრეთ დაუმთავრებელი წინადადებები:**

საკუთარ თავზე ვფიქრობ, რომ ...

მგონია, რომ მე ...

საკუთარ თავში მომწონს შემდეგი თვისებები:

სხვები ჩემზე ფიქრობენ, რომ ...

მინდა გავხდე … (ასეთი)

არასოდეს ვიქნები … (ასეთი)

მომწონს საკუთარი თავი, რადგან მე ვარ ...

ვამაყობ ჩემი თვისებებით, როგორიცაა ...

ძლიერი ვარ, რადგან ...

საკუთარ თავში მინდა შევცვალო ის, რომ ...

საკუთარი თავის რწმენა

ერთხელ, პარასკევ დღეს, მინესოტის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელმა მოსწავლეებს შემდეგი სახის დავალება მისცა: უნდა ჩამოეწერათ კლასელების სია და თითოეულის სახელის გასწვრივ

მიეწერათ, ყველაზე მეტად რა თვისებები მოსწონდათ ამა თუ იმ თანაკლასელში. მოსწავლეებმა დავალება შეასრულეს და გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელმა ნაშრომები შეაგროვა.

წინ შაბათ-კვირა იყო და მასწავლებელს საკმარისი დრო ჰქონდა მონაცემთა დამუშავებისთვის. ორშაბათს მან თითოეულ მოსწავლეს დაურიგა ფურცელი, -აქ ჩამოთვლილი იყო ყველა ის დადებითი თვისება, რომელიც კონკრეტულ მოსწავლეში თანაკლასელებმა შეამჩნიეს.

ბავშვები ჩუმად კითხულობდნენ და აქა-იქ გაკვირვებული ჩურჩული ისმოდა: „ნუთუ ეს ყველაფერი ჩემზეა? წარმოდგენა არ მქონდა, ასე თუ ვუყვარდი ყველას“.

ბავშვებს შედეგებზე ხმამაღლა არ უსაუბრიათ და არც კლასში განუხილავთ, მაგრამ მასწავლებელმა იცოდა, რომ მიზანს მიაღწია – მისმა მოსწავლეებმა საკუთარი თავის ირწმუნეს.

რამდენიმე წლის შემდეგ ამ ბავშვებიდან ერთ-ერთი ვიეტნამში ბრძოლის დროს დაიღუპა. იგი სამშობლოში, მინესოტაში დაკრძალეს. დასაფლავებაზე მეგობრები, ყოფილი თანაკლასელები და მასწავლებლებიც მივიდნენ. გამოსათხოვარი სიტყვის წარმოთქმის დროს გარდაცვლილის მამა მასწავლებელთან მივიდა და მიმართა:

– რაღაც მინდა გაჩვენოთ.

მან საფულიდან ოთხად გაკეცილი, გაცრეცილი ქაღალდის ფურცელი ამოიღო. ეტყობოდა, რომ ქაღალდი ბევრჯერ იყო გაშლილი და გადაკითხული.

– ეს ჩემი ვაჟის ნივთებში იპოვეს. ყოველთვის თან ატარებდა. იცანით?

კაცმა ქალს ფურცელი გაუწოდა. ეს სწორედ იმ დადებითი თვისებების ჩამონათვალი იყო, ოდესღაც მის შვილში თანაკლასელებმა რომ შეამჩნიეს.

– მადლობა მინდა გადაგიხადოთ, – ახლა უკვე დედამ მიმართა მასწავლებელს, – ჩვენი შვილი ისე უფრთხილდებოდა ამას...

და იმ წუთში მოხდა დაუჯერებელი რამ: გარდაცვლილის თანაკლასელებმა ერთმანეთის მიყოლებით ამოიღეს ისეთივე ფურცლები. თურმე ყველას შეუნახავს – ბევრი საფულით დაატარებდა მას, ზოგი კი საოჯახო ალბომში ინახავდა...

(ავტორი: Devi), წყარო: intermedia.ge

გაკვირვებული = გაოცებული
გასწვრივ = გვერდით/გაყოლებაზე
ნაშრომი = ნამუშევარი
შეამჩნია = შენიშნა/დაინახა
გამოსათხოვარი = გამოსამშვიდობებელი
თან ატარებდა = თან დაჰქონდა
განხილვა = მსჯელობა
დაკრძალეს = დაასაფლავეს
მიმართა = უთხრა
მადლობის გადახდა = მადლობის თქმა

უპასუხეთ კითხვებს:

- **როგორი დავალება მისცა მასწავლებელმა მოსწავლეებს?**

- **რა იყო მასწავლებლის მიზანი?**

- **რა ეწერა ფურცლებზე, რომლებიც დაურიგა მასწავლებელმა მოსწავლეებს?**

- **რას დაატარებდა ვიეტნამში დაღუპული კარისკაცი თან?**

- **რატომ იყო ოთხად გაკეცილი ქაღალდი გაცრეცილი?**

- **რატომ უფრთხილდებოდა ჯარისკაცი ქაღალდს?**

- **რატომ უფრთხილდებოდნენ თანაკლასელები თავიანთ ქაღალდებს?**

- **შეასრულეთ ანალოგიური დავალება:** ჩამოწერეთ ყველა თქვენი **თანაკლასელის/თანაჯგუფელი**ს სახელები და მათი ის თვისებები, რომლებიც მოგწონთ.

❖ **დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:**

მივიდნენ, გადაკითხული, შეავროვა, დამუშავებისთვის, მივიდა

გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელმა ნაშრომები .....
ყოფილი თანაკლასელები და მასწავლებლებიც .....
გამოსათხოვარი სიტყვის წარმოთქმის დროს გარდაცვლილის მამა მასწავლებელთან .....
ქაღალდი ბევრჯერ იყო გაშლილი და .....
მასწავლებელს საკმარისი დრო ჰქონდა მონაცემთა .....

❖ **დაალაგეთ არეული სიტყვები ისე, რომ მიიღოთ გამართული წინადადება.**

ფურცლები ერთმანეთის თანაკლასელებმა ამოიღეს ისეთივე მიყოლებით

მასწავლებლებიც თანაკლასელები დასაფლავებაზე ყოფილი და მივიდნენ

დაურიგა მოსწავლეს ორშაბათს მან თითოეულ ფურცელი

❖ **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. დავალება	წარმოთქმა
ბ. მონაცემთა	მიყოლებით
გ. მიზანს	მისცა
დ. გამოსათხოვარი	გაკეცილი
ე. სიტყვის	მიაღწია
ვ. ოთხად	სიტყვა
ზ. ერთმანეთის	დამუშავება

- *წაიკითხეთ ტექსტი.*

მე სტუდენტი ვარ

მე მქვია **ბასტი,** ვარ 18 წლის. ვსწავლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ქართული ენის მოსამზადებელ ჯგუფში. ჩემთან ერთად სწავლობს **გიუნაიც.** მე და გიუნაი სკოლაშიც ერთად ვსწავლობდით, ერთ კლასში. გიუნაი 17 სექტემბერს გახდა თვრამეტი წლის. ახლა ბინაშიც ერთად ვცხოვრობთ. გიუნაი ძალიან კარგი გოგოა, ბეჯითი, ლამაზი, არაჩვეულებრივი კულინარი.

ჩვენს ჯგუფში კიდევ ორი გოგოა _ **სონა** და **გიულნარი.** ძალიან კარგი გოგონები არიან. დანარჩენები ბიჭები არიან: **ფარუხი, ბაბეკი, ისლამი, ჯახანგირი, ისახანი, რაბილი, რამიდი.** ჯგუფში სულ 11 სტუდენტი ვართ.

მე და ჩემი მეგობრები ვსწავლობთ ქართულ ენას. ჩვენ პირველ ჯგუფში ვართ.

უნივერსიტეტის VII კორპუსი, სადაც ჩვენ ვსწავლობთ, „სამასი არაგველის მეტროსთანაა“. ეს არის 4-სართულიანი შენობა. ლექციები ყოველდღე 9 საათზე გვეწყება.

პირველ სემესტრში ჩვენი ლექციების ცხრილი ასეთია:

N	საგნის დასახელება	პედაგოგი	დრო	აუდიტორია
1	ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა)	მერაბ ბაბუხადია კახი მირაზანაშვილი	სამშაბათი 9:00, 10:00,11:00,	221
			სამშაბათი 12:00	კომპ. კლასი
2	ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი)	მერაბ ბაბუხადია	ხუთშაბათი 13:00, 14:00 პარასკევი 13:00, 14:00	221
3	ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა)	ჭაბუკი ქირია	პარასკევი 9:00, 10:00,11:00, 12:00	207
4	ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა)	ჭაბუკი ქირია	ხუთშაბათი 9:00, 10:00, 11:00, 12:00	
5	ენის კომუნიკაციური ასპექტები 1	მურად კემულარია	შაბათი 9:00, 10:00, 11:00	
6	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1	მერაბ ბაბუხადია	ოთხშაბათი 9:00, 10:00,11:00	221

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. **რამდენი გოგო სწავლობს I ჯგუფში?**
(1) ორი
(2) სამი
(3) ხუთი
(4) ოთხი

II. **რამდენი ბიჭი სწავლობს I ჯგუფში?**
(1) ექვსი
(2) ოთხი
(3) შვიდი
(4) ცხრა

III. **რომელ აუდიტორიაში უტარდება პირველ ჯგუფს ლექციები შაბათს?**
(1) ორასოცდამეერთე აუდიტორიაში
(2) ორასმეშვიდე აუდიტორიაში
(3) ორასმეცხრე აუდიტორიაში
(4) ორასმეათე აუდიტორიაში

IV. **როდის აქვს ჯგუფს ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის ლექცია?**
(1) ხუთშაბათს
(2) პარასკევს
(3) ოთხშაბათს
(4) ორშაბათს

V. **რომელ დღეებში ისვენებს პირველი ჯგუფი?**
(1) სამშაბათს და შაბათს
(2) სამშაბათს და ხუთშაბათს
(3) ორშაბათს და კვირას
(4) პარასკევს და შაბათს

VI. **როდის ატარებს ლექციებს მურად კემულარია?**
(1) ორშაბათს
(2) სამშაბათს
(3) შაბათს
(4) პარასკევს

VII. **როდის უტარდება პირველ ჯგუფს კითხვის ლექციები?**
(1) ოთხშაბათს
(2) სამშაბათს
(3) პარასკევს
(4) შაბათს

- **გაარკვიეთ, ქვემოთ მოცემული ინფორმაციიდან რომელია** *სწორი* **და რომელი** - *არასწორი.* **მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პლუსით /+/ ან მინუსით /-/ და პასუხის დასადასტურებლად წარმოადგინეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილი.**

ინფორმაცია	სწორია	არასწორია
გიუნაი კარგად ამზადებს საჭმელებს		
ბასტი და გიუნაი ტოლები არიან		
გიუნაი და ბასტი თანაკლასელები არიან		
პირველი ჯგუფი სწავლობს უნივერსიტეტის მეთოთხმეტე კორპუსში		
მერაბ ბაბუხადიას კვირაში სამჯერ აქვს ლექციები პირველ ჯგუფთან		
გიუნაი ზარმაცია		
გიუნაის დაბადების დღე ზაფხულშია		
ლექციები ყოველდღე დილის ცხრა საათზე იწყება		

- **გადაიყვანეთ ტექსტი მესამე პირში.**

- **იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი აზრი წარმოდგენილ ფორმულირებებთან დაკავშირებით:**

1. განათლების მიღება აუცილებელი არ არის.

2. თუ ბავშვს სამუშაოსთვის კარგ ხელფასს გადაუხდიან, უმჯობესია იმუშაოს, თუნდაც განათლების მიღება ვერ შეძლოს.

8. წელიწადის დროები; ამინდი; ბუნება

ცივი ამინდია = ცივა = სიცივეა	**თბილი ამინდია = თბილა = სითბოა**
გრილი ამინდია = გრილა = სიგრილეა	**ცხელი ამინდია = ცხელა = სიცხეა**

1. შემოდგომა

შემოდგომა წელიწადის დროა, რომელიც გრძელდება 3 თვე: სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი. როცა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში შემოდგომაა, სამხრეთ ნახევარსფეროში გაზაფხულია.

დღე მოკლდება, იწყება გრილი ამინდები და ფოთოლცვენა.

იწყება რთველი, მოსავლის აღების დრო, შემდეგ ყანებს საშემოდგომოდ გადახნავენ.

ბევრი ცხოველიც და ადამიანიც ზამთრისთვის საკვებს იმარაგებს. ფრინველების უმრავლესობა თბილ ქვეყნებში მიფრინავს.

2. ზამთარი

ზამთარი წელიწადის დროა, რომელიც გრძელდება სამი თვე: დეკემბერი, იანვარი და თებერვალი. როცა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზამთარია, სამხრეთ ნახევარსფეროში ზაფხულია.

ზამთარი წელიწადის ყველაზე ცივი დროა. დღეები მაქსიმალურად მოკლდება, თუმცა 22 დეკემბრიდან უკვე ნელ-ნელა ზრდას დაიწყებს. ადრე ბნელდება. ბევრ ქვეყანაში თოვლი მოდის და ყინვებია.

მცენარეების ზრდა წყდება. ფოთლოვანი ხეები შიშვლდება. ზამთრის სუსხს მხოლოდ წიწვიანი ხეები უძლებს. ზოგ ცხოველს ხშირი ბეწვი ან მატყლი ეზრდება, რომ არ შესცივდეს, ზოგს კი მთელი ზამთარი სძინავს.

3. გაზაფხული

გაზაფხული წელიწადის დროა, რომელიც გრძელდება 3 თვე: მარტი, აპრილი და მაისი. როდესაც ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გაზაფხულია, სამხრეთ ნახევარსფეროში შემოდგომაა.

დღე დიდდება. დათბება. ბუნება იღვიძებს. ხეებზე კვირტები ჩნდება. მიწიდან ბალახი ამოდის. ადრე გაზაფხულზე თავს ამოყოფს ენძელა, გაზაფხული ძალას მოიკრებს და ლურჯი იაც გამოჩნდება. ირგვლივ ყველაფერი ამწვანდება.

თბილ ქვეყნებში გაფრენილი ფრინველები უკან მოფრინავენ, მერცხლები უბრუნდებიან თავიანთ ბუდეებს და კვერცხებს დებენ.

4. ზაფხული

ზაფხული წელიწადის დროა, რომელიც გრძელდება 3 თვე: ივნისი, ივლისი და აგვისტო. როდესაც ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზაფხულია, სამხრეთ ნახევარსფეროში ზამთარია.

ზაფხული წელიწადის ყველაზე თბილი დროა. დღეები გრძელია, თუმცა 22 ივნისიდან მოკლდება.

ძალიან ცხელი თვეა ივლისი. ადამიანები დასასვენებლად მიდიან: ზოგი მთაში, სოფელში, ზოგი ზღვაზე.

მწიფდება ხილი, ფრინველებს და ცხოველებს ბევრი საკვები უჩნდებათ.

მოკლე - მოკლდება = მოკლე ხდება	შიშველი - შიშვლდება = შიშველი ხდება
გრძელი - გრძელდება = გრძელი ხდება	მწიფე - მწიფდება = მწიფე ხდება
ბნელი - ბნელდება = ბნელი ხდება	დიდი - დიდდება = დიდი ხდება...

უპასუხეთ კითხვებს.

- **შემოდგომას ხშირად ოქროსფერს უწოდებენ. რატომ?**

- **რა მსგავსებაა ცხოველებსა და ადამიანებს შორის პირველი ტექსტის მიხედვით?**

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხი:**

I. ზამთარი გრძელდება
- ოთხი თვე
- სამი თვე
- ორი თვე
- ხუთი თვე

II. დღეები იმატებს
- ოცი თებერვლიდან
- სამი მარტიდან
- ოცდაორი დეკემბრიდან
- ოცდაათი დეკემბრიდან

III. ყველაზე გრძელი დღეა:
- ზამთარში
- შემოდგომაზე
- ზაფხულში
- გაზაფხულზე

IV. ყველაზე მოკლე დღეა:
- ზამთარში
- შემოდგომაზე
- ზაფხულში
- გაზაფხულზე

უპასუხეთ კითხვებს.

- **რომელი ფრინველი გვახარებს გაზაფხულის მოსვლას მესამე ტექსტის მიხედვით?**

- **რისი სიმბოლოა გაზაფხული?**

- **რომელი ყვავილებია გაზაფხულის სიმბოლოები?**

- **რომელია გაზაფხულის პირველი თვე?**

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. **რამდენი თვე გრძელდება ზაფხული?**
(1) ოთხი
(2) სამი
(3) ორი
(4) ხუთი

II. **როდიდან იკლებს დღეები?**
(1) ოცი თებერვლიდან
(2) სამი მარტიდან
(3) ოცდაორი ივნისიდან
(4) ოცდაათი დეკემბრიდან

III. **ყველაზე გრძელი დღეა:**
(1) ოცდაათ ივნისს
(2) ოცდაორ ივნისს
(3) ოცდახუთ ივლისს
(4) თორმეტ მაისს

IV. **ზაფხულში:**
(1) დღე მოკლეა, ღამე – გრძელი
(2) ღამე მოკლეა, დღე – გრძელი
(3) დღე და ღამე თანაბარია

❖ **დაადგინეთ, წელიწადის რომელ დროს უკავშირდება ცალკეული მონაკვეთი და პლუსი /+/ ჩაწერეთ ცხრილის შესაბამის უჯრებში.**

	ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
კრეფენ ყურძენს, იღებენ მოსავალს.				
დღე იმატებს და თანდათანობით თბება. მცენარეები ყვავილობას იწყებენ.				
ზოგი ცხოველი ძილს ეძლევა.				
ბევრი ცხოველი საკვებს იმარაგებს. ზოგი ფრინველი თბილ ქვეყნებში მიფრინავს.				
ადამიანები თბილად იცვამენ. ბავშვები გუნდაობენ, ციგაობენ, თხილამურებით სრიალებენ.				
ფრინველები თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებიან, ბუდეებს იშენებენ და კვერცხებს დებენ.				
წლის ყველაზე ცივი დროა. დღეები მოკლეა და ადრე ბნელდება.				
წლის ყველაზე ცხელი დროა. დღეები გრძელია.				
ადამიანები მინდვრებსა და ყანებში გადიან მიწის დასამუშავებლად, მარცვლეულისა თუ ბოსტნეულის დასათესად.				
შემოდის ბალი, ალუბალი, გარგარი, მარწყვი.				
ბევრი ადამიანი დასასვენებლად ზღვაზე მიდის.				
დღეები თანდათან მოკლდება და სულ უფრო ცივა. ხეებს ფოთლები სცვივა.				

წაიკითხეთ ლექსი.

შემოდგომა

(გივი ჭიჭინაძე)

- საით მიფრინავ, მერცხალო,
სად მიჩუხჩუხებ, წყაროვ?
საით მიარხევ ხმელ ფოთოლს,
ნოებრის ცელქო ქარო?

- მე ინდოეთში ვიჩქარი.
- მე მივჩუხჩუხებ ბარად.
- მე თოვლის პაპას ვუგზავნი
ფოთლის მოსაწვევ ბარათს.

უპასუხეთ კითხვებს.

- **ვინ არის ამ ლექსის ავტორი?**

- **სად მიფრინავს მერცხალი?**

- **სად მიჩუხჩუხებს წყარო?**

- **ვის უგზავნის მოსაწვევს ნოემბრის ქარი?**

დაწერეთ თემა: **მიყვარს / არ მიყვარს შემოდგომა**

❖ **აღწერეთ ზამთრის სურათი.**

სარეკომენდაციო/დამხმარე სიტყვები და ფრაზები: ზამთარი, თოვლი/დიდი თოვლი, სიცივე, ცივა, ყინვა, ყინავს, ხეები, წაქცეული ხე, შიშველი, გაშიშვლებული, სახლი, გორა/გორაკი, ბავშვები, გოგო, ბიჭი, უფროსი, უმცროსი, პატარა, ჩანთა/ზურგჩანთა, მოდიან. ხელჩაკიდებული, სკოლა/სკოლიდან, ძაღლი, მორბის, უხარია, საკვამური, ღუმელი, ბუხარი, ცეცხლი, ცეცხლი ანთია, შეშა, სითბო...

დაწერეთ თემა: **მიყვარს / არ მიყვარს ზამთარი**

❖ *წაიკითხეთ ტექსტი.*

თოვლის ბაბუა გაიპარა

(ლავრენტი ჭიჭინაძის მიხედვით)

ვასიკო ნიკაზე ბევრად უფროსია, ამიტომ სხვადასხვანაირი გასართობი მოაქვთ ხოლმე მათთვის. მაგრამ ახალი წელი რომ მოახლოვდა, მამამ ერთი ნაძვის ხე მოუტანა ორივეს.

იგი ხელოვნური, მაგრამ ძალიან ლამაზი იყო. მშვენიერი მწვანე წიწვები ჰქონდა!

ვასიკომ ხელი სტაცა თავისზე მაღალ ნაძვს და შინ შეიტანა. დიდ ოთახში კარგი ადგილი შეურჩია. ნიკა ცეკვით უვლიდა გარშემო. ერთხანს ვასიკოც იქ ფუსფუსებდა. მერე გარეთ გავარდა. თოვლისაგან პატარა თოვლის კაცი გააკეთა, შინ შემოიტანა და ნაძვის ქვეშ დააყენა. ნიკას ძალიან მოეწონა თოვლის ბაბუა.

– ეს თოვლის ბაბუა ჩემია, – წამოიძახა მან და ვასიკოს შეხედა.

– შენი იყოს, – უთხრა ვასიკომ.

– დედიკო, მამიკო, მოდით, ნახეთ, როგორ უხდება ჩვენს ნაძვის ხეს ნამდვილი თოვლის ბაბუა, – მორთო ყვირილი გახარებულმა ნიკამ.

მამას მოეწონა და იკითხა:

– ვინ გაგიკეთათ?

– მე თვითონ... – უპასუხა ვასიკომ.

– შენ მოქანდაკე ყოფილხარ, – შეაქო მამამ.

ნიკა გაბრწყინებულ თვალებს აღარ აშორებდა თოვლის ბაბუას.

დედამ თოვლის ბაბუა დიდ ლანგარზე დააყენა.

ვასიკო მიხვდა, რატომ მოიქცა დედა ასე, ნიკა კი – ვერა.

ბიჭებმა დაძინების წინ კიდევ ინახულეს თავიანთი თოვლის ბაბუა და ნაძვის ხე.

ვასიკო დილით ადრე წამოხტა და სკოლაში წავიდა.

ნიკამ კარგად რომ გამოიძინა, მაშინვე ნაძვის ხესთან მიირბინა, მაგრამ რას ხედავს?! - მარტო დგას ნაძვის ხე.

– სად არის ჩემი თოვლის ბაბუა? – დაიძახა აღელვებულმა ნიკამ.

– რაო, ნიკა, გაპარულა? – დედას თითქოს გაუკვირდა.

– ჰო, გაპარულა, – უპასუხა თვალცრემლიანმა ნიკამ და ის კი არ იკითხა, რატომ იყო ლანგარი წყლით სავსე.

გასართობი = სათამაშო	**ლამაზი = მშვენიერი**
მორთო ყვირილი = დაიწყო ყვირილი	**თოვლის ბაბუა = თოვლის პაპა**
მოქანდაკე = სკულპტორი	**შინ შეიტანა = სახლში შეიტანა**
სხვადასხვანაირი = განსხვავებული	**უვლის გარშემო = უვლის ირგვლივ**
ხელი სტაცა = ხელი დაავლო = ხელი მოკიდა	**ფუსფუსებს = ჩუმად საქმიანობს**
ადგილი შეურჩია = ადგილი მოუნახა	**გავარდა = სწრაფად გავიდა**
გაპარულა = ჩუმად, უკითხავად წასულა	**წამოხტა = სწრაფად წამოდგა**
თვალს არ აშორებს = სულ უყურებს	**აღელვებული = ანერვიულებული**

უპასუხეთ კითხვებს:

- **რატომ მოაქვთ სხვადასხვანაირი გასართობი ნიკასთვის და ვასიკოსთვის?**

- **ნიკა უფრო მაღალია თუ ნაძვი? პასუხი დაასაბუთეთ (წარმოადგინეთ სათანადო ადგილი ტექსტიდან).**

- **რატომ დააყენა დედამ თოვლის კაცი ლანგარზე?**

- **რატომ იყო ლანგარი წყლით სავსე?**

- **ნიკას არ გაუკვირდა, რომ ლანგარი წყლით იყო სავსე, რატომ?**

- **საიდან ჩანს, რომ მამას მოეწონა ვასიკოს გაკეთებული თოვლის ბაბუა?**

- **სად წავიდა თოვლის ბაბუა? მართლა გაიპარა?**

❖ *წაიკითხეთ ლექსი.*

გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

ილია ჭავჭავაძე, 1861, 28 იანვარი

უპასუხეთ კითხვებს:

- **ვინ არის ამ ლექსის ავტორი?**

- **როდის არის ლექსი დაწერილი?**

- **რა მეტყველებს იმაზე, რომ გაზაფხული დადგა?**

- **რაზე ოცნებობს პოეტი?**

- **რისი სიმბოლოა გაზაფხული ამ ლექსის მიხედვით?**

❖ დაწერეთ თემა: **მიყვარს / არ მიყვარს გაზაფხული**

- **აღწერეთ სურათი 1.**

- **აღწერეთ სურათი 2.**

- დაწერეთ: **რა არის მსგავსება ამ სურათებს შორის? რა არის განსხვავება?**

სარეკომენდაციო/დამხმარე სიტყვები და ფრაზები: ზაფხული, მზე, მზიანი ამინდი, ზღვა, მშვიდი/წყნარი, ქოქოსის პალმა, კაცი, ქალი, კალათა/ლანგარი, მიდის, ისვენებს, მარტო, შვებულება, ირუჯება, სათვალე, კეპი, ფოთოლი, ცხვირი, იცინის/იკრიჭება, კარგ ხასიათზეა, ნავი, მთა, პალო, თოკი, დაბმული, ნაპირი, პლაჟი, წევს, პირსახოცი, ქვიშა/სილა, საცურაო კოსტიუმი, სიცხე, ცხელა...

- დაწერეთ თემა: **მიყვარს / არ მიყვარს ზაფხული**



წაიკითხეთ ტექსტი.

სად არიან წელიწადის დრონი

(გივი ჭიჭინაძე)

მზე მიწაზე ჩამოსახლდა,
ზაფხულია ბარში ახლა.
- სად გაიქცა გაზაფხული?
- გაზაფხული მთაში გახლავთ.
იქ ღრუბლებთან დასეირნობს,
ცაში დაჰქრის ფრთიან რაშით.

- შემოდგომა სადღა არის?
- იმალება ჭურ-მარანში. –
ზამთარი კი, პატარებო,
მოქცეულა ძალზე ფრთხილად;
ამდგარა და სიცხის შიშით
მაცივარში ჩაკეტილა.

უპასუხეთ კითხვებს.

- **სად არის ზაფხული?**

- **სად არის გაზაფხული?**

- **„გახლავთ“, ანუ?**

- **რისი ეშინია ზამთარს?**

- **სად ემალება ზამთარი ზაფხულს?**

- **სად ემალება ზაფხულს შემოდგომა?**

ამინდი

ამინდი დედამიწის ატმოსფეროს მდგომარეობაა: სიცხე და სიცივე, ქარი და წვიმა, თოვლი და სეტყვა. ამინდი თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე მოქმედებს. მოულოდნელად შეცვლილ ამინდს ყველაფრის გაფუჭება შეუძლია, მოსავლით დაწყებული და ზაფხულის არდადეგებით დამთავრებული.

ამინდს სამი მთავარი ელემენტი აქვს: **ტემპერატურა, ჰაერის მოძრაობა** და **ჰაერში წყლის რაოდენობა.**

ცხელი ამინდის მიზეზი მზეა, რომელიც მიწასა და ატმოსფეროს ათბობს. როცა მზე ღრუბლებს მიეფარება ან ცივი ქარი უბერავს, ტემპერატურა ნაკლებია.

ქარიც მზის მოქმედების შედეგია. გათბობისას ჰაერი ფართოვდება და ზევით ადის. მისი ადგილის დასაკავებლად ზევიდან უფრო ცივი და მძიმე ჰაერის მასა ეშვება და ჩნდება **ქარი.**

მზის სითბო მცენარეებიდან, ნიადაგიდან, მდინარეებიდან და ზღვებიდან წყლის აორთქლებას იწვევს. მაღლა ასული ორთქლი წყლის წვეთებად იქცევა, რომლებიც ღრუბლებს ქმნის, შემდეგ კი წვიმის, თოვლის ან სეტყვის სახით დედამიწას უბრუნდება.

დღეს მეცნიერებს ამინდის პროგნოზირება შეუძლიათ, რისთვისაც სატელიტებსა და კომპიუტერებს იყენებენ. ამ რთული ტექნოლოგიის გამოგონებამდე კი ადამიანები ამ მიზნით სხვადასხვა ნიშანს აკვირდებოდნენ; მაგალითად, ღრუბლების მოძრაობასა და ცხოველთა ქცევას. გროვა ღრუბლები, როგორც წესი, მზიან ამინდს მოასწავებს, ქარიშხლის მოახლოებისას კი ფუტკრები სკებში შედიან.

დედამიწაზე არსებული წყლის რაოდენობა არ იცვლება, თუმცა წყალი მდგომარეობას განუწყვეტლივ იცვლის. ის **თხევადია** ზღვებში, მდინარეებსა და წვიმის წვეთებში, **მყარია** თოვლსა და სეტყვაში და **აირია** ჰაერში.

წყალს, რომელიც დედამიწაზე ეცემა, **ნალექი** ეწოდება. **წვიმა** ნალექის ყველაზე გავრცელებული სახეა. სიცივეში ნალექი ზოგჯერ **თოვლის** ან **სეტყვის** სახეს იღებს.

ამინდის რეკორდები:

სეტყვის ყველაზე მძიმე მარცვალი, რომლის წონა ერთ კგ-ს აღწევდა, ბანგლადეშის ქალაქ კოპალგანჯში ჩამოვარდა 1986 წელს.

მსოფლიოს ყველაზე წვიმიანი ადგილია **ჩერაპუნჯა** (ინდოეთში).

ჩვენთვის ცნობილი ყველაზე დიდი ფიფქები 1887 წელს აშშ-ის ქალაქ **მონტანაში** მოვიდა. მათი დიამეტრი 38 სმ-ს აღწევდა.

მსოფლიოს ყველაზე მშრალი ადგილია ჩილეში მდებარე **ატაკამის უდაბნო.** მის ზოგიერთ ნაწილში 500 წელია წვიმა არ მოსულა.

მოულოდნელად = უცებ
განუწყვეტლივ = სულ
ქარი უბერავს = ქარი ქრის
თოვლის სახეს იღებს = თოვლად გადაიქცევა
აირი = გაზი
ატმოსფერო = ჰაერი
მყარი = მაგარი

უპასუხეთ კითხვებს:

- **შესაძლებელია თუ არა ამინდის პროგნოზირება დღეს?**

- **რა იწვევს ცხელ ამინდს?**

- **როგორ ჩნდება ქარი?**

- **რა იწვევს წყლის აორთქლებას?**

- **რას ეწოდება ნალექი?**

- **სად არის ყველაზე წვიმიანი ადგილი მსოფლიოში?**

❖ **შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:**

- **მსოფლიოში ყველაზე მშრალი ადგილია:**
  ა. ევროპაში
  ბ. ანტარქტიდაში
  გ. სამხრეთ ამერიკაში
  დ. ავსტრალიაში

- **გათბობისას ჰაერი:**
  ა. იკუმშება
  ბ. ფართოვდება
  გ. იზრდება
  დ. მცირდება

❖ **წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები.**

ეშვება ჰაერის უფრო ადგილის დასაკავებლად მისი ზემოდან ცივი მასა

იცვლის განუწყვეტლივ მდგომარეობას წყალი

მიზნით ნიშანს ადამიანები ამ სხვადასხვა აკვირდებოდნენ

- **ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:**

ტექნოლოგიის, ამინდს, პროგნოზირება, ღრუბლების, ფუტკრები, სატელიტებსა

მეცნიერებს ამინდის ..... შეუძლიათ, რისთვისაც ..... და კომპიუტერებს იყენებენ. ამ რთული ..... გამოგონებამდე კი ადამიანები ამ მიზნით სხვადასხვა ნიშანს აკვირდებოდნენ; მაგალითად, ... მოძრაობასა და ცხოველთა ქცევას. გროვა ღრუბლები, როგორც წესი, მზიან ..... მოასწავებს, ქარიშხლის მოახლოებისას კი ..... სკებში შედიან.

- **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. ამინდის	მოძრაობა
ბ. მზის	ქცევა
გ. მზიანი	მარცვალი
დ. სეტყვის	პროგნოზი
ე. ღრუბლების	ამინდი
ვ. ცხოველთა	სითბო

წაიკითხეთ ტექსტი.

ამინდის უცნაურობანი

ზოგჯერ უჩვეულო, უცნაური ამინდის მომსწრენი ვხდებით. ამ დროს ადამიანები ხშირად ფიქრობენ, რომ რაღაც ზებუნებრივი ან მაგიური ხდება. ამიტომაც ამინდი ცრურწმენების მიზეზიც გამხდარა.

1806 წელს გერმანიაში ზღვის *კიბორჩხალების წვიმა* მოვიდა. მოსახლეობა გაკვირვებული შესცქეროდა ცას, საიდანაც ნახევარი საათის განმავლობაში ზღვის კიბორჩხალები ცვიოდა. მსგავსი შემთხვევა ესპანეთსა და შოტლანდიაშიც ყოფილა.

ესპანეთში ხორბალი, ხოლო შოტლანდიაში თევზები „წვიმდა“.

სხვა სახის „წვიმებიც“ შეიძლება მოვიდეს:

ამ დღეს რუსეთის ერთ-ერთი პატარა სოფლის მოსახლეებს თავზე დაეყარათ მთელი ქონება - ათასამდე მონეტა! როგორც მეცნიერები ამბობენ, ასეთი მასის ჰაერში აწევა შეუძლია უზარმაზარ ენერგიას, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ტორნადოს. თუმცა ტორნადოები ამ ადგილებისთვის უცხოა.

ავსტრალიაში 2015 წელს ობობების „წვიმა“ მოვიდა. მოვლენა, რა თქმა უნდა, არც ისე სასიამოვნოა!

თევზების წვიმები ჰონდურასში უფრო ტრადიციული მოვლენაა, ვიდრე უჩვეულო... ეს ყველაფერი ხდება ქალაქ იოროსთან ახლოს მაისი-ივლისის პერიოდში: საღამოს 5-6 საათზე თავს იყრის შავი ღრუბლები, შემდეგ იწყება ჭექა-ქუხილი და ციდან თევზების ცვენა.

ასეთი წვიმა დაატყდათ თავს სკოლის მოსწავლეებს, რომლებსაც ჰქონდათ ფიზკულტურის გაკვეთილი. **დევიდ კრაიტონი,** მათი მასწავლებელი, იძულებული გახდა შეეწყვიტა გაკვეთილი. შემდეგ ის მოსწავლეებთან ერთად დიდხანს აგროვებდა ჭიაყელებს, რომ გადაეცა ექსპერტიზისთვის. სულ იპოვეს 120 ჭიაყელა 92 მეტრის რადიუსზე.

ციდან ჩიტების ცვენა ასევე არაა იშვიათობა. 2011 წელს, ახალი წლის ღამეს, აშშ-ის მოსახლეობას თავზე დაეყარა 4000 შავი შაშვი, თანაც ყველა მათგანი იყო მკვდარი. ორნიტოლოგები დიდხანს სწავლობდნენ ამ უჩვეულო მოვლენას და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩიტები მიწაზე დანარცხების გამო კი არ მოკვდნენ, არამედ სხვა საგანთან შეჯახების გამო. ერთნი ამბობდნენ, რომ ეს იყო საახალწლო ფეიერვერკის ბრალი. მეორენი კი ამტკიცებდნენ, რომ ცუდი ბუნებრივი პირობების გამო ჩიტებმა დაკარგეს ორიენტაცია და ეჯახებოდნენ სახლებსა და ხეებს.

ინგლისში, ქოვენთრიში, 1911 წელს ხილის წვიმა წამოვიდა. ვაშლებმა საგრძნობი ზიანი მიაყენეს მოსახლეობას. ხალხი არ დაშავებულა, თუმცა დაზიანდა რამდენიმე ავტომობილი.

უჩვეულო = უცნაური	**უზარმაზარი = ძალიან დიდი**
კიბო = კიბორჩხალა	**შეჯახება = შეტაკება**
გაკვირვებული = გაოცებული	**თავს იყრის = გროვდება**
საგრძნობი = შესამჩნევი	**მივიდნენ დასკვნამდე = დაასკვნეს**

ორნიტოლოგი = ფრინველების სპეციალისტი

- **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

- **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** უჩვეულო, წვიმა, ენერგია, მოვლენა, ღრუბლები, ბუნებრივი

_____
_____
_____
_____
_____
_____

უპასუხეთ კითხვებს:

- **რას ფიქრობენ ადამიანები უცნაური ამინდის დროს ხშირად?**

  _____

- **რა მოხდა გერმანიაში 1806 წელს?**

  _____

- **რატომ შეწყვიტა მასწავლებელმა ფიზკულტურის გაკვეთილი?**

  _____

- **რა შედეგი მოჰყვა ვაშლების „წვიმას“?**

  _____

- **რა იყო ჩიტების „წვიმისას“ მათი სიკვდილის მიზეზი?**

  _____

- **რა ხდება ჰონდურასში ყოველდღე?**

  _____

შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

ხილის „წვიმა“ მოვიდა:

ა. რუსეთში;
ბ. ამერიკაში;
გ. გერმანიაში;
დ. ინგლისში.

ჰონდურასში ჩვეულებრივი ამბავია:

ა. ჩიტების „წვიმა“;
ბ. ჭიაყელების „წვიმა“;
გ. ბაყაყების „წვიმა“;
დ. თევზების „წვიმა“.

ფიზკულტურის მასწავლებელმა გაკვეთილი შეწყვიტა:

ა. ჭიაყელების „წვიმის“ გამო;
ბ. სეტყვის გამო;
გ. ნისლის გამო;
დ. ქარის გამო.

- **წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები**

ჭიაყელებს დიდხანს მოსწავლეებთან შემდეგ ის ერთად აგროვებდა

რუსეთის ქონება სოფლის პატარა ამ დღეს ერთ-ერთი მოსახლეებს თავზე დაეყარათ მთელი

მოსახლეობას ვაშლებმა ზიანი მიაყენეს საგრძნობი

- **ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:**

ღრუბელს, ზებუნებრივი, მოჩვენებებთან, თეფშს, ამინდის, მფრინავი

უცნაური ..... დროს ადამიანები ხშირად ფიქრობენ, რომ რაღაც ..... ან მაგიური ხდება. ამიტომაც ამინდი ფერიებთან და ..... დაკავშირებული ცრურწმენების მიზეზიც გამხდარა. გარდა ამისა, ამინდს უკავშირდება ამოუცნობი ..... ობიექტების „დანახვის“ გახშირებული შემთხვევებიც. ერთ-ერთი სახის ღრუბელი, რომელსაც ამოზნექილ ..... უწოდებენ, ძალიან ჰგავს მფრინავ.....

- **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. თავს	ფეიერვერკი
ბ. ზიანი	მოვლენა
გ. ფიზკულტურის	მიაყენა
დ. მზიანი	იყრის
ე. უჩვეულო	გაკვეთილი
ვ. საახალწლო	ამინდი

წაიკითხეთ ტექსტი.

ყველაზე, ყველაზე...

ანტარქტიდა ყველაზე ცივი კონტინენტია მსოფლიოში.

დედამიწის **წყლის** მხოლოდ 3% არის **მტკნარი,** დანარჩენი 97% კი **მარილიანი.** ამ 3%-დან, 2% მოდის ყინულზე, 1%-ზე ნაკლები კი - ტბებზე, მდინარეებსა და მიწისქვეშა წყლებზე.

მთვარე მილიონჯერ უფრო **მშრალია,** ვიდრე **გობის** უდაბნო.

ყველაზე ძველი მთები მსოფლიოში მდებარეობს **შოტლანდიაში.** მათი ასაკი 400 მილიონი წელია.

სპარსეთს ყურეში ყველაზე ცხელი ზღვაა. ზაფხულობით მისი ტემპერატურა 35.6 გრადუსს აღწევს. მზის სხივი სუფთა წყალში 73 მეტრამდე ჩადის.

ყველაზე **სწრაფი ქარი,** რომლის სიჩქარეც იყო 372კმ/სთ-ში, დაფიქსირდა **მთა ვაშინგტონზე,** ნიუ ჰემპშირში 1934 წლის 12 აპრილს.

ტიბეტი წარმოადგენს ყველაზე მაღალ ქვეყანას მსოფლიოში. მისი საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 4500 მეტრია.

ქალაქ **ტრიპოლის** მიდამოები ყველაზე ცხელი ადგილია მსოფლიოში. მდებარეობს ჩრდილოეთ აფრიკაში, ლიბიაში. აქ 1922 წლის 13 სექტემბერს ჩრდილში აღირიცხა +58 გრადუსი.

ოიმიაკონი ყველაზე ცივი ადგილია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. მდებარეობს იაკუტიაში, რუსეთში. აქ ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის -50 გრადუსს, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი -70 გრადუსამდე ეცემა. მსოფლიოში ყველაზე დაბალი ტემპერატურა აღირიცხა ანტარქტიდაში, სადგურ ვოსტოკზე -89,2 გრადუსი.

ანხელი ყველაზე დიდი ჩანჩქერია მსოფლიოში. მდებარეობს სამხრეთ ამერიკაში, ვენესუელაში. მისი სიმაღლეა 978 მეტრი.

გრენლანდია ყველაზე დიდი კუნძულია მსოფლიოში. მდებარეობს ჩრდილო ყინულოვან და ატლანტის ოკეანეებში. მისი ფართობია 2176 კმ².

არაბეთის ნახევარკუნძული ყველაზე დიდი ნახევარკუნძულია მსოფლიოში. მდებარეობს აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მისი ფართობი 3 მლნ. კმ²-ს აღწევს.

მარიანის ღრმული ყველაზე ღრმა ადგილია მსოფლიოში. მდებარეობს წყნარ ოკეანეში. მისი სიღრმე უდრის 11 022 მეტრს.

ჯომოლუნგმა ანუ **ევერესტი** ყველაზე მაღალი მწვერვალია მსოფლიოში. მდებარეობს ჰიმალაის მთიან სისტემაში. მისი სიმაღლეა 8848 მეტრი.

მსოფლიო = დედამიწა	**უდრის = ტოლია**
ჯომოლუნგმა = ევერესტი	**ეცემა = ვარდება**
მტკნარი = უმარილო	**აღირიცხა = დაფიქსირდა**
ყველაზე მაღალი = უმაღლესი	**ყველაზე ძველი = უძველესი**
ყველაზე ცივი = უცივესი	**ყველაზე ცხელი = უცხელესი**
ყველაზე სწრაფი = უსწრაფესი	**ყველაზე მაღალი = უმაღლესი**
ყველაზე ღრმა = უღრმესი	

უპასუხეთ კითხვებს:

- **დედამიწის წყლის რამდენი პროცენტია მტკნარი?**

  _____

- **სად არის ყველაზე ცხელი ზღვა?**

  _____

- **რომელია ყველაზე ცივი ადგილი მსოფლიოში?**

  _____

- **რამდენია დედამიწაზე დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ტემპერატურა?**

  _____

- **სად არის ყველაზე დიდი ჩანჩქერი მსოფლიოში?**

  _____

- **რამდენია ევერესტის სიმაღლე?**

  _____

❖ **შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:**

- **ყველაზე დიდი ნახევარკუნძული არის:**
  ა. აზიაში;
  ბ. აფრიკაში;
  გ. ამერიკაში;
  დ. ავსტრალიაში.

- **ყველაზე ცხელი ადგილი არის:**
  ა. ალიასკაზე;
  ბ. ანგოლაში;
  გ. ლიბანში;
  დ. ლიბიაში.

- **ყველაზე დიდი ჩანჩქერი არის:**
  ა. პარაგვაიში;
  ბ. ურუგვაიში;
  გ. ვენესუელაში;
  დ. ტანზანიაში.

- **წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები**

მდებარეობს სამხრეთ ანხელი ამერიკაში

ყველაზე ტემპერატურა ანტარქტიდაში აღირიცხა დაბალი

ტემპერატურა საშუალო ორმოცდაათ აქ ჰაერის წლიური უდრის მინუს გრადუსს

- **ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:**

აბსოლუტური, ცივი, ჩრდილოეთ, დაბალი, სადგურ, ტემპერატურა

ოიმიაკონი ყველაზე ..... ადგილია ..... ნახევარსფეროში. მდებარეობს იაკუტიაში, რუსეთში, მდ. ინდიგირკას აუზში. აქ ჰაერის საშუალო წლიური ..... უდრის -50 გრადუსს, ხოლო ..... მინიმუმი -70 გრადუსამდე ეცემა. მსოფლიოში ყველაზე ..... ტემპერატურა აღირიცხა ანტარქტიდაში, ... ვოსტოკზე -89,2 გრადუსი.

- **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. საშუალო	რაოდენობა
ბ. მთიანი	ოკეანე
გ. ყინულოვანი	ტემპერატურა
დ. ზღვის	სისტემა
ე. ნალექების	ამერიკა
ვ. სამხრეთ	დონიდან

9. სამსახური. თავისუფალი დრო.

1. ჩემი სამსახური

მე ვცხოვრობ თბილისში. მყავს მეუღლე და 1 ქალიშვილი. უნივერსიტეტი 2011 წელს დავამთავრე.

ჩემი სამსახური ქალაქის ცენტრში მდებარეობს. 2 თვეა დავიწყე მუშაობა ბიბლიოთეკაში. I თვეს გამოსაცდელი ვადით მიმიღეს და ახლა უკვე ამ ბიბლიოთეკის თანამშრომელი ვარ.

მე და ჩემი კოლეგები ვზრუნავთ ბიბლიოთეკის კომპიუტერულ ქსელზე.

ჩემი სამუშაო დღე დილის 10 საათზე იწყება და 18 საათზე მთავრდება. 09:55-ზე მე უკვე სამსახურში ვარ.

ბიბლიოთეკაში ბევრი თანამშრომელია, მე უკვე ყველას ვიცნობ, ერთის გარდა: ქალბატონი **ლია** 2 თვეა არ დადის სამსახურში, ბიულეტენზეა.

ძალიან მომწონს ჩემი სამსახური.

2. მე მშენებელი ვარ

მე მშენებელი ვარ და ვმუშაობ სამშენებლო კომპანიაში. ჩვენი კომპანია აშენებს საცხოვრებლ ბინებს.

დილით, ჩვეულებრივ, 7 საათზე ვდგები. ვვარჯიშობ, შხაპს ვიღებ, ვსაუზმობ და სამსახურში მივდივარ. 9 საათზე სამსახურში ვარ. არასოდეს ვაგვიანებ.

ჩემი სახლიც ახლა შენდება. მე მყავს ცოლი და 2 შვილი, ვცხოვრობ 2-ოთახიან ბინაში. ოჯახისთვის ეს უკვე პატარა ფართია, ბავშვები იზრდებიან და მინდა, ორივეს თავისი ოთახი ჰქონდეს. ამიტომ ვიშენებ ახალ სახლს ჩემი სამშენებლო კომპანიის პროექტით. სახლი 3 თვეში აშენდება და მალე გადავალ ახალ ბინაში.

საკმაოდ საინტერესო სამუშაო მაქვს. მიყვარს ჩემი საქმე.

- **გადაიყვანეთ ტექსტები მესამე პირში.** პირველი ტექსტის პერსონაჟს დაარქვით **დათო,** მეორეს **– გიორგი.**

პირველი ტექსტი.

მეორე ტექსტი.

- **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. **დათო მუშაობს:**
(1) სამშენებლო კომპანიაში
(2) სარეკლამო კომპანიაში
(3) ბიბლიოთეკაში
(4) პოლიციაში

II. **გიორგი არის:**
(1) მშენებელი
(2) ადმინისტრატორი
(3) მენეჯერი
(4) დარაჯი

III. **დათომ სამსახური დაამთავრა:**
(1) წელს
(2) შარშან
(3) გაისად
(4) შარშანწინ

IV. **დათო არ იცნობს ერთ თანამშრომელს იმიტომ, რომ ის:**
(1) ჯარშია
(2) მივლინებაშია
(3) ავადაა
(4) მოგზაურობაშია

V. **დათოს სამუშაო დღე იწყება:**
(1) ათ საათზე
(2) ათს რომ ხუთი წუთი აკლია
(3) ათის ნახევარზე
(4) 22 საათზე

VI. **დათო სამსახურში იცნობს:**
(1) ყველას
(2) არავის
(3) ყველას, ლიას გარდა
(4) არავის, ლიას გარდა

VII. **გიორგი მუშაობს:**
(1) ბიბლიოთეკაში
(2) იუსტიციის სამინისტროში
(3) სამშენებლო კომპანიაში
(4) სკოლაში

VIII. **გიორგის ჰყავს:**
(1) სამი ქალიშვილი
(2) ორი ქალიშვილი
(3) არ ჰყავს ქალიშვილი
(4) არ ჩანს, რამდენი ჰყავს

IX. **დათოს ჰყავს:**
(1) ორი შვილი
(2) ოთხი შვილი
(3) სამი შვილი
(4) ერთი შვილი

1. „ბედნიერი“ პროფესიები

ბრიტანელმა მეცნიერებმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ ყველაზე ბედნიერ პროფესიებად აღიარებულია **პარიკმახერობა** და **კოსმეტოლოგობა.** ამავდროულად, **მშენებლები** და **ბანკის თანამშრომლები** სხვებზე მეტად უკმაყოფილონი ყოფილან თავიანთი პროფესიით.

ადამიანების 50%-ზე მეტი თავის სამუშაოს აფასებს ანაზღაურების მიხედვით, სხვებისთვის კი ბედნიერი პროფესიის მთავარი პირობა არის მეგობრული ურთიერთობები კოლეგებთან და ყურადღება ხელმძღვანელობის მხრიდან.

ყველაზე ბედნიერი პროფესიების რეიტინგი ასეთია:

1. კოსმეტოლოგი
2. პარიკმახერი
3. შეფმზარეული
4. მასწავლებელი
5. მარკეტოლოგი/პიარმენეჯერი
6. ბუღალტერი
7. მდივანი
8. არქიტექტორი
9. ჟურნალისტი
10. ავტომექანიკოსი

იხ. http://www.gurianews.com/_/left_wide/27628_118_ka/10_yvelaze_bednieri_profesia_.html

2. სახელმწიფო თანამდებობა

რატომ ულოცავენ ადამიანს ამა თუ იმ თანამდებობაზე დანიშვნას?
რა მისალოცი ეგაა, ეს ხომ დიდი პასუხისმგებლობა...

აშშ-ის პრეზიდენტს, **აბრაამ ლინკოლნს** ძლიერ აღიზიანებდა მთხოვნელები, რომლებიც თბილ ადგილს ეძებდნენ სახელმწიფო აპარატში. მათ გასაგონად პრეზიდენტი ხშირად ჰყვებოდა ასეთ ამბავს:

ერთხელ ერთი მეფე სანადიროდ გაემზადა და თავის ვეზირს ჰკითხა: წვიმა იქნება თუ არაო? ვეზირმა მიუგო: საუკეთესო ამინდი იქნებაო. მეფეს, რომელიც თავისი ამალით სანადიროდ წავიდა, გზაში ვირზე შემჯდარი გლეხი შეხვდა. გლეხმა გააფრთხილა მეფე, იწვიმებსო. მეფეს გაეცინა და გზა განაგრძო. დაიწყეს თუ არა ნადირობა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. სასახლეში დაბრუნებისთანავე მეფემ გააგდო ვეზირი და ბრძანა, ის გლეხი მოეძებნათ.

მიჰგვარეს მეფეს გლეხი.

- მითხარი, საიდან გაიგე, რომ წვიმა იქნებოდა? - ჰკითხა მეფემ.

- მე კი არა, ჩემმა ვირმა გაიგო, თქვენო უდიდებულესობავ, - უპასუხა გლეხმა, - წვიმის მოახლოებისას იგი ყურებს ცქვეტს ხოლმე.

მეფემ გლეხი დაითხოვა, მისი ვირი კი ვეზირის ადგილას დანიშნა.

- და ეს იყო მეფის დიდი შეცდომა, - ამბობდა ლინკოლნი, - იმიტომ რომ ამის შემდეგ ყველა ვირი ითხოვს, რომ მას სახელმწიფო თანამდებობა მისცენ.

პარიკმახერი = დალაქი	ვირი = სახედარი
ანაზღაურება = გასამრჯელო = ხელფასი	დაბრუნებისთანავე = მაშინვე, როგორც კი დაბრუნდა
თბილი ადგილი = კარგი ადგილი	მიჰგვარეს = მიუყვანეს
ამალა = თანმხლები პირები	დაითხოვა = გაუშვა = გაათავისუფლა
კოკისპირული წვიმა = თავსხმა/ძლიერი წვიმა	მენეჯერი = ხელმძღვანელი = უფროსი = შეფი

❖ **იმსჯელეთ:**

რას ელოდებით თქვენი მომავალი პროფესიისგან, რა უნდა მოგცეთ მან?

_____

_____

_____

_____

უპასუხეთ კითხვებს.

პროფესიების რეიტინგის მიხედვით:

- **პარიკმახერი უფრო ბედნიერია თუ ჟურნალისტი?**

_____

- **მშენებელი უფრო ბედნიერია თუ ბუღალტერი?**

_____

- **მასწავლებელი უფრო ბედნიერია თუ ავტომექანიკოსი?**

_____

❖ **იმსჯელეთ: თქვენი აზრით, მისალოცია თუ არა თანამდებობაზე დანიშვნა?**

_____

_____

_____

_____

- **საიდან იცოდა გლეხმა, რომ იწვიმებდა?**

_____

- **ვინ აწუხებდა ამერიკის პრეზიდენტს?**

_____

- **როგორ იგერიებდა პრეზიდენტი თანამდებობის მაძიებლებს?**

_____

წაიკითხეთ ტექსტი.

* * *

მეზღაპრე იაკობ გრიმთან პატარა გოგონა მივიდა და ჰკითხა:

_ შენა ხარ ბატონი გრიმი, ჭკვიანი თერძის ზღაპარი რომ დაწერა?

_ დიახ, პატარავ, _ უპასუხა მწერალმა.

_ მაშინ გამომართვი ეს სამი გროში. მართალია, ზღაპრის ბოლოს წერია: „ვინც ამ ამბავს არ დაიჯერებს, ერთ ტალერს გადაიხდისო“, _ მაგრამ დანარჩენი ფული ყულაბაში მაქვს და მერე მოვიტან.

- **დაასათაურეთ ტექსტი.**

- **ვინ არის „ჭკვიანი თერძის ავტორი“?**

- **ტექსტის მიხედვით სამი გროში მეტია თუ ერთი ტალერი?**

- **დაიჯერა გოგონამ ზღაპარში მოთხრობილი ამბავი?**

- **რატომ არ გადაიხადა გოგონამ ფული მთლიანად?**

❖ *წაიკითხეთ ტექსტი.*

* * *

ერთმა ახალგაზრდა პოეტმა რედაქტორს ლექსების კრებული გაუგზავნა. ავტორი წერდა: მძიმეებს არ ვსვამ. გთხოვთ, თქვენ დასვათ იქ, სადაც საჭირო იქნება.

რედაქტორმა ლექსების კრებული დაუბრუნა და უპასუხა: სხვა დროს მძიმეები გამოგზავნეთ, ლექსებს ჩვენ დავწერთ.

- **დაასათაურეთ ტექსტი.**

მოეწონა რედაქტორს ლექსები?

თქვენი აზრით, რატომ არ სვამდა პოეტი მძიმეებს?

კომპიუტერი

კომპიუტერი დღესდღეობით ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

კომპიუტერის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მოვიძიოთ ინფორმაცია ნებისმიერი პირის (ძირითადად, ცნობადის), მოვლენის და ა.შ. შესახებ; ვნახოთ ვიდეო და მოვუსმინოთ მუსიკას, დავუკავშირდეთ ნაცნობებს სხვა ქვეყანაში და სხვა კონტინენტზეც კი; გავიგოთ მოსალოდნელი ამინდის შესახებ, შევიტყოთ ახალი ამბები, ვუყუროთ ტელევიზიას, შევადგინოთ სხვადასხვა დოკუმენტი, შევინახოთ ან გამოვაქვეყნოთ ნებისმიერი ინფორმაცია.

კომპიუტერს ყველა ასაკობრივი ჯგუფი იყენებს: პატარებიც, მოზარდებიც და დიდებიც. ამ სამი ჯგუფიდან პირველი ორი კომპიუტერის ფუნქციად, ძირითადად, მის თამაშებს თვლის.

კომპიუტერის გაჩენამ ახალი საფიქრალი მისცა მშობლებს: კომპიუტერულ თამაშებს ბევრი ზიანი მოაქვს.

ბავშვებს, რომლებიც განუწყვეტლივ თამაშობენ კომპიუტერულ თამაშებს, აქვთ პრობლემები: კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა იწვევს აგრესიას, მხედველობის გაუარესებას, ხერხემლის გამრუდებას, ფიზიკურ სისუსტეს, მადის დაკარგვას და ა.შ.

ყოველივე ის, რასაც კომპიუტერში ნახულობენ, ბავშვებს ხშირად რეალობაში გადმოაქვთ. ამის ერთი მაგალითი ასეთია: ერთმა შეძლებულმა ქალმა, რომელიც სათანადო დროს ვერ უთმობდა საკუთარ 7 წლის გოგონას, გადაწყვიტა მისთვის კომპიუტერი ეყიდა. მალე კომპიუტერულმა თამაშებმა უდიდესი ადგილი დაიკავა გოგონას ცხოვრებაში: ის საათობით იჯდა კომპიუტერის მონიტორთან და თამაშობდა. ერთხელ დედამ ძიძას დაავალა გოგონას სუფთა ჰაერზე გასეირნება. სეირნობის დროს გოგონამ ვერ დაინახა მის წინ აღმართული ბოძი და დაეჯახა მას.

ამ ეპიზოდიდან ნათლად ჩანს, რომ ვირტუალურმა სინამდვილემ გოგონას ცნობიერებაში შეცვალა რეალური. ყველამ კარგად ვიცით, რომ კომპიუტერული თამაშის დროს იგივე ბოძი თავისით გაიწევა, თუ შესაბამის ღილაკს დავაჭერთ თითს.

- **ჩამოთვალეთ კომპიუტერის დადებითი და უარყოფითი მხარეები:**

დადებითი მხარეები:

_____

_____

_____

_____

უარყოფითი მხარეები:

_____

_____

_____

_____

- **რატომ დაეჯახა გოგონა ბოძს?**

❖ **დაწერეთ თემა: მე და კომპიუტერი.**

❖ **გადაიყვანეთ ტექსტი მესამე პირში. მესამე პირისთვის გამოიყენეთ სიტყვა „ადამიანი“:** კომპიუტერთან ჯდომისას ადამიანს ავიწყდება სამყარო...

კომპიუტერთან ჯდომისას გვავიწყდება სამყარო. როცა წიგნს კითხულობ, მაშინაც ასე არაა? მაშ, რა განსხვავებაა მათ შორის? როცა კომპიუტერს უყურებ, შენ თვალწინ იშლება ის, რაც სხვამ გააკეთა და **შენს ფანტაზიას გასაქანი არა აქვს,** წიგნის კითხვისას კი ჩვენ მის გმირებთან ერთად ვფიქრობთ და ვმოქმედებთ: „ჩვენ-ჩვენს ოთახებში, მაგიდისაკენ თავდახრილნი, ათასნაირი სიკვდილით მოვმკვდარვართ, – ზღვაში ჩავძირულვართ, ქუსლში დავჭრილვართ, გილიოტინაზე ავსულვართ, ფათერაკგადახდილნი, საწოლში მშვიდად გარდავცვლილვართ... მრავალჯერ მოვმკვდარვართ და ყველაფერი, აჰ, ყველაფერი გამოგვიცდია – მეფედ ვუკურთხებივართ, სიკეთისთვის ხის ხმლით გვიბრძვია, ხან დაფნა დაგვიდგამს თავზე, ხანაც – ეკალი... რა არ გადაგვხდენია და, ღმერთო ჩემო, სულ რომ არაფერი, რამდენი ქალი გვყვარებია...“ (გ. დოჩანაშვილი).

- **თქვენი აზრით, რას ნიშნავს: „შენს ფანტაზიას გასაქანი არა აქვს“**

❖ **დაწერეთ თემა: წიგნი და/თუ კომპიუტერი**



❖ **დაწერეთ თემა: ჩემი საყვარელი წიგნი.**

წაიკითხეთ ტექსტი.

თალგამი (ზღაპარი)

პაპამ თალგამი დარგო. თალგამი დიდი გაიზარდა. პაპამ დააპირა მისი ამოთხრა. ეწევა, ეწევა, ვერ ამოთხარა. საშველად **ბებოს** დაუძახა.

ბებო მოეჭიდა პაპას, პაპა - თალგამს. ეწევიან, ეწევიან, ვერ ამოთხარეს. ბებომ **გოგონას** დაუძახა.

გოგონა მოეჭიდა ბებოს, ბებო - პაპას, პაპა - თალგამს. ეწევიან, ეწევიან, ვერ ამოთხარეს. გოგონამ **ძაღლს** დაუძახა.

ძაღლი მოეჭიდა გოგონას, გოგონა - ბებოს, ბებო - პაპას, პაპა - თალგამს. ეწევიან, ეწევიან, ვერ ამოთხარეს. ძაღლმა **კატას** დაუძახა.

კატა მოეჭიდა ძაღლს, ძაღლი - გოგონას, გოგონა - ბებოს, ბებო - პაპას, პაპა - თალგამს. ეწევიან, ეწევიან, ვერ ამოთხარეს. კატამ **თაგვს** დაუძახა.

თაგვი მოეჭიდა კატას, კატა - ძაღლს, ძაღლი - გოგონას, გოგონა - ბებოს, ბებო - პაპას, პაპა - თალგამს. ეწევიან, ეწევიან, და ამოთხარეს.

რა არის ამ ზღაპრის მთავარი აზრი?

ზღაპრის მიხედვით აღწერეთ სურათი/შექმენით ტექსტი: „თალგამი“ 21-ე საუკუნეში

- **რა მოხდა? რა შეიცვალა? იმსჯელეთ.**



- ყურადღებით დააკვირდით სურათებს/კადრებს.



დაწერეთ, რა მოხდა ოთახში? შეგიძლიათ ასე დაასათაურონთ: „ნაადრევი/ხანმოკლე სიხარული“ (წარმოადგინეთ სხვა ვარიანტებიც).

დროის ბანკი

- წარმოიდგინეთ, რომ არსებობს ბანკი, რომელიც ყოველ დილით თქვენს ანგარიშზე 86,400 ლარს რიცხავს. დღის დასასრულს ბანკს უკან მიაქვს ის თანხა, რაც ვერ გამოიყენეთ დღის განმავლობაში. დაწერეთ, რას გააკეთებდით?

ყოველდღიურად ყოველ ჩვენგანს 86 400 წამი გვეძლევა (24 საათი 86 400 წამისგან შედგება). დღის დასასრულს კი ეს წამები ორ კატეგორიად იყოფა:

1. წამები, რომლებიც თქვენს სასარგებლოდ გამოიყენეთ.
2. წამები, რომლებიც დაკარგულია.

- დაწერეთ, რაში გამოიყენებთ ამ წამებს? ჩვეულებრივ, რაში იყენებთ?

- თქვენი აზრით, არის თუ არა მატერიალური მდგომარეობა ადამიანის ბედნიერების განმსაზღვრელი? პასუხი დაასაბუთეთ.

- არის თუ არა ადამიანის კარგი გარეგნობა მისი წარმატების განსაზღვრელი? პასუხი დაასაბუთეთ.

❖ *წაიკითხეთ ტექსტი.*

* * *



სახელგანთქმული მწერალი **მარკ ტვენი** ერთ პატარა ქალაქში ჩავიდა ლექციის წასაკითხად. სადილობამდე იგი საპარიკმახეროში შევიდა წვერის გასაპარსად.

_ ამ ქალაქში თქვენ უცხო ხართ? _ ჰკითხა დალაქმა.

_ დიახ, _ უპასუხა მარკ ტვენმა.

_ მაშ გაგიმართლათ, _ განაგრძო პარიკმახერმა, დღეს საღამოს მარკ ტვენმა ლექცია უნდა წაიკითხოს. ხომ წამოხვალთ?

_ ჰო, ვაპირებ.

_ ბილეთი გაქვთ?

_ ჯერ არა.

_ უკვე ყველა ბილეთი გაყიდულია. ფეხზე მოგიწევთ დგომა.

_ რა სამწუხარია! _ ამოიოხრა მარკ ტვენმა, ბედი არ მწყალობს. ყოველთვის ფეხზე დგომა მიწევს, როცა ის კაცი ლექციას კითხულობს.

- ***დაასათაურეთ ტექსტი.***

_____

- **როგორ ფიქრობთ, დალაქი იცნობდა თუ არა მარკ ტვენს? საიდან ჩანს ან ერთი, ან მეორე?**

_____

_____

- **რატომ არ ჰქონდა „ერთი პატარა ქალაქის“ სტუმარს ლექციაზე დასასწრები ბილეთი?**

_____

_____

- **საიდან ჩანს, რომ მარკ ტვენი პოპულარული მწერალია? დაწერეთ ამის დამადასტურებელი წინადადებები.**

_____

_____

_____

- **თქვენი ფანტაზიით დაწერეთ ტექსტის გაგრძელება.**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

10. მედიცინა. პროფესია - ექიმი.

მიუწერეთ სათანადო სიტყვები. გამოიყენეთ ლექსიკონი.

მედიცინის სფეროში ყველაზე პოპულარული ნობელის პრემიის ლაურეატების ათეული

ნობელის პრემიის მიმნიჭებელმა კომიტეტმა დაასახელა მედიცინის სფეროში ყველაზე პოპულარული ნობელის პრემიის ლაურეატები.

ამ სფეროში პრემია გადაცემული აქვს 196 მეცნიერს. პირველი გახლდათ **ემილ ფონ ბერინგი,** რომელმაც ***დიფთერიის საწინააღმდეგო შრატი*** შექმნა.

მე-10 ადგილზეა - ***ინსულინის*** შემქმნელი **ფრედერიკ ბანტინგი.** სხვათა შორის, ის ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატია ამ უმაღლესი ჯილდოს არსებობის ისტორიაში - ბანტინგმა ნობელის პრემია 32 წლის ასაკში მიიღო.

მე-9 ადგილი - პოპულარობის მიხედვით ეს ადგილი **ოტო ვარბურგმა** დაიკავა, რომელმაც ნობელის პრემია ***„უჯრედული სუნთქვის“***ბუნებისა და ფუნქციის აღმოჩენისთვის მიიღო.

მე-8 ადგილი - ეს ადგილი **ფრენსის კრიკს** მიაკუთვნეს. მას პრემია 1962 წელს **ჯეიმს უოტსონთან** და **მორის უილკინსონთან** ერთად გადასცეს. მათ ნობელის პრემია ***დნმ-ის*** შესწავლისთვის მიენიჭათ.

მე-7 ადგილი - მეშვიდე ადგილზეა **უილიამ კემპბელი** (პრემია გაიყო **სატოსი ომურთან** და **იუიუ ტუსთან**). ამ მეცნიერებმა ***წამლების ახალი კლასის*** აღმოჩენა შეძლეს, რამაც პარაზიტული ჭიებით ეფექტური მკურნალობის საშუალება წარმოშვა.

მე-6 ადგილი - პოპულარობის მიხედვით მეექვსედ **კარლ ლანდშტაინერი** დასახელდა. მან ნობელის პრემია 1930 წელს მიიღო ადამიანის ***სისხლის ჯგუფების*** აღმოჩენის გამო. სწორედ ამის შედეგად სამედიცინო პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა სისხლის გადასხმის პროცედურები.

მე-5 ადგილი - მეხუთე ადგილზეა **იუიუ ტუ** - პირველი ქალი, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეა. მას ნობელის პრემია გასულ წელს **უილიამ კემპბელთან** ერთად გადასცეს.

მე-4 ადგილი - ეს საპატიო ადგილი **რობერტ კოხს** მიენიჭა 1905 წელს ***ტუბერკულოზის ჩხირის*** აღმოჩენისთვის.

მე-3 ადგილზე კი გახლავთ **ჯეიმს უოტსონი,** რომელსაც ნობელის პრემია გადაეცა 1962 წელს ***დნმ-ის მოლეკულური სტრუქტურის*** შესწავლის გამო.

მე-2 ადგილი - მეორე პოზიციაზეა ***პენიცილინის*** აღმომჩენი **ალექსანდრ ფლემინგი.** მან ნობელის პრემია 1945 წელს **ჰოვარდ ფლორთან** და **ერნსტ ბორის ჩეინთან** ერთად მიიღო.

1-ლი ადგილი - ნობელის პრემიის კომიტეტის საიტზე, პოპულარობის მიხედვით, ლიდერი მედიცინისა და ფიზიოლოგიის სფეროში **ივანე პავლოვია.** მას პრემია 1904 წელს მიანიჭეს ნაშრომის გამო, რომელსაც დიდმა მეცნიერმა ***„საჭმლის მომნელებელი სისტემის ფიზიოლოგია“***უწოდა.

http://www.mkurnali.ge

- *უპასუხეთ კითხვებს.*

რა შექმნა ბერინგმა?

ვინ არის ყველაზე ახალგაზრდა ნობელიანტი?

როდის აღმოაჩინეს ტუბერკულოზის ჩხირი?

როდის აღმოაჩინეს ადამიანის სისხლის ჯგუფები?

ვინ არის ფლემინგი?

რა სფეროში მოღვაწეობდა პავლოვი?

რა აღმოაჩინა ლანდშტაინერმა?

ვინ არის ლიდერი ნობელის პრემიის ლაურეატების წარმოდგენილ ათეულში?

რომელ ადგილზეა ათეულში ჩინელი მეცნიერი?

სტომატოლოგიური კითხვა-პასუხი

-ბავშვს ამოუღეს სარძევე კბილის ნერვი და მაინტერესებს მაგის ადგილას სხვა კბილი რომ ამოვა, რამე პრობლემა ხომ არ იქნება? გამიგია, რომ ნერვის ამოღების შემდეგ კბილი მალე ფუჭდება.

პასუხი:

-სარძევე კბილს მოიცვლის ბავშვი და მის ადგილს ახალი, ძირითადი კბილი დაიკავებს. სარძევე კბილის დეპულპაცია (ნერვის ამოღება) ძირითადი კბილის სიჯანსაღეზე არ აისახება.

-რომელი წლიდანაა რეკომენდებული, ბავშვს ამოვუღოთ კბილი. გავიგე, რომ 9 წლამდე არ შეიძლება.

პასუხი:

-ეს არ არის სწორი, კბილის ამოღება შეიძლება გაცილებით ადრე, სარძევე კბილების ამოღება კი მაშინაა საჭირო, როცა ისინი სიმყარეს კარგავენ.

-გამარჯობა. 24 წლის ვარ. მაქვს მგრძნობიარე კბილები. ცივი წყლის დალევისას, ცივი ჰაერის მოხვედრისას მტკივა კბილები. ცხელზე არ მემართება იგივე. კბილების გამოხეხვის დროს სისხლდენა არ მაქვს. მირჩიეთ როგორ მოვუარო ასეთ დროს კბილებს რომ არ მტკიოდეს და საერთოდ რა იწვევს კბილების მგრძნობელობას. რომელი კბილის პასტა გამოვიყენო მირჩიეთ.

პასუხი:

-კბილის მომატებულ მგრძნობელობას ერთი მიზეზი არ აქვს, საჭიროა მიზეზის დადგენა იმისთვის რომ პრობლემა მოგვარდეს, ამიტომ საჭიროა სტომატოლოგთან ვიზიტი;

კბილის პასტაც და ჯაგრისიც უნდა შეირჩეს ინდივიდუალურად, პაციენტის ასაკისა და სტომატოლოგიური სტატუსის გათვალისწინებით. კბილის ხშირი (დღეში 4-ჯერ და უფრო მეტჯერ) ხეხვა არასწორად შერჩეული ჯაგრისის გამოყენება ხშირად ხელს უწყობს მგრძნობელობის განვითარებას.

-პირში მაქვს ცუდი გემო, კბილებს ვისუფთავებ სისტემატიურად, მაინც არ ქრება უსიამოვნო სუნი, რისი ბრალია და როგორ მოვიქცე, რომ დავიბრუნო ჯანსაღი სუნთქვა. გმადლობთ.

პასუხი:

-თავდაპირველად უნდა მიმართოთ სტომატოლოგს, რათა გამოირიცხოს პირის ღრუს პათოლოგია. შემდგომში შეიძლება საჭირო გახდეს ყელ-ყურის ექიმის და თერაპევტის დახმარება.

-რამდენად უსაფრთხო და ეფექტურია კბლების ლაზერით გათეთრება?რამდენხნიანი ეფექტი აქვს და რა გვერდითი მხარეები?

პასუხი:

- ეს შედარებით უფრო ეფექტური და შედეგიანია; ლაზერით კბილების გათეთრებით მიღებული ეფექტი პრაქტიკულად მუდმივია, კბილების სწორი მოვლის შემთხვევაში.

-თაფლი კბილს აზიანებს?

პასუხი:

-არა, რასაკვირველია, კბილების ჰიგიენის სათანადოდ დაცვის პირობებში.

-შეიძლება თუ არა პირის ღრუში უსიამოვნო სუნის მიზეზი იყოს ქვები კბილებზე? მადლობა წინასწარ.

პასუხი:

-დიახ, კბილებზე ქვები შეიძლება იყოს პირის ღრუში უსიამოვნო სუნის მიზეზი.

-გამარჯობათ, მაინტერესებს კბილების გათეთრება სტომატოლოგის მიერ, აზიანებს თუ არა კბილებს?

პასუხი:

-დღესდღეობით კბილების გათეთრების პროცედურა არის უსაფრთხო და არ აზიანებს მინანქარს! შეგიძლიათ თამამად გაითეთროთ კბილები!

- რისგან ტყდება კბილები?

პასუხი:

-სავარაუდოა მინერალების დეფიციტი (კალციუმი, ფტორი და ფოსფორი). კბილების გვირგვინებს აზიანებს მექანიკური ტრავმა, თუ მაგალითად, კბილით ამტვრევთ თხილს, კბილებით ხსნით ბოთლს, ხშირად ღეჭავთ საწუწნ კანფეტებს ან თუ ძილში აკრაჭუნებთ კბილებს. კბილების დაშლა შეიძლება უკავშირდებოდეს ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობასაც.

http://www.mkurnali.ge

- ***შევამოწმოთ, რამდენად გაიგეთ:***

როდის შეიძლება ბავშვისთვის კბილის ამოღება?

საშიშია თუ არა კბილების გათეთრება სტომატოლოგთან?

რა შეიძლება იყოს პირის ღრუში უსიამოვნო სუნის მიზეზი?

აზიანებს თუ არა კბილს თაფლი?

რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ კბილი ტყდება?

რამდენად ეფექტურია კბილების გათეთრება ლაზერით?

როგორ უნდა შეირჩეს კბილის პასტა და ჯაგრისი?

მოქმედებს თუ არა სარძევე კბილის ნერვის ამოღება ძირითადი კბილის სიჯანსაღეზე?

წაიკითხეთ ტექსტი.

დოლარისა და 50 ცენტის სასწაული

ტესი 8 წლის ლამაზი გოგონა იყო. მისი ძმა, ენდრიუ, ავად იყო და საავადმყოფოში იწვა, როდესაც ტესიმ გაიგო მშობლების საუბრიდან, რომ მხოლოდ ძალიან ძვირადღირებულ მკურნალობას შეიძლებოდა გადაერჩინა ენდრიუს სიცოცხლე, მათ კი ფული არ ჰქონდათ. მხოლოდ სასწაული თუ გადაარჩენს, – ჩაესმა მშობლების უკანასკნელი სიტყვები გოგონას.

სახლში დაბრუნებული გოგონა საძინებელ ოთახში შევიდა, საწოლის ქვეშ დამალული ყულაბა ამოიღო, ხურდა დათვალა და მის სახლთან ახლოს მდებარე აფთიაქისაკენ წავიდა.

აფთიაქარი ერთ მაღალ, ინტელიგენტური გარეგნობის მამაკაცს ესაუბრებოდა. ჩანდა, რომ ისინი საუბრის დასრულებას დიდხანს არ აპირებდნენ, გოგონას კი ძალიან ეჩქარებოდა.

გოგონამ ამოიღო მთელი თავისი ფული ყულაბიდან და წინ დაუყარა აფთიაქარს.

– რას შვრები! - გაბრაზდა აფთიაქარი, – ძმას ვესაუბრები, რომელიც 10 წელია არ მინახავს და ახლახან ჩამოვიდა ჩიკაგოდან. არ შეგიძლია რამდენიმე წუთი გვაცალო!? რა გინდა?

– ძმას ესაუბრებით? მე კი მსურს ჩემი ძმის შესახებ გესაუბროთ, – გაბრაზებული ხმით უთხრა აფთიაქარს გოგონამ. ის ძალიან ავადაა და მხოლოდ სასწაული თუ გადაარჩენს... სასწაული მინდა ვიყიდო !

– ბოდიშს გიხდი, – გაეღიმა აფთიაქარს.

– მისი სახელია **ენდრიუ,** სხეულს შიგნით რაღაც გამონაზარდი აქვს. დედა ამბობს, რომ მხოლოდ სასწაული უშველის... მაინტერესებს რამდენი ღირს ეს სასწაული!? – განაგრძო გოგონამ...

– ჩვენ აქ სასწაულებს არ ვყიდით, – უთხრა აფთიაქარმა გოგონას.

– მაპატიეთ, მაგრამ მე ფული მაქვს და შემიძლია გადავიხადო, – არ იშლიდა თავისას გოგონა.

აფთიაქარის ძმა დაიხარა და ღიმილით ჰკითხა:

– აბა კარგად მომიყევი, რა სახის სასწაული სჭირდება შენს ძმას...

– ზუსტად არ ვიცი, დედა და მამა ამბობენ, რომ ოპერაცია სჭირდება და მხოლოდ სასწაული გადაარჩენს, – ცრემლიანი თვალებით უთხრა მას გოგონამ.

– რამდენის გადახდა შეგიძლია? – ღიმილით შეეკითხა ჩიკაგოელი კაცი გოგონას.

– 1 დოლარის და 50 ცენტის, – უთხრა გოგონამ, - თუმცა შემიძლია მეტიც ვიშოვო, თუ საჭიროა...

– არა ჩემო გოგონა, დოლარი და 50 ცენტი ზუსტი საფასურია იმ სასწაულის, რომელიც შენს ძმას სჭირდება, – თქვა ცრემლმორეულმა კაცმა და გოგონას მოცემული 1დოლარსა და 50 ცენტს მაგრად მოუჭირა ხელი. მოდი წავიდეთ და ვნახოთ, თუ რა სასწაული სჭირდება შენს ძმას...

ეს კაცი ექიმი **კარლტონ არმსტრონგი** იყო, გამოცდილი ქირურგი. ენდრიუს ოპერაცია სრულიად უფასოდ ჩაუტარდა და გამოჯანმრთელებამდე უფასოდ მკურნალობდნენ. ენდრიუ სახლში სრულიად ჯანმრთელი დაბრუნდა, თუმცა უსაზღვროდ ბედნიერ მშობლებს ერთი კითხვა აწუხებდათ: – ნეტავ ეს ყველაფერი რამდენი ეღირება?

ტესის არხეინად ეღიმებოდა... მან იცოდა, რამდენი ღირდა ეს სასწაული ზუსტად:

1 დოლარი და 50 ცენტი... და ამას დამატებული ერთი პატარა გოგონას რწმენა...

- *უპასუხეთ კითხვებს*

საიდან გაიგო ტესიმ, რომ მისი ძმა სერიოზულად იყო ავად?

რის საყიდლად წავიდა ტესი ათთიაქში?

რამდენად იყიდა ტესიმ სასწაული?

- თქვენი აზრით, ტესის მშობლებმა გაიგეს, რა მოხდა? პასუხი დაასაბუთეთ.

- დაახასიათეთ ექიმი არმსტრონგი

- როგორ ფიქრობთ, რამ უშველა ენდრიუს? პასუხი დაასაბუთეთ.

წაიკითხეთ ტექსტები.

1. გაციების, სურდოსა და ყელის ტკივილის გემრიელი წამალი

მაღალი ტემპერატურის დროს კარგია ქიშმიშის უშაქრო ნახარში. ის ავსებს სითხისა და მიკროელემენტების მარაგს, რომელსაც ოფლთან ერთად კარგავს სიცხიანი ორგანიზმი.

გაციების, სურდოსა და ყელის ტკივილის დროს კარგია ასეთი ნაყენი:

100 გ ქიშმიშს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ცხელი წყალი, გააჩერეთ 10 წუთი, გადაწურეთ, გააგრილეთ და დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი ხახვის გამონაწური. მიეცით ბავშვს 50 მლ დღეში 3-ჯერ.

ძლიერი ხველისა და ბრონქიტის დროს:

• 30 გ ქიშმიში დაფარეთ ცივი, ანადუღარი წყლით, გააჩერეთ 45 წუთი, შემდეგ გადაწურეთ და მიეცით ბავშვს ძილის წინ ცხელ რძესთან ერთად.

• 100 გ ქიშმიში 10 წუთი ადუღეთ 1 ჩაის ჭიქა წყალში, გააგრილეთ და მიეცით ბავშვს 3 სადილის კოვზი დღეში 3-4-ჯერ.

ქიშმიშის სასარგებლო თვისებები:

ქიშმიში აძლიერებს იმუნიტეტს. ქიშმიში სასარგებლოა ბავშვებისთვის, რომლებსაც ცუდად სძინავთ და ხშირად ჭირვეულობენ. B ჯგუფის ვიტამინები – B1, B2 და B6, ასევე – მიკროელემენტი K ქიშმიშში ბევრია, - ეს აწესრიგებს ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობას, ბავშვი წყნარდება, ღრმად და მშვიდად სძინავს. ქიშმიში რკინის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა. რკინა ჰემოგლობინის შემადგენლობაში შედის, ჰემოგლობინი კი სისხლის წითელი უჯრედების მთავარი კომპონენტია. ქიშმიში შეიცავს იშვიათ მიკროელემენტს – **ბორს,** ურომლისოდაც შეუძლებელია **კალციუმის** – ძვლების ძირითადი საშენი მასალის – ნორმალური ათვისება. გაითვალისწინეთ: ქიშმიში რეკომენდებული არ არის სიმსუქნისკენ მიდრეკილი და შაქრიანი დიაბეტის მქონე ბავშვებისთვის!

galanews.ge

2. სახალისო ანატომია

ადამიანის ორგანიზმის წარმოუდგენელი საიდუმლოებები

ალბათ გახსოვს ბიოლოგიის მოსაწყენი გაკვეთილები, რომელთაგანაც ცოტა საჭირო რამ თუ ისწავლე. ჩვენ მოგიმზადეთ გასაოცარი ფაქტები ადამიანის ორგანიზმის შესახებ, რომლებიც სკოლაში მასწავლებლებს ნამდვილად არ უთქვამთ.

1. ზრდასრული ადამიანის სხეული შედგება ატომების კოსმოსური რაოდენობისაგან: არც მეტი, არც ნაკლები, 7 000 000 000 000 000 000 000 000 000, ანუ 7 ოქტილიონია. შესადარებლად: ჩვენს გალაქტიკაში დაახლოებით 300 მილიარდი ვარსკვლავია.
2. აღმოჩნდა, რომ სტრესის მოსახსნელად კარგად უნდა ვიტიროთ. „ორთქლის გამოშვება“ ცრემლების დახმარებით ამცირებს დაძაბულობას, სევდისა და ბრაზის გრძნობას.
3. ადამიანის ტვინი საშუალებას გვაძლევს წავიკითხოთ 1000 სიტყვა წუთში.
4. ადამიანის სხეულს შეუძლია ნებისმიერი სხვა ადამიანის გათბობა, რადგან სითბო, რომელსაც ის 30 წუთში გამოიმუშავებს, საკმარისია 4 ლიტრი წყლის ასადუღებლად.
5. შენი სხეული შედგება 96 999 კილომეტრის სიგრძის სისხლძარღვებისაგან. ამ სიგრძის ძავი დედამიწას 2-ჯერ შემოერტყმება.
6. ვერც კი წარმოიდგენ: რამდენად **ძველი ხარ.** ატომები, რომლებიც შენს ორგანიზმს შეადგენენ, ის ატომებია, რომლებიც დაახლოებით 13,7 მილიარდი წლის წინ წარმოიქმნა.
7. შენი ჭიპი ნამდვილი ჯუნგლებია. მასში ათასობით ბაქტერია ცხოვრობს, რომლებიც ამ მასშტაბებისათვის უზარმაზარ ეკოსისტემას ქმნიან.
8. ადამიანის ძვლები ისეთივე მაგარია, როგორც გრანიტი. ასანთის კოლოფის ზომის ძვლის პატარა ნატეხს შეუძლია გაუძლოს 9 ტონა მასას.
9. შენი სხეული განუწყვეტლივ მოძრაობაშია. ყოველ წამს ის 25 მილიონ ახალ ქსოვილს ქმნის.
10. ჩვენი უჯრედების დაახლოებით 90% სოკოებისა და ბაქტერიებისაგან შედგება. ცუდი შეგრძნებაა, არა?
11. ყველასათვის ცნობილი ხუთი გრძნობის ორგანოს (სმენის, მხედველობის, შეხების, ყნოსვისა და გემოს) გარდა შენ გაქვს 15 სხვა გრძნობა. მათ შორისაა: ბალანსი, ტემპერატურა, ტკივილი, დრო, ინტუიცია, ხრჩობის, წყურვილის, დანაყრების და სხვა.
12. მიზეზი, რის გამოც ვტირით, გავლენას ახდენს ჩვენი ცრემლების ფორმაზე. თუ ცრემლებს მიკროსკოპში შევხედავთ, მწუხარების, ბედნიერებისა და ხახვის ჭრის დროს წამოსული ცრემლები სრულიად განსხვავებულად გამოიყურება.
13. ჩვენ უფრო მდიდრები ვართ, ვიდრე გვგონია. თითოეული ჩვენგანის ორგანიზმში (კერძოდ, სისხლში) არის 0,2 მილიგრამი ოქრო.

- **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

- **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** თვისება, ტკივილი, ბაქტერია, ვიტამინი, ტემპერატურა, ორგანიზმი, ჭიპი.

_____
_____
_____
_____
_____
_____

უპასუხეთ კითხვებს:

- **როდის არის კარგი ქიშმიშის ნახარში?**

  _____

- **რას კარგავს ოფლთან ერთად ორგანიზმი?**

  _____

- **რა არის სისხლის წითელი უჯრედების მთავარი კომპონენტი?**

  _____

- **ვისთვის არის უსარგებლო ქიშმიში?**

  _____

- **რისთვის არის კარგი ტირილი?**

  _____

- **რა რაოდენობის წყლის ადუღება შეუძლია ნახევარ საათში ადამიანის სხეულის სითბოს?**

  _____

- **რისგან შედგება ადამიანის უჯრედების ოთხმოცდაათი პროცენტი?**

  _____

- **რა ხნის არის ატომები, რომლებიც ადამიანის ორგანიზმს შეადგენენ?**

  _____

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები**

I. ქიშმიშის ნახარში სასარგებლოა:

- მაღალი სიცხის დროს
- კბილის ტკივილის დროს
- ყურის ტკივილის დროს
- უხასიათობის დროს

II. ქიშმიშში ბევრია:

- ა ჯგუფის ვიტამინები
- ბ ჯგუფის ვიტამინები
- ც ჯგუფის ვიტამინები
- დ ჯგუფის ვიტამინები

III. ქიშმიშში არის ბევრი:

- ვერცხლი
- ბრინჯაო
- რკინა
- სპილენძი

IV. სისხლძარღვების სიგრძე არის:

- 97 ათასამდე კილომეტრი
- 97 ათასამდე მეტრი
- 96 ათას კილომეტრზე ნაკლები
- 96 ათას მეტრზე ნაკლები

V. რას კარგავს ორგანიზმი ოფლთან ერთად?

- ჟანგბადს
- სითხეს და მიკროელემენტებს
- ნახშირორჟანგს
- მაკროელემენტებს

VI. ადამიანის სისხლში არის:

- ალუმინი
- ქვანახშირი
- ნავთობი
- ოქრო

VII. სტრესის მოსახსნელად კარგია:

- სირბილი
- ღიმილი
- სიცილი
- ტირილი

VIII. ცრემლის ფორმაზე გავლენას ახდენს:

- მიღებული საკვები
- მიღებული სითხე
- სუფთა ჰაერი
- ტირილის მიზეზი

IX. რის შემადგენლობაში შედის რკინა?

- ა) კალციუმის
- ბ) ჰემოგლობინის
- გ) შაქრის
- დ) მარილის

X. რისი მთავარი კომპონენტია ჰემოგლობინი?

- ა) სისხლის წითელი უჯრედების
- ბ) ცხიმოვანი ქსოვილების
- გ) ცილების
- დ) ჟანგბადის

XI. რისი საშენი მასალაა კალციუმი?

- ა) უჯრედების
- ბ) ცხიმების
- გ) ძვლების
- დ) სისხლის

XII. რა აწესრიგებს ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობას?

- ა) C ჯგუფის ვიტამინები
- ბ) B ჯგუფის ვიტამინები და მიკროელ. K
- გ) D ჯგუფის ვიტამინები
- დ) Eჯგუფის ვიტამინები

XIII. როგორი წყალი უნდა დავასხათ ქიშმიშს ხველის დროს?

- ა) ცხელი წყალი
- ბ) ანადუღარი ცივი წყალი
- გ) თბილი წყალი
- დ) ანადუღარი თბილი წყალი

XIV. ვისთვის არ შეიძლება ქიშმიშის ჭამა?

- ა) გამხდარი ბავშვებისთვის
- ბ) დიაბეტიანი ბავშვებისთვის
- გ) ზარმაცი ბავშვებისთვის
- დ) ჯიუტი ბავშვებისთვის

XV. რამდენი გრამი ქიშმიშია საჭირო გაციების დროს ნაყენის მომზადებისას?

- ა) ორასი
- ბ) სამასი
- გ) ასი
- დ) ორმოცი

XVI. რას აძლიერებს ქიშმიში?

- ა) მადას
- ბ) წყურვილს
- გ) იმუნიტეტს
- დ) სწავლის სურვილს

- **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. ნერვული	მასალა
ბ. სტრესის	აძლევს
გ. შაქრიანი	იმუნიტეტს
დ. საშენი	სისტემა
ე. საშუალებას	მოხსნა
ვ. აძლიერებს	დიაბეტი

- **იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი აზრი წარმოდგენილ ფორმულირებებთან დაკავშირებით:**

1. ჭამის წინ ხელებს თუ არ დავიბანთ, ავად გავხდებით.

2. ალკოჰოლი და ნარკოტიკები პრობლემების დავიწყების კარგი საშუალებაა.

11. მეგობრობა. სიყვარული...

წაიკითხეთ ტექსტი.

უკანასკნელი ფოთოლი
ო'ჰენრის (1862-1910) მიხედვით

ნიუ-ორკში, დიდი სახლის ერთ პატარა ოთახში ორი მხატვარი მეგობარი ცხოვრობდა. ერთს სიუ ერქვა, მეორეს – ჯონსი. დებივით ერთად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. შეკვეთებს იშვიათად იღებდნენ და ამიტომ ხშირად საჭმლის ფულიც არ ჰქონდათ. ცხოვრება მაინც უყვარდათ, უხაროდათ როცა მათი ნახატები ადამიანებს მოსწონდათ და თავს ყოველთვის ბედნიერად გრძნობდნენ.

ნოემბერი დადგა. გარეთ ძალიან აცივდა და ყოველდღე წვიმდა.

ერთ დღეს ჯონსი ავად გახდა. თავს ძლიერ ცუდად გრძნობდა. მაღალი სიცხე ჰქონდა, მაგრამ მაინც სციოდა. პირი უშრებოდა და თავი ძალიან სტკიოდა.

იგი მთელი კვირა ავადმყოფობდა.

ერთ დღეს ექიმმა თქვა: „სიუ, მინდა რაღაც გითხრა, მოდი, დერეფანში გავიდეთ".

- სიუ შენი მეგობარი მძიმედაა ავად. წამლები ვერაფერს შველის, რადგან სიცოცხლე აღარ უნდა. მითხრა, რომ ურჩევნია მოკვდეს. წამლები უსარგებლოა ადამიანისთვის, ვისაც სიცოცხლე აღარ უნდა.

სიუ მწარედ ატირდა.

- სიუ, მოდი აქ, – დაუძახა ჯონსმა.

- ახლავე ჯონს, უკვე მოვდივარ, უპასუხა სიუმ.

ოთახში შესული სიუ აღარ ტიროდა, იგი მღეროდა.

- ექიმმა რა გითხრა, სიუ? – ჰკითხა ჯონსმა.

- მითხრა, რომ რამდენიმე დღეში კარგად იქნები.

- არა, რამდენიმე დღეში მოვკვდები.

- ამაზე ნუღარ იფიქრებ და კარგად გახდები. ახლა კი ცოტა უნდა შეჭამო. გემრიელ წვნიანს მოგიმზადებ.

სიუმ წვნიანის მომზადება დაიწყო თუ არა, გაიგონა, რომ ჯონსი რაღაცას ითვლიდა.

საწოლთან მისულმა სიუმ დაინახა, ჯონსი ფანჯარას გაჰყურებდა და თვლას განაგრძობდა.

„თორმეტი, თერთმეტი... ათი, ცხრა... რვა და შვიდი".

სიუმ ფანჯარაში გაიხედა. უნდოდა გაეგო, თუ რას ითვლიდა ჯონსი. გარეთ მხოლოდ ეზო და ქვის კედელი ჩანდა, რომელზეც ბებერი სურო იყო, რომელსაც სულ რამდენიმე გაყვითებული ფოთოლი ჰქონდა შერჩენილი.

- ჯონს, რას ითვლი?

- ფოთლებს ვითვლი. გუშინ 19 ფოთოლი ება, დღეს შვიდიღა შერჩა. ეჰ! კიდევ ერთი მოსწყდა. ექვსი დარჩა!

- კი მაგრამ, რატომ ითვლი?

- იმიტომ ვითვლი, რომ როგორც კი უკანასკნელი ფოთოლი მიწაზე დაეცემა, მე მოვკვდები.

- ჯონს,, ძვირფასო, ნუ ლაპარაკობ ასე.

- ასეა, სიუ, ვიცი, როგორც კი უკანასკნელი ფოთოლი ჩამოვარდება, მე მოვკვდები.

სიუმ არაფერი უპასუხა. იგი ტიროდა.

დერეფანში გავიდა. იგი ჯერ კიდევ ტიროდა, როცა მოხუცი ბერმანი დაინახა.

ბერმანიც მხატვარი იყო. ისიც იმავე სახლში ცხოვრობდა. სამოცი წლის კაცი არც ისე კარგი მხატვარი გახლდათ, თუმცა ყოველთვის ამბობდა: „ბერმანს ყველანი დასცინიან, მაგრამ ბერმანი მაინც დიდი მხატვარია, ერთი დღესაც იქნება და უმშვენიერეს ნახატს დახატავს – მსოფლიოში საუკეთესოს“.

ბერმანი ხალხს არ უყვარდა, რადგან არც ბერმანს მოსდიოდა ისინი თვალში. ზრდილობითაც არ გამოირჩეოდა და ყველას დასცინოდა. ადამიანები მასზე ფიქრობდნენ, რომ იგი ეგოისტია.

– რა გატირებს, გოგონი? –ჰკითხა მან სიუს.

– ეჰ, ჯონსი მძიმედაა ავად, ექიმმა თქვა, რომ წამლები ვერაფერს უშველის, რადგან სიცოცხლე აღარ უნდა და ბებერი სუროს ფოთლებს ითვლის.

– რატომ აღარ უნდა სიცოცხლე და ფოთლებს რატომ ითვლის?

– ჯონსი ფიქრობს, რომ როგორც კი ხეს უკანასკნელი ფოთოლი მოსწყდება, მაშინვე მოკვდება.

– და რამდენი ფოთოლი შერჩა ხეს ახლა?

– მხოლოდ ერთი. და ვფიქრობ, ისიც ამაღამ მოსწყდება.

– რა სულელია შენი ჯონსი, – თქვა ბერმანმა და წავიდა.

გათენდა. ჯონსმა ფანჯარაში გაიხედა, სუროს უკანასკნელი ფოთოლი ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი.

დაღამდა. სუროზე უკანასკნელი ფოთოლი ისევ ეკიდა.

– ო, სიუ, სუროს უკანასკნელი ფოთოლი ისევ ჰკიდია, რა სულელი ვიყავი. მთელი დღე ძლიერი ქარი ქროდა და საშინლად წვიმდა, ის კი ისევ ცოცხლობს, აღარ მოვკვდები და ვიცოცხლებ!”

რამდენიმე დღის შემდეგ ჯონსი ექიმმა მოინახულა. მოუსმინა და უთხრა: „ჩემო მეგობარო, უკვე კარგად ხართ და უფრო ბედნიერი, ვიდრე ბერმანი“.

– ბერმანი? რა დაემართა? – ერთდროულად იკითხეს გოგოებმა.

– არ იცით? ბერმანი გუშინ ღამით გარდაიცვალა.

– ბერმანი გარდაიცვალა?! კი მაგრამ რატომ?

– რამდენიმე დღის წინ დილით მეზობლებმა ეზოში იპოვეს. სულ მთლად სველი იყო და გაყინული. გვერდით კიბე ეგდო, იქვე – ყავისფერი და ყვითელი საღებავი. არავინ იცის, რას აკეთებდა იგი ღამით. ხალხს არ უყვარდა იგი. ბებერი ბერმანი ეგოისტი იყო.

სიუ სწრაფად წამოხტა და ფანჯარაში გაიხედა. ქვის კედელს დაბერებული სურო ეხვია, რომელსაც ერთადერთი ყვითელი ფოთოლი შერჩენოდა. – უკანასკნელი ფოთოლი. სიუ ფოთოლს დააკვირდა, მაგრამ რაც დაინახა, ფოთოლი არ იყო. ნახატი გახლდათ, უმშვენიერესი ნახატი, - მსოფლიოში საუკეთესო ნახატი, რომელის დახატვასაც მოხუცი ბერმანი ვერც კი წარმოიდგენდა.

❖ უპასუხეთ კითხვებს:

- ვინ არის ამ მოთხრობის ავტორი?

- როდის დაიბადა ო'ჰენრი?

- როდის გარდაიცვალა?

- რომელ საუკუნეში ცხოვრობდა ო'ჰენრი?

- როგორი მხატვრები იყვნენ ჯონსი და სიუ? საიდან ჩანს?

- ვინ იყო ბერმანი?

- რატომ მოკვდა ბერმანი?

- როგორ მოკვდა ბერმანი?

- ვინ გადაარჩინა ჯონსი?

- რატომ არ ჩამოვარდა უკანასკნელი ფოთოლი?

- რა ჰქვია მსოფლიოში საუკეთესო ნახატს?

- **როგორი მეგობრები იყვნენ ჯონსი და სიუ? რომელ აბზაცში ჩანს ეს?**

- **როგორი მეგობარია სიუ? საიდან ჩანს?**

- **დაასათაურეთ პირველი აბზაცი**

- **რამდენიმე წინადადებით დაწერეთ ტექსტის მთავარი აზრი.**

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. **ჯონსი ავად გახდა:**
(1) ზამთარში
(2) ზაფხულში
(3) გაზაფხულზე
(4) შემოდგომაზე

II. **ჯონსი ავად იყო:**
(1) სამი დღე
(2) ხუთი დღე
(3) შვიდი დღე
(4) ცხრა დღე

III. **სიტყვებს – „წამლები უსარგებლოა ადამიანისთვის, ვისაც სიცოცხლე აღარ უნდა“ – ამბობს:**

(1) ბერმანი
(2) სიუ
(3) ექიმი
(4) ჯონსი

IV. **„ბერმანი მაინც დიდი მხატვარია“ – ასე ფიქრობს:**

(1) ექიმი
(2) ხალხი
(3) თვითონ ბერმანი
(4) სიუ და ჯონსი

- **დაწერეთ თემა: მეგობრობა.**

წაიკითხეთ ტექსტები.

1

ეს ფოტო სირიაშია გადაღებული 1889 წელს. მასზე ასახული არიან უსინათლო მუსლიმი **მუჰამედი** და უნარშეზღუდული ჯუჯა, ქრისტიანი **სამირი.** სამირი მუჰამედზეა დამოკიდებული, რადგან მხოლოდ მისი მეშვეობით შეუძლია ქალაქის ქუჩებში გადაადგილება. თავად მუჰამედსაც სჭირდება სამირის დახმარება, რადგან სწორედ მისი თვალების მეშვეობით შეუძლია სიარული წინააღმდეგობის გარეშე. ორივე ობოლი იყო და თავიანთი ძალები გააერთიანეს, რომ ამ სასტიკ სამყაროში გადარჩენილიყვნენ.

ლეგენდის თანახმად, როცა სამირი გარდაიცვალა, უსინათლო მუსლიმი მუჰამედი ერთ კვირაში დარდით თავადაც მოკვდა.

2

ცეზარს ერთადერთი ადამიანი და მეგობარი ჰყავდა, რომელსაც იგი ენდობოდა. ის იყო მისი მკურნალი; მეტიც, თუ იგი ავად იყო, მხოლოდ პირადად მის მიერ მოწოდებულ წამალს იღებდა.

ერთხელ, როცა თავს ცუდად გრძნობდა, მან ანონიმური შეტყობინება მიიღო: „გეშინოდეს უახლოესი ადამიანის, შენი მკურნალის. მას შენი მოწამვლა აქვს განზრახული!“

ცოტა ხნის შემდეგ მკურნალი მივიდა მასთან და წამალი მიაწოდა. ცეზარმა მეგობარს წერილი გადასცა და სანამ ის კითხულობდა, ბოლომდე დალია წამალი.

მკურნალს შიშისაგან სისხლი გაეყიდა: - მბრძანებელო, როგორ გაბედეთ ჩემი მოწოდებული წამლის დალევა მას შემდეგ, რაც ეს წერილი წაიკითხეთ?!

ცეზარმა ამაზე უპასუხა: - საკუთარ მეგობარში ეჭვის შეტანას სიკვდილი ჯობია!

3

ალბანეთის ჩრდილოეთით პატარა ქალაქ პატოკში დაიჭირეს მგელი და დაამწყვდიეს გალიაში. გარეული ცხოველი მშიერი რომ არ ყოფილიყო, ხალხმა გადაწყვიტა საკვებად ბებერი ვირი მიეყვანათ, რომელიც ძალიან დიდხანს ერთგულად ემსახურებოდა თავის პატრონს, თუმცა როდესაც დაბერდა და აღარ შეეძლო ტვირთის ზიდვა, პატრონისთვის ის „უვარგის ნივთად“ იქცა. როდესაც ეს ცხოველი შეიყვანეს მგლის გალიაში, ვირმა მხეცს თვალებში შეხედა, მგელიც თვალს არ აშორებდა მას. ვერავის შეუძლია თქვას, რა უხილავი კავშირი მოხდა მათ შორის, თუმცა ფაქტია, რომ გარეულმა ცხოველმა ვირი დაინდო და არ შეჭამა.

რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც გალიაში შეიხედეს, ვირი და მგელი, ერთმანეთის სიახლოვეს მშვიდად იდგნენ. მშიერმა მგელმა დაინდო ვირი, მაგრამ ადამიანმა, რომელსაც მთელი სიცოცხლე ემსახურებოდა ეს საცოდავი ცხოველი, გარეულ ცხოველს „მიართვა“ ის სადილად.

<u>ზოოკლუბჯი</u>

დაასათაურეთ ტექსტები.

1. _____

2. _____

3. _____

- **ზოგჯერ ადამიანი ცხოველზე უფრო დაუნდობელი და სასტიკია, - რომელ ტექსტშია მოთხრობილი ამის შესახებ?**

_____

- **რომელ ტექსტშია მოთხრობილი მუსლიმისა და ქრისტიანის მეგობრობის შესახებ?**

_____

- **რომელ ტექსტშია მოთხრობილი იმის შესახებ, რომ მეგობარში ეჭვის შეტანა არ შეიძლება?**

_____

- **რისი უნარი ჰქონდა შეზღუდული სამირს?**

_____

- **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

სისხლი	სამყარო
უხილავი	არის
ეჭვის	გაეყინა
სასტიკი	შეტანა
ავად	ნივთი
ანონიმური	ცხოველი
უვარგისი	კავშირი
გარეული	შეტყობინება

მე შენ მიყვარხარ!

15 წლის იყავი, როდესაც პირველად გითხარი: „მე შენ მიყვარხარ!“ შენ კი გაწითლდი, თავი დახარე და გაიღიმე.

20 წლის იყავი, როდესაც გითხარი: „მე შენ მიყვარხარ!“ შენ ხელი ხელზე მომკიდე და მაგრად მომიჭირე, გეშინოდა, რომ სადმე არ გავმქრალიყავი.

25 წლის იყავი, როდესაც გითხარი: „მე შენ მიყვარხარ!“ შენ საუზმეს მიმზადებდი, მოტრიალდი, შუბლზე მაკოცე და მითხარი: უმჯობესია იჩქარო, სამსახურში არ დაგაგვიანდეს...

30 წლის იყავი, როდესაც გითხარი: „მე შენ მიყვარხარ!“ შენ კი მითხარი: თუ მართლა გიყვარვარ, გთხოვ, უფრო ადრე დაბრუნდე სახლში სამსახურის შემდეგ.

40 წლის იყავი, როდესაც გითხარი: „მე შენ მიყვარხარ!“ შენ სადილს ამზადებდი და მითხარი: კარგი, ძვირფასო, მაგრამ გთხოვ, ბავშვებს გაკვეთილები გამოჰკითხო.

50 წლის იყავი, როდესაც გითხარი: „მე შენ მიყვარხარ!“ შენ ამ დროს ქსოვდი და გაგეცინა ჩემს სიტყვებზე.

60 წლის იყავი, როდესაც გითხარი: „მე შენ მიყვარხარ!“ შენ გამიღიმე...

70 წლის იყავი, როდესაც გითხარი: „მე შენ მიყვარხარ!“ ჩვენ დივანზე ვისხედით და ჩემს სასიყვარულო წერილს ვკითხულობდით, რომელიც 50 წლის წინ მოგწერე.

80 წლის იყავი, როდესაც შენ მითხარი: „მე შენ მიყვარხარ!“ მე არაფერი მითქვამს, რადგან არ შემეძლო, შენ კი ტირილი დაიწყე. ეს შენს ცხოვრებაში ყველაზე უბედური დღე იყო, ხოლო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი, რადგან შენ მითხარი, რომ გიყვარდი...

დააფასეთ, ვინც გიყვართ და ხშირად უთხარით სიტყვები: „მე შენ მიყვარხარ!“ გახსოვდეთ, რომ ყოველთვის არ გექნებათ ამის შესაძლებლობა, ნუ დაკარგავთ მას...

❖ **უპასუხეთ კითხვებს:**

- **როდის უთხრა პირველად ვაჟმა ქალიშვილს: „მე შენ მიყვარხარ!“**

- **როდის უთხრა ცოლმა ქმარს პირველად: „მე შენ მიყვარხარ!“**

- **როდესაც ქალი 25 წლისა იყო, ტექსტის პერსონაჟებს უკვე ოჯახი აქვთ შექმნილი. საიდან ჩანს ეს?**

- **მოიყვანეთ ადგილი, რომელშიც, თქვენი აზრით, ტექსტის მთავარი აზრია.**

- **ტექსტი მთავრდება სიტყვებით: „ნუ დაკარგავთ მას...“ რაზეა ლაპარაკი? რას ნუ დაკარგავთ?**

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

I. **როდესაც ქმარს სამსახურიდან ადრე მოსვლას სთხოვდა, ცოლი იყო:**
   (1) ოცდაათი წლის
   (2) ოცდახუთი წლის
   (3) ორმოცდაათი წლის
   (4) ოთხმოცი წლის

II. **ქმრის სიტყვებზე ცოლს გაეღიმა:**
   (1) როდესაც სამოცი წლის იყო
   (2) როდესაც ორმოცი წლის იყო
   (3) როდესაც ოთხმოცი წლის იყო
   (4) როდესაც ოცი წლის იყო

III. **ქმრის სიტყვებზე ცოლს გაეცინა:**
   (1) როდესაც სამოცი წლის იყო
   (2) როდესაც ორმოცი წლის იყო
   (3) როდესაც ორმოცდაათი წლის იყო
   (4) როდესაც ოცი წლის იყო

ალუბლის ნამცხვარი

მოხუცი ცოლ-ქმარი გორაკის თავზე პატარა სახლში ცხოვრობდა. მათ ახალგაზრდობიდან მოყოლებული უყვარდათ ერთმანეთი და უკვე ორმოც წელზე მეტი იყო, ბედნიერად თანაცხოვრობდნენ.

ყოველ დილით კაცი ველოსიპედით მაღაზიაში მიდიოდა, იმ დღისთვის სამყოფი ბოსტნეულის მოსატანად, სანამ ქალი სახლსა და ბაღს უვლიდა. ბევრი ფული არ ჰქონდათ, ამიტომ პურითა და ბოსტნეულით გაჰქონდათ თავი. გაჭირვების მიუხედავად, ღმერთის მადლიერნი იყვნენ იმის გამო, რაც გააჩნდათ და, უფრო, იმის გამო, რომ ერთმანეთი ჰყავდათ.

კვირაში ერთხელ, სადილის შემდეგ, ბუხრის პირას მოიკალათებდნენ ხოლმე და ალუბლის ნამცხვრის ნაჭერს იყოფდნენ. ეს მათ ცხოვრებაში ერთადერთი ფუფუნება იყო და ერთად ცხოვრების საუკეთესო წუთები სწორედ ამ მომენტს უკავშირდებოდა: ამბების მოყოლა, ჩახუტება და სიცილი, სანამ საყვარელ ნუგბარს შეექცეოდნენ.

ალუბლის ნამცხვარს ისინი უცნაურად იყოფდნენ: კაცს მხოლოდ ქერქი უყვარდა, რომელსაც ოდნავ ეტყობოდა ტკბილი ალუბლის ნარჩენები, ქალს კი – პირიქით, ნამცხვრის გული უფრო მოსწონდა. ასე რომ, ისინი ინაწილებდნენ ნამცხვარს და ორივე ბედნიერი იყო. ამ შემთხვევაშიც სრული ჰარმონია იყო მათ შორის.

ერთ ცივ ზამთარს მოხუცი კაცი პნევმონიით დაავადდა. ავადმყოფობამ ძალიან დაასუსტა კაცი და რამდენიმე დღეში ნათელი გახდა, რომ ამას ვერ გადაიტანდა. მწუხარე ცოლი საწოლთან იჯდა, ოდნავ განათებულ ოთახში, და ცრემლმორეული შესცქეროდა თვალებში მომაკვდავს.

– რაღაც უნდა გითხრა,- თქვა კაცმა ნელა, თან ფრთხილად აიღო ცოლის ხელი.

– რა უნდა მითხრა, ძვირფასო?- ჰკითხა ქალმა, თან ცრემლი შეიკავა.

– ძალიან მიყვარხარ! - უპასუხა კაცმა.

– ეგ ვიცი, რა თქმა უნდა! – სიცილით შეაწყვეტინა ცოლმა, – მეც მიყვარხარ.

კაცმა საუბარი გააგრძელა:

– მხოლოდ იმისთვის ვცოცხლობდი, რომ შენ გამებედნიერებინე. იმედი მაქვს, მოვახერხე. ჰო, კიდევ, საყვარელო, არ გამიბრაზდე, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში გატყუებდი.

ქალმა უნებურად თავი დახარა, დაბნეულობის დამალვას ცდილობდა.

– მე... მე არასდროს მომწონდა ნამცხვრის ქერქი, – ღიმილით, ნელა თქვა მოხუცმა კაცმა.

ქალი ცოტა ხნით ჩუმდა იჯდა, შემდეგ კი ჰკითხა:

– მაშინ, რატომ...

– იმიტომ, რომ შენი სიამოვნება იყო ჩემი სიხარული.

ოთახში სიჩუმე იყო. მოხუცები ერთმანეთს ღიმილით შესცქეროდნენ. ქალს თვალებში ცრემლი უბრწყინავდა... შემდეგ ის დაიხარა და ქმარს მხარზე თავი დაადო.

– ჩემო ძვირფასო, – თქვა მან, – მთელი ამ წლების მანძილზე მეც შენს გახარებას ვცდილობდი, ამიტომ, ნამცხვრის გულს ვჭამდი... სინამდვილეში, ქერქი ბევრად მირჩევნია.

ახლა უკვე ორივე მოხუცის თვალებში ბრწყინავდა ცრემლი...

dainteresdit.ge

- **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** მოხუცი, ნამცხვარი, ერთად, სიყვარული, ქერქი, გული, ცრემლი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

უპასუხეთ კითხვებს:

- **სად და რისთვის მიდიოდა ყოველ დილით კაცი?**

  _____

- **რამდენი წელი ცხოვრობდა ერთად ცოლ-ქმარი?**

  _____

- **რითი დაავადდა კაცი ერთ ზამთარს?**

  _____

- **რა აღიარა კაცმა თავის ცოლთან სიკვდილის წინ?**

  _____

- **ნამცხვრის რომელი ნაწილი რომელი უფრო უყვარდა ცოლს, - ქერქი თუ გული?**

  _____

- **კაციც იტყუებოდა და ქალიც, - შეაფასეთ მათი ეს საქციელი.**

  _____
  _____
  _____
  _____

- **წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები**

უყვარდათ ახალგაზრდობიდან მათ მოყოლებული ერთმანეთი

_____

ვცდილობდი გახარებას შენს მთელი ამ მანძილზე მეც წლების

_____

შორის ამ ჰარმონია იყო მათ სრული შემთხვევაშიც

_____

- **ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:**

პნევმონიით, ავადმყოფობამ, ნამცხვარს, შესცქეროდა, ქერქი, განათებულ

კაცს მხოლოდ ..... უყვარდა, რომელსაც ოდნავ ეტყობოდა ტკბილი ალუბლის ნარჩენები, ქალს კი – პირიქით, ნამცხვრის გული უფრო მოსწონდა. ასე რომ, ისინი ინაწილებდნენ ..... და ორივე ბედნიერი იყო. ამ შემთხვევაშიც სრული ჰარმონია იყო მათ შორის. ერთ ცივ ზამთარს ბოხუცი კაცი ..... დაავადდა. ..... ძალიან დაასუსტა კაცი და რამდენიმე დღეში ნათელი გახდა, რომ ამას ვერ გადაიტანდა. მწუხარე ცოლი საწოლთან იჯდა, ოდნავ ..... ოთახში, და ცრემლმორეული ..... თვალებში მომაკვდავს.

- **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. გაჰქონდათ	დაავადდა
ბ. ნუგბარს	შეიკავა
გ. ბუხართან	დახარა
დ. ცრემლი	შეექცევა
ე. თავი	მოიკალათა
ვ. პნევმონიით	თავი

❖ **დაწერეთ თემა: სიყვარული.**

- **იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი აზრი წარმოდგენილ ფორმულირებასთან დაკავშირებით:**

თუ შეყვარებული ეჭვიანობის გამო გაგარტყამს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ძალიან უყვარხარ.

სიყვარულია ის, როცა გაბრაზებული ხარ და მაშინაც ზრუნავ მასზე !!!

რას ხედავთ სურათზე?

ეთანხმებით სიყვარულის ამგვარ ფორმულირებას? კიდევ რას დაამატებთ?

სიყვარულია ის, როცა ...

12. დღესასწაულები, ტრადიციები...





ზედა ფოტოზე ქრისტიანებმა ალყა შემოარტყეს მუსულმანებს, რომ მათ შეძლებოდათ ლოცვა არეულობების დროს ეგვიპტეში, ხოლო ქვედა ფოტოზე მუსულმანები იცავენ ქრისტიანებს ეგვიპტეში საშობაო წირვის დროს.

წაიკითხეთ ტექსტები.

1. ქრისტეს შობა

ქრისტეს შობა რომის იმპერიაში გამოცხადებულ ხალხის აღწერას დაემთხვა. ებრაელები თავიანთ წარმომავლობას შტოების და შთამომავლობის მიხედვით აწარმოებდნენ. ყოველი მათგანი იმ ქალაქებისკენ გაემართა, საიდანაც იყვნენ წარმომავლობით. **იოსები** და ქალწული **მარიამი გალილეაში,** ქალაქ **ნაზარეთში** ცხოვრობდნენ, მაგრამ, როგორც ცნობილია, წარმომავლობით **დავითის** შტოდან იყვნენ, ამიტომაც ისინი ჩასაწერად **ბეთლემში** გაემგზავრნენ. ბეთლემი **იერუსალიმთან** ახლოს, მის სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქია. ნაზარეთიდან ბეთლემამდე გზის გავლას სამ დღეზე ცოტა მეტი სჭირდებოდა. ბეთლემიდან აღმოსავლეთით იყო დავითის ჭა, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს გამოქვაბული. როცა იოსები და მარიამი ქალაქს მიუახლოვდნენ, მარიამს მშობიარობის დრო მოუწია. იოსებმა დასაბინავებელი ადგილის ძებნა დაიწყო, მაგრამ ვერ იპოვა, რადგან აღწერის გამო უამრავი ხალხი იყო ბეთლემში თავმოყრილი. ვინაიდან უკვე ღამდებოდა და მომავალი მესიის დედისთვის არ აღმოჩნდა ქალაქში ადგილი, იოსები და მარიამი იძულებულნი

გახდნენ ქალაქგარეთ, სწორედ იმ გამოქვაბულში შეეფარებინათ თავის, სადაც უამინდობისას მწყემსები თავიანთ ნახირს აბინავებდნენ.

იესო ქრისტე იშვა ღამით, როცა ბეთლემსა და მის შემოგარენში ყველას ღრმა ძილით ეძინა. შობის ღამეს, მთელ სამყაროში, დიადი სასწაულები მოხდა.

ყველაზე დიდი სასწაული ანგელოზების გამოცხადება იყო, რომლებიც მწყემსებს გამოეცხადნენ.

გამოქვაბულის მოპირდაპირედ, რომელშიც მაცხოვარი იშვა, მაღალი კოშკი იდგა. კოშკში **მწყემსები** ცხოვრობდნენ. სამ მათგანს იმ ღამეს არ ეძინა, ვინაიდან ფარას მწყემსავდნენ. სწორედ მათ გამოეცხადათ მთავარანგელოზი **გაბრიელი.** მის დანახვაზე მწყემსები ძალიან შეშინდნენ, მაგრამ გაბრიელმა უთხრა მათ: „ნუ გეშინიათ! მე გახარებთ თქვენ უდიდეს სიხარულზე, რომელიც იქნება ყოველი ადამიანისთვის: რამეთუ დავითის ქალაქში მხსნელი იშვა, რომელიც არის უფალი ქრისტე". ამ სიტყვებით მთავარანგელოზმა მესიის ჭეშმარიტ დანიშნულებაზე მიანიშნა, რომელიც არა მარტო ებრაელთათვის მოვიდა, არამედ ყველა ხალხისთვის, რამეთუ სიხარული იქნება ყველასათვის, ვინც მას მიიღებს, როგორც მხსნელს. გაბრიელმა ისიც უთხრა მწყემსებს, თუ სად იპოვიდნენ ახალშობილ ყრმას.

ერთმანეთში მოთათბირების შემდეგ, მწყემსებმა გადაწყვიტეს ახალშობილის დაბადების ადგილას მისულიყვნენ და ენახათ, მართალი იყო თუ არა, რაც მათ მთავარანგელოზმა უთხრა. მისულებმა ნახეს საქონლის ბაგაში მწოლარე ყრმა და ყველაფერი სწორედ ისე იყო, როგორც მათ ეუწყათ. მწყემსებმა ირწმუნეს, რომ ის იყო მესია, რომელსაც ამდენს ხანს ელოდნენ და რომ იგი მოვიდა, რათა იხსნას კაცობრიობა.

მათ ყველაფერი უამბეს წმინდა იოსებსა და ღვთისმშობელს.

http://xareba.net/534-qristeshoba-khorcielad-shoba-uflisa-ghmrthisa-da-mackhovrisa-chuenisa-iesu-qristesi-25-dekemberi-7-ianvari.html

2. აღდგომა საქართველოში

ქრისტიანთა უმთავრესი რელიგიური დღესასწაული — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა, მიუხედავად იმისა, რომ მოძრავია, ყოველთვის გაზაფხულს ემთხვევა. საქართველოში აღდგომა განსაკუთრებული ზარ-ზეიმით აღინიშნება.

ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის კარი. ამ დღეს ღამის 00:00 საათიდან საქართველოს ყველა ეკლესიაში საზეიმო წირვა-ლოცვა იწყება, რომელიც დილამდე გრძელდება. ქრისტიანები ერთმანეთს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღეს ულოცავენ სიტყვებით „ქრისტე აღდგა! — ჭეშმარიტად აღდგა!“ ამ დღეს ჩვენში ყველა ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იშლება და ყველა სახლის კარი ღიაა სტუმრისთვის. ადამიანები უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ მაცხოვრის აღდგომას. მომდევნო დღეს, ორშაბათს საქართველოში საფლავებზე გასვლა, გარდაცვლილების მოხსენიება და საფლავზე წითელი კვერცხების გადაგორებაა მიღებული.

როგორც ითქვა, ამ დღეს ყველა ოჯახში იშლება სადღესასწაულო სუფრა, რომელიც საქართველოში განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მწვანე ჯეჯილზე დალაგებული აუცილებელი წითელი კვერცხებისა და პასკის გარდა სუფრას ხორცისა და თევზისგან დამზადებული კერძები, სალათები, საწებლები, ხაჭაპურები, ლობიანები და უამრავი სხვა ნუგბარი

ამშვენებს. სიცოცხლის სადიდებელი ამ დღეს საქართველოში წითელი ღვინით ისმება — ესეც ქრისტეს სისხლის სიმბოლოდ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღდგომა სხვადასხვანაირად აღინიშნებოდა. ამ ტრადიციათაგან ბევრი დღემდეა შემორჩენილი.

https://sputnik-georgia.com/religion/20160430/231421701.html

წარმომავლობა = წარმოშობა
გაემართა = გაეშურა = წავიდა
დრო მოუწია = დრო მოუვიდა
თავმოყრილი = მოგროვებული
უამინდობა = ავდარი
სასწაული = საოცარი ამბავი
იშვა = გაჩნდა = დაიბადა
დანიშნულება = მისია
ჭეშმარიტი = ნამდვილი
მოთათბირება = მოლაპარაკება
მესია = მხსნელი
ეუწყა = ეცნობა
უფალი = ღმერთი
ირწმუნეს = დაიჯერეს

- **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** ქრისტე, შობა, დღესასწაული, აღდგომა, სუფრა, კვერცხი ჯეჯილი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

უპასუხეთ კითხვებს:

- **ვინ იყო იესო ქრისტეს დედა?**

_____

- **რას დაემთხვა იესოს დაბადება?**

_____

- **რატომ წავიდნენ მარიამი და იოსები ბეთლემში?**

_____

- **სად დაიბადა იესო?**

_____

- **როგორ გაიგეს მწყემსებმა იესოს დაბადების ამბავი?**

_____

- **როგორ ულოცავენ ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას?**

_____

- **სად მიდიან ქართველი ქრისტიანები აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს და რას აკეთებენ?**

_____

- **ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:**

გამარჯვების, სამოთხის, სიხარულით, სადღესასწაულო, საზეიმო, გარდაცვლილების, გადაგორებაა

ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის ..... კარი. ამ დღეს ღამის თორმეტი საათიდან საქართველოს ყველა ეკლესიაში ..... წირვა-ლოცვა იწყება, რომელიც დილამდე გრძელდება. ქრისტიანები ერთმანეთს სიცოცხლის სიკვდილზე ..... დღეს ულოცავენ სიტყვებით „ქრისტე აღდგა! — ჭეშმარიტად აღდგა!“ ამ დღეს ჩვენში ყველა ოჯახში ..... სუფრა იშლება და ყველა სახლის კარი ღიაა სტუმრისთვის. ადამიანები უდიდესი ..... აღნიშნავენ მაცხოვრის აღდგომას. მომდევნო დღეს, ორშაბათს საქართველოში საფლავებზე გასვლა, ... მოხსენიება და საფლავზე წითელი კვერცხების ..... მიღებული.

- **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. მკვდრეთით	სუფრა
ბ. ბრწყინვალე	ულოცავენ
გ. სამოთხის	დანიშნულება
დ. სადღესასწაულო	აღდგა
ე. ერთმანეთს	აღდგომა
ვ. ჭეშმარიტი	კარი

რატომ ჭამენ მარილიან კვერს სუბსარქისობაზე?

სუბსარქისობა ახალგაზრდების, შეყვარებულების დღესასწაულია. ხალხური ტრადიციით, ამ დღეს კვერებს ჭამენ და სიზმარში მომავალ საბედოსთან შეხვედრას ელიან. საიდან იღებს სათავეს ეს ჩვეულება? ამის შესახებ არმენოლოგი **ბონდო არველაძე** გვესაუბრება:

- ეს ახალგაზრდებისა და შეყვარებულების დღესასწაულია. სომხური რელიგიური დღესასწაული სუბსარქისობა, რომელიც 10-დან 15 თებერვლამდე გრძელდება, დღესაც პოპულარულია საქართველოში. მისი მთავარი ატრიბუტი მარილიანი კვერია. ხალხური ტრადიციით, ამ დღესასწაულის წინადღეს კვერის გარდა არაფერს ჭამენ, ღამით კი, მოწყურებულს, წყალს საბედო

აწვდის. ვინც დაგესიზმრება, მასზე დაინიშნები. მის შესახებ ცნობებს **იოსებ გრიშაშვილი** გვაწვდის: „თბილისში, ხარფუხში მდებარე სუბსარქისის ეკლესიის დღეობა თებერვალშია, გასათხოვარი ქალები მარხულობენ, მარილიან კვერს აცხობენ და ჭამენ, სიზმარში საბედო რომ ნახონ. თუ ვაჟმა ქალს თიხის ჯამით მიაწოდა წყალი, არ ვარგა, სიღარიბეში ეყოლება, ხოლო თუ ვერცხლის თასით, მაშინ ცოლს კარგად შეინახავს".

მას უკავშირდება სუბსარქისის ქარიც. თქმულების მიხედვით, სუბსარქისი გაბრაზებულია და ამიტომ ქრის ქარი. დღესასწაული შორეულ წარსულში იღებს სათავეს, სამეცნიერო ლიტერატურაშიც არსებობს ცნობები მის შესახებ და მის წარმოშობაზე დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა.

სუბსარქისობა წმინდა **სერგის, სარქისის** დღეობაა. სომხური ეკლესია ამ მარხვას წინასწარს უწოდებს, რადგან ის წინ უსწრებს დიდმარხვას.

ნინო კვიტაშვილი, ჟურნალი „გზა“

უპასუხეთ კითხვებს.

- **ვისი დღესასწაულია სუბსარქისობა?**

- **ვინ გვაწვდის სუბსარქისობის შესახებ ინფორმაციას?**

- **როდის არის სუბსარქისობა?**

- **რა არის სუბსარქისობის დღესასწაულის მთავარი ატრიბუტი?**

- **ტრადიციით, რისი გაგება შეიძლება მარილიანი კვერების ჭამით?**

- **რატომ ეწოდება სუბსარქისის მარხვას წინასწარი?**

- **სად არის ეს მასალა დაბეჭდილი?**

- **ვინ არის ამ მასალის ავტორი?**

წაიკითხეთ ტექსტები.

1. ყურბანბაირამი, მსხვერპლშეწირვის დღესასწაული

ყურბანბაირამს, ანუ მსხვერპლშეწირვის დღესასწაულს, მუსლიმისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც ქრისტიანისთვის აღდგომას.

მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია დასაბამს ცნობილ ბიბლიურ სიუჟეტში იღებს, რომელიც **აბრაამის** მიერ თავისი შვილის, **ისააკის** მსხვერპლად შეწირვის მცდელობაზე მოგვითხრობს. თუმცა პირველპატრიარქ აბრაამის ნაცვლად, **ყურანი** წინასწარმეტყველ **იბრაჰიმს** იხსენიებს. მას სამსხვერპლოზე უფროსი შვილი, **ისმაილი** მიჰყავს და არა ისააკი – რომელიც ყურანის მიხედვით, იბრაჰიმის მეორე შვილია. მუსლიმთა წმინდა წიგნი გვიამბობს, რომ იბრაჰიმს ძილში ანგელოზი **ჯაბრაილი** მოევლინა და **ალაჰის** სურვილი გადასცა. მას უზენაესისთვის საკუთარი პირმშო უნდა შეეწირა. იბრაჰიმი დამორჩილდა ღვთის ნებას, გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც დღეს **მექა** დგას და რიტუალის აღსასრულებლად სამზადისს შეუდგა. როდესაც ალაჰმა დაინახა, რომ იბრაჰიმი მზად იყო მსხვერპლად გაეღო ერთადერთი შვილი – კრავი მოავლინა და ისმაილის ნაცვლად სწორედ მისი შეწირვა მოსთხოვა წინასწარმეტყველს – ნიშნად იმისა, რომ იბრაჰიმმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

მუსლიმებს სწამთ, რომ ალაჰისადმი უზენაესი სიყვარულის გამოხატვის ნიშნად ამ დღეს ყოველმა მორწმუნემ უნდა შესწიროს შინაური ცხოველი. ღრმადმორწმუნე მუსლიმები დღესასწაულის დადგომამდე ათი დღით ადრე საკუთარი სურვილით მარხულობენ, დაწყებამდე სამი კვირა მხიარულებისგან თავს იკავებენ, ხოლო ერთი კვირით ადრე დღესასწაულის სამზადისს შეუდგებიან. მსხვერპლი უნდა შეიწიროს ლოცვის შემდეგ და არავითარ შემთხვევაში ლოცვამდე – რაც, მათი რწმენით, ცხადყოფს, რომ უპირველესად ალაჰს არა საკლავი, არამედ მუსლიმთა გულები სჭირდება.

დღესასწაულის სახელწოდებიდან გამომდინარე, ყურბანბაირამობის განსაკუთრებული რიტუალები სწორედ საკლავთან არის დაკავშირებული.

შეწირულ ცხოველს არ უნდა ჰქონდეს „დეფექტი", ანუ საჭიროა ჩლიქოსანი ცხოველი სრულიად ჯანმრთელი იყოს. ამასთან, დაწესებულია ასაკობრივი ზღვარიც. მაგალითად, ცხვარი ასაკით 6 თვეზე ნაკლების არ უნდა დაიკლას, თხისა და მსხვილრქიანი ცხოველების შემთხვევაში კი მინიმალური ასაკი ორი წელია.

მუსლიმური ტრადიცია ამბობს, რომ შესაწირის სისხლის მიწაზე დაცემასთან ერთად, მორწმუნეს ცოდვები მიეტევება.

დღესასწაულზე დაკლული ცხოველის ხორცი სამად ნაწილდება, ერთი ნაწილი გაჭირვებულებს ურიგდებათ, მეორე - მეზობლებს, განურჩევლად რწმენისა და აღმსარებლობისა, ხოლო მესამეს ოჯახში იტოვებენ.

http://www.tabula.ge/ge/story/56791-kurban-bairami-msxverplshetsirvis-dghesastsauli

2. ნოვრუზბაირამობა – აზერბაიჯანელების ახალი წელი

ნოვრუზბაირამობა ახალ დღეს ნიშნავს. ამ დღესასწაულს აზერბაიჯანელები ახალი წლის დღესასწაულად მიიჩნევენ და შესაბამისი წესით აღნიშნავენ. ნოვრუზბაირამობა დღისა და ღამის გათანასწორებას, ჰაერის გათბობას, თოვლის დნობის დაწყებას, ხეებზე ყლორტის გამოსვლას და დედამიწის გამოცოცხლებას ნიშნავს.

როგორც **ლამბალოს** სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა **შაჰინ ხეიხაბაროვმა** აღნიშნა, ნოვრუზ ბაირამობა მარტის დასაწყისში იწყება და მათთვის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულია.

– „ეს დღესასწაული ჩვენთან 19 მარტიდან იწყება და 4 დღე გრძელდება. ყველა კვირის დღეს

სხვადასხვა დატვირთვა აქვს. არის **მიწის** დღე, **წყლის** დღე, **ცეცხლის** ანუ **ნათების** დღე. ნოვრუზბაირამის დღესასწაულით ჩვენ გაზაფხულის დადგომას და ახალი ცხოვრების დაწყებას აღვნიშნავთ. გაზაფხული მოდის, მიწა იღვიძებს, ახალი ბალახი მოდის. ამ დროს ყველა ოჯახი ქეიფობს, ქალები სუფრას ამზადებენ, ნამცხვრებს აცხობენ. ნათესავები მოდიან და ჩვენც მივდივართ მათთან“, _ გვითხრა მან.

როგორც ამავე სკოლის აზერბაიჯანული ენის ფილოლოგმა **ელმირა ახუნდოვამ** გვითხრა, ამ დღეებში ყველა ერთმანეთს ბარაქას და სიკეთეს უსურვებს. აუცილებლად ყველა ოჯახში უნდა იყოს მწვანე ჯეჯილი, ასევე იღებება წითელი კვერცხები.

-„ამ დღეებში ოჯახში ვაცხობთ ნამცხვრებს, ვაკეთებთ ფახლავას და ფლავს. იღებება კვერცხები, რომლებსაც ჯეჯილში ვალაგებთ. ყველა ერთმანეთთან მივდივართ სტუმრად და თან ტკბილეულიც მიგვაქვს. ამ პერიოდში ოჯახში ჩხუბი და ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლება. კიდევ ასეთი წესი გვაქვს, 19-ში ვინმეს ოჯახს უნდა ესტუმრო. სანამ კარებთან მიხვალ, ყურებზე ხელი უნდა აიფარო, ახლოს მისვლისას კი ჩამოიღო და რა სიტყვასაც პირველად გაიგებ, ის დაგეკვეებება. სტუმრად ცარიელი არ უნდა წახვიდე, აუცილებლად სიტკბო უნდა მიიტანო“, _ გვითხრა მან.

როგორც **ლამბალოს** მკვიდრმა **ჯაბირ მამედოვმა** გვითხრა, ნოვრუზბაირამობის დღესასწაული წინაპრებიდან მოსდევთ, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია.

-„ეს ტრადიცია ჩვენ წინაპრებიდან მოგვდევს. დღესასწაულზე მამაკაცები და ქალები ცალკ-ცალკე მოიყრიან ხოლმე თავს და ერთმანეთს ულოცავენ. ცხვება ტკბილეული, იშლება სუფრა და ყველა ზეიმობს. ამ დღეებში საჭიროდ თვლიან იმ წელს გარდაცვლილთა ოჯახები მოინახულონ. ამ დღეს მწუხარება ცოდვად ითვლება. ვინც ცოტა შეძლებულია, შაქარს, ბრინჯს, კვერცხს და სხვადასხვა საჭმელს გაჭირვებულ ოჯახებს უნაწილებენ და ავადმყოფებსაც მოინახულებენ ხოლმე“.

როგორც **კაზლარის** მკვიდრმა **მახმად მამედოვმა** გვითხრა, ამ დღეებში ხალხი მარტო ქეიფობს და არ მუშაობს.

-„ნოვრუზბაირამობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იგივე ახალი წელია. ის 19-დან იწყება და 22-24-მდე გრძელდება. ამ დროს სახლში ბატკანს ვკლავთ, ვქეიფობთ, სტუმრად მივდივართ და ჩვენთანაც მოდიან. ვისაც საშუალება არ აქვს, ოჯახში მივდივართ და ხორცი მიგვაქვს. თუ ვინმეს ახლობელს ოჯახში ახალი პატარძალი ჰყავს, საჩუქარი მიგვაქვს. ამ დროს 4-5 დღე ჩვენთან სულ დღესასწაულია და არ ვმუშაობთ“.

ნოვრუზ ბაირამი საქართველოში მცხოვრები ერთნიკური აზერბაიჯანელების ეროვნული დღესასწაულია. ის წარმოუდგენელია მხიარული და საზეიმო მუსიკის გარეშე.

მარინა ბეროშვილი

https://sputnik-georgia.com/religion/20160430/231421701.html

ბაირამი = დღესასწაული
ნება = სურვილი
პირმშო = პირველი შვილი
აღსრულება = შესრულება
მსხვერპლი = შესაწირი
წინაპრებიდან მოსდევთ = წინაპრებიდან მოდის
უზენაესი = ღმერთი
ცოდვები მიეტევება = ცოდვები ეპატიება
გაჭირვებული = ღარიბი
სამზადისი = მზადება
მინიმალური = ყველაზე ნაკლები
თავს იკავებს = უარს ამბობს (რამეზე)
დაგეკვებება = დაგებედება

- **შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:** ყურბანბაირამი, ხორცი, დღესასწაული, ლოცვა, რიტუალი, ოჯახი, ნოვრუზბაირამი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

უპასუხეთ კითხვებს:

- **როდის არის ყურბან ბაირამი?**

  _____

- **როდის იწყება ნოვრუზბაირამი?**

  _____

- **საიდან მოდის მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია?**

  _____

- **რას აკეთებენ ყურბანბაირამის დროს?**

  _____
  _____
  _____

- **რას აკეთებენ ნოვრუზბაირამის დროს?**

  _____
  _____
  _____

- *ჩამოთვალეთ:*
  ტექსტების მიხედვით რა არის საერთო ქრისტიანული და მუსულმანური დღესასწაულების აღნიშვნას შორის?

- **რა არის განსხვავებული?**

- **ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:**

სახელწოდებიდან, მხიარულებისგან, საკლავთან, უპირველესად, დადგომამდე, ლოცვის

მუსლიმები დღესასწაულის ..... ათი დღით ადრე საკუთარი სურვილით მარხულობენ, დაწყებამდე სამი კვირა ..... თავს იკავებენ, ხოლო ერთი კვირით ადრე დღესასწაულის სამზადისს შეუდგებიან. მსხვერპლი უნდა შეიწიროს ..... შემდეგ და არავითარ შემთხვევაში ლოცვამდე – რაც, მათი რწმენით, ცხადყოფს, რომ ..... ალაჰს არა საკლავი, არამედ მუსლიმთა გულები სჭირდება. დღესასწაულის ..... გამომდინარე, ყურბანბაირამობის განსაკუთრებული რიტუალები სწორედ ..... არის დაკავშირებული.

- **დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:**

ა. დასაბამს	შეწირვა
ბ. მსხვერპლად	ნება
გ. ღვთის	დადგომა
დ. თავს	შეუდგა
ე. სამზადისს	იკავებს
ვ. გაზაფხულის	იღებს

საახალწლო ტრადიციები

ახალი წელი მსოფლიოს ყველა კუთხეში მოდის, მაგრამ მას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ხვდებიან, ზოგან - საკმაოდ უცნაურადაც კი...

	ყურძნის 12 მარცვალი	ესპანელების აზრით, თუ ახალი წლის ღამეს ყურძნის 12 მარცვალს შეჭამ, მომავალი წელი ბედნიერებას მოგიტანს.
	ყველაფერი, რაც მრგვალია	ფილიპინელები ფიქრობენ, რომ ახალ წელს სუფრაზე ყველაფერი მრგვალი უნდა იდოს. ხილი, ბოსტნეული, ტკბილეული და ა.შ ის, რაც ფორმით მონეტას წააგავს, კეთილდღეობისა და ბევრი ფულის მომტანია.
	108 ზარი	იაპონელების აზრით, ახალ წელს 108-ჯერ ზარის ჩამოკვრა ცხოვრებას უარყოფითი ენერგიისაგან გაწმენდს, რაც მათ სადღესასწაულო განწყობაზე დადებითად იმოქმედებს.
	ჩხუბის ფესტივალი	პერუში ახალ წელს მეგობრები ხელჩართულ ბრძოლაში ებმებიან, ხოლო ამის შემდეგ ახალი ფურცლიდან იწყებენ ცხოვრებას და სამუდამოდ ივიწყებენ ძველ წყენას.
	მონეტის სროლა მდინარეში	რუმინელები მონეტებს ყრიან მდინარეში, რამაც დამდეგ წელს ბევრი ფული უნდა მოუტანოთ.

	წყლიანი ჭიქების ფანჯრიდან გადაყრა	პუერტო-რიკოში ბოროტი სულებისა და ნეგატიური აურისაგან თავის დასაღწევად წყლიან ჭიქებს ყრიან ფანჯრიდან.
	ნუ დაივიწყებთ ძროხებს!	ბელგიაში არც ერთ ფერმერს არ ავიწყდება, რომ ძროხებს ბედნიერი ახალი წელი უსურვოს.
	მონეტა ნამცხვარში	იმ იღბლიან ბოლივიელს, რომელიც საგანგებოდ მომზადებულ ნამცხვარში მონეტას აღმოაჩენს, წარმატებული წელი ექნება.
	ბლინები	ფრანგები აფასებენ გემრიელ საჭმელს, ამიტომ ახალ წელს ისინი ყველაზე ტკბილ საახალწლო ბლინებს მიირთმევენ.
	**ჩემოდნები**	კოლუმბიელებს ყველაზე მეტად ახალი შეგრძნებები უყვართ. მათ სჯერათ, რომ თუ ახალი წლის დადგომამდე მთელი დღე ახლოს ექნებათ საკუთარი ჩემოდანი, მომავალ წელს მოგზაურობასა და გართობაში გაატარებენ.
	ახტი ყველაზე მაღლა	დანიელები ცდილობენ, რაც შეიძლება მაღლა ახტნენ, რომ იღბლიანი წელი ჰქონდეთ.

	წუწაობა	ტაილანდში ადამიანები ერთმანეთს წყლით „ბომბავენ“.
	**ცხოველებთან საუბარი**	ბელგიელი კოლეგების მსგავსად, რუმინელი ფერმერებიც ცდილობენ, ახალ წელს აუცილებლად ჰქონდეთ ურთიერთობა ფერმის ბინადრებთან. მათი აზრით, ეს ბედნიერი მომავალი წლის საწინდარია.
	ტაფები და ქვაბები	დასტაცეთ ხელი ლითონის ჭურჭელს სამზარეულოში, გამოდით გარეთ და იხმაურეთ შუაღამისას, თუ გსურთ, რომ ავსტრალიურად შეხვდეთ ახალ წელს.
	ჭამეთ რაც შეიძლება მეტი!	ესტონელები ახალ წელს დღეში 7-ჯერ მიირთმევენ საჭმელს, რაც მომავალ წელს მათ ბარაქას მოუტანს.
	მეკვლე	საქართველოშიც დიდი სიხარულით ეგებებიან ახალი წლის დადგომას. დღესასაწაულს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად აღვნიშნავთ, მივირთმევთ გემრიელ საჭმელებს და საჩუქრებით ვახარებთ ერთმანეთს. ყველაზე გავრცელებული საახალწლო ტრადიცია კი მეკვლეა. ეს არის ადამიანი, რომელიც ყურადღებით უნდა შეარჩიო, რადგან სწორედ მისი ფეხის შემობიჯება წყვეტს, როგორი წელი ექნება ოჯახს.

https://on.ge/story-ს მიხედვით

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები**

I. ახალ წელს ძროხებს ულოცავენ:
- ვიეტნამში
- პერუში
- პანამაში
- ბელგიაში

II. რაც შეიძლება მაღლა ხტებიან:
- ესპანეთში
- ვიეტნამში
- პოლონეთში
- დანიაში

III. ზარებს რეკავენ:
- საფრანგეთში
- დანიაში
- ავსტრალიაში
- იაპონიაში

IV. შვიდჯერ ჭამენ საჭმელს:
- ესპანეთში
- პუერტო-რიკოში
- ჩინეთში
- ესტონეთში

V. ნამცხვარში მონეტას დებენ:
- ბოლივიაში
- კოლუმბიაში
- რუმინეთში
- პერუში

VI. ყურძნის 12 მარცვალს მიირთმევენ:
- ესპანეთში
- კოლუმბიაში
- ავსტრალიაში
- სირიაში

VII. მეგობრები ჩხუბობენ:
- ვიეტნამში
- პერუში
- დანიაში
- ირანში

VIII. ჩემოდნებით ხვდებიან ახალ წელს:
- კოლუმბიაში
- ინგლისში
- ჩილეში
- პერუში

IX. მეკვლე საახალწლო ტრადიციაა:
- გერმანიაში
- დანიაში
- საქართველოში
- სინგაპურში

X. შუაღამისას ლითონის ჭურჭლით ხმაურობენ:
- ეგვიპტეში
- ავსტრალიაში
- სირიაში
- ირანში

XI. ცხოველებს ესაუბრებიან:
- რუმინეთში
- უკრაინაში
- ესტონეთში
- ლატვიაში

XII. წყალს ასხამენ ერთმანეთს:
- ჩინეთში
- ტაილანდში
- ამერიკაში
- კორეაში

XIII. ბლინებს ჭამენ:
- ესტონეთში
- ნორვეგიაში
- საფრანგეთში
- რუმინეთში

XIV. წყლიან ჭიქებს ყრიან ფანჯრიდან:
- ბელგიაში
- ესპანეთში
- პუერტო-რიკოში
- საფრანგეთში

XV. ყველაფერს მრგვალს დებენ სუფრაზე:
- ესტონელები
- ინგლისელები
- ფილიპინელები
- ფრანგები

XVI. მონეტებს ყრიან მდინარეში:
- ესპანეთში
- დანიაში
- ბელგიაში
- რუმინეთში

❖ *დაწერეთ, როგორ ხვდებიან ახალ წელს თქვენს ოჯახში?*

სარეკომენდაციო/დამხმარე ლექსიკა და ფრაზები: ახალი წელი, ნაძვის ხე, სათამაშოები, ნაძვის ხის მორთვა, პატარები, თოვლის პაპა/ბაბუა, თოვლი/თოვს, ყინვა/ყინავს, ღუმელი/ბუხარი, სითბო/თბილა, ამინდი, მეკვლე, მილოცვა/ულოცავს, საჩუქრები, ტრადიცია/ტრადიციული, წეს-ჩვეულებები, სამზადისი, სუფრა, ბაზარი, საჭმელები/კერძები, სასმელები, სამზარეულო, ტრიალებს, დედა, მამა, ბებია, ბაბუა, დახმარება/ეხმარება, იმედიანი/ოპტიმისტური განწყობა, ხალისი, მხიარულება, ტელევიზორი/სატელევიზიო გადაცემები, კონცერტები, სტუმარი, მასპინძელი, სტუმრად წასვლა, სტუმრების მოსვლა, ნათესავები, დაპატიჟება, სადღეგრძელო, თამადა, სასმისი...

მსოფლიოს
სასაცილო და უცნაური ტრადიციები

1.

ცოლ-ქმარი ზოგჯერ ყველაზე ბედნიერ ოჯახებშიც კი კამათობს. ასეთ დროს, როგორც წესი, ქალების უმრავლესობა დედასთან მიდის. კუნძულ ალაუზე თუ უთანხმოება ცოლის ბრალია, მაინც ქმარს სჯიან. გაქცეული ცოლის დასაბრუნებლად მან ფული უნდა გადაიხადოს. ფულის გადახდაზე უარის თქმას აზრი არ აქვს, რადგან ცოლი გაყრას მოსთხოვს და ამ შემთხვევაში ისევ მან უნდა გადაიხადოს ფული.

ამ კუნძულზე მამაკაცები დისკრიმინაციას განიცდიან, მათ განსაკუთრებულად მკაცრად სჯიან. თუ ცოლს უღალატა და დანაშაულის ადგილზე წაასწრეს, ცოლს ღალატის გამოსასყიდი უნდა გადაუხადოს, თუ ქალი უღალატებს ქმარს, მას ამისათვის არაფრის გადახდა არ მოუწევს.

2.

ინდოეთის ქალაქ ლადარქსში თითოეულ ქალს სამი-ოთხი ქმარი ჰყავს. ისინი სამეურნეო საქმეებს ასრულებენ. საკმარისია, ცოლს რაიმე არ მოეწონოს და ნებისმიერს ადგილობრივ მონასტერში გაამწესებს.

დღემდე სუმატრის ტყეებში არსებობენ ტომები, სადაც ყველაფერს ქალი მართავს. ქმრები მათი ნამდვილი მონები არიან. ისინი ცალკე, მშობლებთან ცხოვრობენ და ქალებს მთლიანად ემორჩილებიან. მათ ქალთან თვეში ერთხელ, მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მისვლა, როდესაც ცოლი ინებებს და დაუძახებს.

3.

წყნარი ოკეანის ერთ კუნძულზე სანქსენგიტების ტომი ცხოვრობს. როდესაც ოჯახში კონფლიქტი ხდება, ცოლები ქმრებს ჯოხით ან წვრილი ქამრებით სცემენ. ამ დროს ქმარი თავის დაცვას არ უნდა შეეცადოს და არც ხელი უნდა შეუბრუნოს. სანქსენგიტების აზრით, თავზე ლაფდასხმულად ითვლება მამაკაცი, რომელიც ცოლს თუნდაც თავის დასაცავად დაარტყამს. მან ღირსეულად უნდა აიტანოს ტკივილები.

4.

ბრაზილიის ჯუნგლებში ორი ტომი ცხოვრობს, რომლებიც მხოლოდ ქალებისა და ბავშვებისგან შედგება. ქმრები ოჯახიდან განდევნილები არიან და სოფლიდან საკმაოდ შორს ცხოვრობენ. მათ ცოლების მონახულება წელიწადში ერთხელ, თებერვალში შეუძლიათ და მათთან მხოლოდ ორი კვირა რჩებიან.

5.

ესპანეთის ქალაქ სარაგოსაში 1227 წლიდან აღნიშნავენ უცნაურ დღესასწაულს. ამ დღეს ქალები ქუჩაში მსვლელობებს აწყობენ და მამაკაცის ფიტულებს წვავენ, მამაკაცები კი სახლში სხედან, ბავშვებს უვლიან, კერძებს ამზადებენ და სხვა საოჯახო საქმეებს აგვარებენ. ცოლები მათ მხოლოდ გვიან ღამით აძლევენ ლუდხანაში წასვლის უფლებას.

ეს უჩვეულო დღესასწაული მეფე ალფონსომ მას შემდეგ დააწესა, რაც ქალებმა ციხესიმაგრის დაბრუნებისას უჩვეულო სიმამაცე გამოიჩინეს. ეს ციხესიმაგრე დამპრობლებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული. მამაკაცების საქციელი, რბილად რომ ვთქვათ, არავაჟკაცური იყო. ისინი ალყის დროს ქალების ზურგს უკან იმალებოდნენ.

6.

ცენტრალურ აფრიკაში, ბახუტის ტომის ახალდაქორწინებულებმა პირველი კვირის განმავლობაში ყოველი დილა ერთმანეთის ცემით უნდა დაიწყონ. საღამოს კი წყვილი დასაძინებლად მშობლებთან მიდის, დილით კი ისევ სახლში ბრუნდებიან და ერთმანეთის ცემას განაგრძობენ. კვირის ბოლოს წყვილი ხვდება, რომ ერთმანეთზე წყენა აღარ აქვთ და მშვიდობიან ცხოვრებას იწყებენ.

7.

სხვადასხვა სულელური ტრადიციის მქონე ქვეყნებს შორის, ჩინეთი ღირსეულ ადგილს იკავებს. ქორწილი, რასაკვირველია, ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. ჩინელები მისთვის 1 თვით ადრე ქვითინით ემზადებიან. პატარძალმა დღეში 1 საათი უნდა იტიროს, მასთან ერთად მისი მდედრობითი სქესის ოჯახის წევრებიც ტირიან.

მეორე ჩინურ პროვინციაში კი სიძე საცოლის „მოკვლას“ ცდილობს - ის მას 3 უწვერო ისარს ესვრის, შემდეგ მათ ამტვრევს იმის ნიშნად, რომ ბედნიერი ცხოვრება ელოდებათ.

8.

ინდოეთში წარსულში ადამიანები ხეებზე ქორწინდებოდნენ. ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. ტრადიციისამებრ, უმცროს ვაჟს, სანამ მისი უფროსი ძმა არ დაქორწინდება, ცოლის შერთვა არ შეუძლია, ამიტომ, ამ შემთხვევაში, უფროსს ხეზე აქორწინებენ, რომელსაც შემდგომ ჭრიან და მამაკაცი ქვრივად ითვლება.

ზოგიერთ პროვინციაში, სანამ სიძე საკურთხეველთან მივა, ფეხსაცმელი უნდა გაიხადოს, პატარძლის ნათესავებმა კი ეს ფეხსაცმელი ოსტატურად უნდა მოიპარონ, ფეხსაცმელს სიძის ნათესავები თავგამოდებით იცავენ. თუ მათი მოპარვა მაინც მოხერხდება, სიძემ გამოსასყიდი უნდა გადაიხადოს.

9.

სტატისტიკის მიხედვით, ყოველწლიურად აშშ-ში 850 ათასი ამერიკელი ტოვებს ცოლს. ისინი უგზო-უკვლოდ იკარგებიან. ყოველი ასიდან ორ შემთხვევაში მიზეზი სხვა ქალია. დანარჩენ შემთხვევაში მამაკაცებს დამოუკიდებლობა ენატრებათ და ცხოვრების თავიდან დაწყება სურთ. ნიუ-იორკის პოლიციის მონაცემებით, ყოველწლიურად მხოლოდ ამ ქალაქში 17 ათასი განცხადება შეაქვთ ქალებს, რომლებიც გამქრალ ქმრებს ეძებენ.

დაასათაურეთ თითოეული ტექსტი.

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____
7. _____
8. _____
9. _____

❖ **შემოხაზეთ სწორი პასუხები**

I. ცოლი არ ისჯება ღალატის გამო:
- კუნძულ ჰაიტიზე
- კუნძულ სიცილიაზე
- კუნძულ ალაუზე
- კუნძულ მადაგასკარზე

II. წელიწადში ასიათასობით ქმარი იკარგება:
- ესპანეთში
- აშშ-ში
- პოლონეთში
- დანიაში

III. დილას ცემა-ტყეპით იწყებენ:
- აფრიკულ ტომში
- ბრაზილიურ ტომში
- ავსტრალიურ ტომში
- მექსიკურ ტომში

IV. გათხოვებამდე დღეში 1 საათი ტირიან:
- ესპანელი ქალები
- ჩინელი ქალები
- ინდოელი ქალები
- ესტონელი ქალები

V. სასიძოს ფეხსაცმლის მოპარვას ცდილობენ:
- ბოლივიაში
- კოლუმბიაში
- ესპანეთში
- ინდოეთში

VI. საცოლის „მოკვლას“ ცდილობენ:
- ესპანეთში
- ჩინეთში
- ავსტრალიაში
- ინდოეთში

VII. მამაკაცებს 1 დღე ჩაგრავენ:
- ესპანეთში
- პერუში
- დანიაში
- იტალიაში

VIII. განდევნილი ქმრები არიან:
- ბრაზილიის ჯუნგლებში
- ინდოეთის ჯუნგლებში
- აფრიკის ჯუნგლებში
- პერუს ჯუნგლებში

IX. ცოლები ქმრებს სცემენ:
- სანქსენგიტების ტომში
- მაორების ტომში
- ვანუატუს ტომში
- მუსტანგის ტომში

X. ქალს რამდენიმე ქმარი ჰყავს:
- ეგვიპტის ქალაქში
- ავსტრალიის ქალაქში
- ინდოეთის ქალაქში
- ირანის ქალაქში

XI. ქმარი ყოველთვის დამნაშავეა:
- კუნძულ შრი-ლანკაზე
- კუნძულ ტასმანიაზე
- კუნძულ ალაუზე
- კუნძულ კიუსიუზე

XII. ხეებზე ქორწინდებიან:
- ვიეტნამში
- ტაილანდში
- ინდოეთში
- კორეაში

13. განცხადებები, კონკურსები, საქმის ტექსტები...

- **გასაუბრება – დიალოგი:**

- ***კონკურსი მარნეულის მე- 2 საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე; 12. 06. 2012 წელი. სამშაბათი.***

_ გამარჯობა.
_ გაგიმარჯოთ.
_ რა გქვიათ?
_ ასმარი.
_ რა გვარი ხართ?
_ ალიევა.
_ მოკლედ მოგვიყევით თქვენ შესახებ.
_ დავიბადე 1982 წლის 11 ივნისს მარნეულში. 2005 წელს დავამთავრე პედაგოგიური უნივერსიტეტი. ვარ აზერბაიჯანელი. ვიცი აზერბაიჯანული და ქართული. ვაპირებ ინგლისურის სწავლას. მყავს მეუღლე და ორი შვილი. მეუღლე სტომატოლოგია.
_ მოგვიყევით თქვენი სამუშაო გამოცდილების შესახებ.
_ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დავიწყე მუშაობა მარნეულის რაიონის სოფელ ალგეთის # 4 საჯარო სკოლაში, შემდეგ ორი წელი ვმუშაობდი მარნეულის # 3 საჯარო სკოლაში. ამის შემდეგ ოჯახური პირობების გამო ერთი წელი ვერ ვიმუშავე. მაქვს როგორც დაწყებით, ისე მაღალ კლასებში მუშაობის გამოცდილება. გავიარე არაერთი ტრენინგი. ვარ კომუნიკაბელური ადამიანი. მიყვარს მხატვრული ლიტერატურა.
_ გასაგებია. გმადლობთ. პასუხს ზეგ შეგატყობინებთ.
_ ნახვამდის!
_ კარგად ბრძანდებოდეთ!

- ***წაიკითხეთ და შემოხაზეთ სწორი პასუხები:***

I. **რომელია ასმარის მშობლიური ენა?**
(1) ინგლისური
(2) აზერბაიჯანული
(3) ქართული
(4) ფრანგული

II. **რამდენი ენა იცის ასმარმა?**
(1) სამი
(2) ოთხი
(3) ერთი
(4) ორი

III. **როდის არის ასმარის დაბადების დღე?**
(1) ზამთარში
(2) გაზაფხულზე
(3) ზაფხულში
(4) შემოდგომაზე

IV. **ასმარის ქმარი არის:**
(1) ყელ-ყურის ექიმი
(2) კბილის ექიმი
(3) თვალის ექიმი
(4) გულის ექიმი

V. **რომელ თვეში ტარდება გასაუბრება?**
(1) მაისში
(2) ივნისში
(3) აგვისტოში
(4) სექტემბერში

VI. **როდის გაიგებს ასმარი გასაუბრების პასუხს?**
(1) 14 ივნისს
(2) 11 მაისს
(3) 13 ივლისს
(4) 17 აპრილს

VII. **სად ტარდება გასაუბრება?**
(1) მარნეულის მეორე საჯარო სკოლაში
(2) მარნეულის მესამე საჯარო სკოლაში
(3) მარნეულის მეექვსე საჯარო სკოლაში
(4) მარნეულის მეოთხე საჯარო სკოლაში

❖ ***დიალოგის მიხედვით შეავსეთ ასმარის ანკეტა.***

ვინაობა	ასმარი
რომელი ენები იცის?	
რომელი ენის სწავლას აპირებს?	
რომელი უნივერსიტეტი დაამთავრა?	
სად სურს მუშაობა?	
რა უყვარს?	

- **გაარკვიეთ, ქვემოთ მოცემული ინფორმაციიდან რომელია სწორი და რომელი არასწორი. მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პლუსით /+/ ან მინუსით /-/ და პასუხის დასადასტურებლად მოიყვანეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილი.**

ინფორმაცია	**სწორია**	**არასწორია**
ასმარი არის ოცდაცხრა წლის		
ასმარს ორ სკოლაში აქვს ნამუშევარი		
ასმარი უნივერსიტეტის სტუდენტია		
ასმარს გავლილი აქვს ბევრი ტრენინგი		
ასმარი ხუთშაბათს გაიგებს გასაუბრების პასუხს		
ასმარს არ უჭირს ადამიანებთან ურთიერთობა		
ასმარს უყვარს წიგნების კითხვა		
ასმარი ორი შვილის დედაა		

2.

- **ვაკანსია - დიალოგი**

თბილისი. 2012.25.06. ოთხშაბათი, 20.30.

- ალო, სუსანა, შენა ხარ?
- ჰო, მე ვარ, მეგობარო. როგორა ხარ, გაიანე?
- კარგად. შენ როგორა ხარ?
- გმადლობ, არა მიშავს.
- სამსახური იშოვე?
- ვერა, ჯერჯერობით უმუშევარი ვარ.
- სწორედ მაგის გამო გირეკავ. შენთვის საინტერესო განცხადება ვნახე გაზეთში.
- რა ვაკანსიაა?
- დაწყებითი სწავლების გამოცდილი პედაგოგი სჭირდებათ.
- რომელ სკოლაში?
- თემქაზეა კერძო სკოლა, მეცხრე კვარტალში, 12 ნომერში.
- რამდენი საათი იქნება სამუშაო?
- კვირაში 18 საათი.
- სავარაუდო ხელფასიც წერია?
- ეგეც წერია: 200-300 ლარია სავარაუდო ხელფასი.
- მგონი, ცუდი სამსახური არ უნდა იყოს. როდის არის განაცხადის შეტანის ბოლო ვადა?
- 2012 წლის 27 ივნისს.
- მუშაობა ალბათ სექტემბერში დაიწყება, არა?
- დიახ, 15 სექტემბერს.
- ჩემი მონაცემები ელექტრონულად უნდა გავაგზავნო?
- დიახ. ინტერნეტით უნდა გააგზავნო.
- ელექტრონული მისამართი ხომ არ იცი?
- კი, აგერ წერია: skola.co@gmail.com
- ძალიან დიდი მადლობა ყურადღებისთვის. ხვალვე გავაგზავნი მონაცემებს.
- აბა, შენ იცი. კარგად იყავი.
- ნახვამდის, ჩემო კარგო.

❖ ***წაიკითხეთ და შემოხაზეთ სწორი პასუხები:***

I. **ვინ არის უმუშევარი?**

(1) სუსანა
(2) გაიანე
(3) სუსანას მეგობარი
(4) სუსანას მეზობელი

II. **სად მუშაობს სუსანა?**

(1) ბანკში
(2) სკოლაში
(3) საბავშვო ბაღში
(4) არსად

III. **რისი მასწავლებელი სჭირდებათ სკოლაში?**

(1) ბუნების
(2) მათემატიკის
(3) დაწყებითი კლასების
(4) ქართული ენის

IV. **რამდენი საათია სამუშაო?**

(1) კვირაში თორმეტი საათი
(2) კვირაში თვრამეტი საათი
(3) თვეში რვა საათი
(4) დღეში რვა საათი

V. **რომელ საათზე დაურეკა გაიანემ სუსანას?**

(1) დილის ცხრის ნახევარზე
(2) საღამოს ცხრის ნახევარზე
(3) საღამოს შვიდის ნახევარზე
(4) საღამოს რვის ნახევარზე

VI. **როდის შეიტანს სუსანა განცხადებას?**

(1) ხუთშაბათს
(2) სამშაბათს
(3) ოთხშაბათს
(4) ორშაბათს

VII. **რამდენი იქნება თვიური ანაზღაურება?**

(1) ორას ლარზე მეტი
(2) ორას ლარზე ნაკლები
(3) სამას ლარზე მეტი
(4) ორასიდან სამას ლარამდე

VIII. **განცხადების შეტანის ბოლო ვადა არის:**

(1) ორ დღეში
(2) სამ დღეში
(3) ხუთ დღეში
(4) ოთხ დღეში

IX. **რომელ კვარტალშია თემქის სკოლა?**

(1) მე-8
(2) მე-9
(3) მე-3
(4) მე-5

X. **როდის იწყება მუშაობა?**

(1) შემოდგომის მეორე თვეში
(2) შემოდგომის პირველ თვეში
(3) გაზაფხულის მესამე თვეში
(4) ზამთრის მეორე თვეში

- **გაარკვიეთ, ქვემოთ მოცემული ინფორმაციიდან რომელია სწორი და რომელი არასწორი. მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პლუსით /+/ ან მინუსით /-/ და პასუხის დასადასტურებლად ზეპირად მოიყვანეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილი.**

ინფორმაცია	**სწორია**	**არასწორია**
გაიანემ დაურეკა სუსანას		
სუსანამ დაურეკა გაიანეს		
სუსანა გამოცდილი მასწავლებელია		
სუსანამ ტელეფონით უნდა გააკეთოს განაცხადი		
სუსანა და გაიანე მეგობრები არიან		
გაიანე ყურადღებიანი ადამიანია		

წაიკითხეთ მასწავლებელთა სატრენინგო კურსის პროგრამა.

სატრენინგო კურსის პროგრამა, თბილისი, 2012 (9-11 სექტემბერი, ოთხშაბათი-პარასკევი)

	9 სექტემბერი	10 სექტემბერი	11 სექტემბერი
9.00 10.00	• რეგისტრაცია • სესია თემაზე - სწავლების ახალი მიდგომები	• სესია თემაზე - კულტურათა დიალოგი	• დასკვნითი შემაჯამებელი სესია
11.30	შესვენება	შესვენება	შესვენება
12.00	• სესია თემაზე - ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	• ქართულის გაკვეთილებზე დასწრება (54-ე სომხურენოვანი საჯარო სკოლა და 64-ე აზერბაიჯანულენოვანი საჯარო სკოლა)	• ექსკურსია მცხეთაში
14.00	სადილი სასტუმროში	სადილი რესტორან „ძველ თბილისში“	
16.00	• კომპიუტერული კლასის მონახულება მე-12 რუსულენოვან საჯარო სკოლაში	• შეხვედრა ქართული ენის მასწავლებლებთან და პრობლემებზე საუბარი	
18.00 20.00 23.00	• თავისუფალი დრო	• სპექტაკლზე დასწრება	• ვახშამი სასტუმროში • გამგზავრება

❖ *შემოხაზეთ სწორი პასუხები:*

I. **როდის მიდიან ტრენინგის მონაწილეები ორმოცდამეთოთხმეტე საჯარო სკოლაში?**
(1) ხუთშაბათს
(2) ორშაბათს
(3) პარასკევს
(4) სამშაბათს

II. **რომელ საათზეა დაგეგმილი ვახშამი სასტუმროში?**
(1) 11 სექტემბერს, ცხრა საათზე
(2) 10 სექტემბერს, რვა საათზე
(3) 11 სექტემბერს, დილის რვა საათზე
(4) 11 სექტემბერს, საღამოს რვა საათზე

III. **რომელ საათზე იწყება შესვენება?**
(1) თორმეტის ნახევარზე
(2) თერთმეტის ნახევარზე
(3) პირველის ნახევარზე
(4) თორმეტის ოც წუთზე

IV. **რომელი სესიის თემაა „კულტურათა დიალოგი“?**
(1) ათი სექტემბრის ათსაათიანი სესიის
(2) ცხრა სექტემბრის ათსაათიანი სესიის
(3) ათი სექტემბრის თორმეტსაათიანი სესიის
(4) თერთმეტი სექტემბრის ათსაათიანი სესიის

V. **როდის მიდიან ტრენინგის მონაწილეები საქართველოს ისტორიულ დედაქალაქში?**
(1) თორმეტში თორმეტ საათზე
(2) ცხრაში თორმეტ საათზე
(3) თერთმეტში თორმეტ საათზე
(4) ცხრაში თორმეტ საათზე

VI. **რომელი საათიდან აქვთ ტრენინგის მონაწილეებს თავისუფალი დრო?**
(1) შვიდი საათიდან
(2) დილის ექვსი საათიდან
(3) საღამოს ექვსი საათიდან
(4) საღამოს რვა საათიდან

VII. **როდის სადილობენ ტრენინგის მონაწილეები რესტორანში?**
(1) ათში ექვს საათზე
(2) ათში ორ საათზე
(3) ცხრაში რვა საათზე
(4) ათში ოთხ საათზე

VIII. **რომელ დღეს მიდიან ტრენინგის მონაწილეები თეატრში?**
(1) სამშაბათს
(2) ხუთშაბათს
(3) პარასკევს
(4) ოხშაბათს

IX. **ვინ არის ტრენინგების ორგანიზატორი?**
(1) განათლების სამინისტრო
(2) პედაგოგთა ასოციაცია
(3) მასწავლებელთა კავშირი
(4) არ ჩანს

➢ განცხადებების კოლაჟი.

I.

განცხადება 1.

შუახევის მესამე საჯარო სკოლას სჭირდება ცეკვის მასწავლებელი დაწყებით კლასებში. სამუშაო საათები: 3 სთ/კვირაში. სავარაუდო ხელფასი: 70-80 ლარი/თვეში. საკვალიფიკაციო მოთხოვნა: ქორეოგრაფი - პედაგოგიური განათლება. განაცხადი მიიღება სკოლის დირექტორის სახელზე. განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 31 აგვისტო.

5 თებერვალი, 2012წ.

განცხადება 2.

კერძო სკოლა „ფესვები“ აცხადებს კონკურსს მუსიკის მასწავლებლის ვაკანსიაზე. სამუშაო საათები: 18 სთ/კვირაში. სავარაუდო ხელფასი: 250-300 ლარი/თვეში.

მისამართი: თბილისი, გლდანი, IX მიკრორაიონი, მესამე კვარტალი.

ტელეფონი: 558230223; 579035377

განაცხადის შეტანის წესი: განცხადება დირექტორის სახელზე. შეიძლება დარეკვაც.

16 მაისი, 2012წ.

განცხადება 3.

რუსთავის მე-7 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს დაწყებითი კლასების პედაგოგის ვაკანსიაზე (კლასი: 1-4).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: გვესაჭიროება სერტიფიცირებული პედაგოგი მაგისტრის ხარისხით.

სავარაუდო ანაზღაურება: 376-390 ლარი/თვეში

განაცხადის შეტანის წესი: CV (რეზიუმე) შესაძლებელია წარმოადგინოთ როგორც პირადად, ასევე იმეილზე გადმოგზავნით. სამუშაო საათებია : 9 -დან 16 საათამდე.

ვაკანსიების რაოდენობა: 1

გამოქვეყნების თარიღი: 16.05. 2012წ.

ბოლო ვადა: 30 ივნისი, 2012წ.

მისამართი: ქ. რუსთავი მაჩაბელის N3

ტელეფონი: 0351 250371

ელფოსტა: rust7@gmail.com

❖ *შემოხაზეთ სწორი პასუხები:*

I. **რომელ სკოლას სჭირდება ქორეოგრაფი?**
(1) რუსთავის
(2) თბილისის
(3) შუახევის

II. **რომელ სკოლას სჭირდება დაწყებითი კლასების პედაგოგი?**
(1) თბილისის
(2) რუსთავის
(3) შუახევის

III. **რომელ სკოლას სჭირდება მუსიკის მასწავლებელი?**
(1) შუახევის მესამე საჯარო სკოლას
(2) თბილისის კერძო სკოლა „ფესვებს“
(3) რუსთავის მეშვიდე საჯარო სკოლას

IV. **რომელი სკოლა სთავაზობს მასწავლებელს ანაზღაურებას დაახლოებით ოთხას ლარს თვეში?**
(1) რუსთავის მეშვიდე საჯარო სკოლა
(2) თბილისის
(3) შუახევის

V. **რომელი სკოლა სთავაზობს მასწავლებელს ანაზღაურებას სამას ლარამდე თვეში?**
(1) რუსთავის მეშვიდე საჯარო სკოლა
(2) თბილისის კერძო სკოლა
(3) შუახევის საჯარო სკოლა

VI. **რომელი სკოლა ითხოვს ავტობიოგრაფიას?**
(1) რუსთავის მეშვიდე საჯარო სკოლა
(2) თბილისის
(3) შუახევის

VII. **რომელი სკოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნაა მაგისტრის ხარისხი?**
(1) რუსთავის მეშვიდე საჯარო სკოლა
(2) თბილისის
(3) შუახევის

VIII. **რომელ განცხადებაშია მითითებული ელექტრონული მისამართი?**
(1) პირველ
(2) მეორე
(3) მესამე
(4) სამივე

IX. **რომელ განცხადებაში არ არის მითითებული განაცხადის მიღების ბოლო თარიღი?**
(1) პირველ
(2) მეორე
(3) მესამე
(4) არცერთ

X. **რომელ განცხადებაში არ არის მითითებული ტელეფონის ნომერი?**
(1) პირველ
(2) მეორე
(3) მესამე
(4) არცერთ

XI. **რომელ განცხადებაშია მითითებული ტელეფონის ორი ნომერი?**
(1) პირველ
(2) მეორე

(3) მესამე
(4) სამივე

XII. **რის პედაგოგს სთავაზობენ ყველაზე მეტ ანაზღაურებას?**
(1) სიმღერის
(2) ცეკვის
(3) დაწყებითი კლასების

XIII. **რის მასწავლებელს სთავაზობენ ყველაზე ნაკლებ ანაზღაურებას?**
(1) ცეკვის
(2) დაწყებითი კლასების
(3) სიმღერის

XIV. **რომელი სკოლის სამუშაო საათებია დილის ცხრიდან საღამოს ოთხამდე?**
(1) რუსთავის სკოლის
(2) თბილისის სკოლის
(3) შუახევის სკოლის

XV. **რომელ სკოლას აქვს მითითებული ვაკანსიების რაოდენობა?**
(1) სამივეს
(2) შუახევის სკოლას
(3) თბილისის სკოლას
(4) რუსთავის სკოლას

❖ **გაარკვიეთ, ქვემოთ მოცემული ინფორმაციიდან რომელია სწორი და რომელი არასწორი. მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პლუსით /+/ ან მინუსით /-/ და პასუხის დასადასტურებლად ზეპირადმოიყვანეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილი.**

ინფორმაცია	**სწორია**	**არასწორია**
კერძო სკოლა „ფესვები“ მდებარეობს დედაქალაქში		
ცეკვის მასწავლებლის ვაკანსიაზე განაცხადი მიიღება ზაფხულის ბოლო დღის ჩათვლით		
მუსიკის მასწავლებელმა ყოველდღე უნდა ჩაატაროს გაკვეთილები		
შუახევის საჯარო სკოლაში განაცხადის წარსადგენად აუცილებელია მისვლა		
კერძო სკოლაში განაცხადის გაკეთება შეიძლება ტელეფონზე დარეკვითაც		
რუსთავის საჯარო სკოლა მუსიკის მასწავლებელს თვეში ოთხას ლარს გადაუხდის		
რუსთავის სკოლამ განცხადება ივნისში გამოაქვეყნა		
სამივე სკოლაში მითითებულია სწავლის დაწყების თარიღი		
დაწყებითი კლასების პედაგოგს უნდა ჰქონდეს სერტიფიკატი		

II.

განცხადება # 1.

10:20 13.03.2009

აქსესუარების მაღაზია „მოტივი“ აცხადებს ვაკანსიას გამყიდველ-კონსულტანტის თანამდებობაზე. თუ შენ ხარ 18-25 წლის ახალგაზრდა, გიყვარს ელექტრონული მუსიკა, გამოგზავნე შენი ავტობიოგრაფია შენივე ფოტოსურათით იმეილზე info@motiv.ge აუცილებელი კრიტერიუმები:

- ელექტრონული მუსიკის ცოდნა;
- ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნა.

განცხადება # 2.

16:00. 23.03.2006

კომპანია „დელტას“ ესაჭიროება მამაკაცი სამშენებლო მასალების მომმარაგებლად. უნდა საუბრობდეს ინგლისურად, ჰქონდეს მართვის მოწმობა და სამშენებლო ინდუსტრიაში მუშაობის გამოცდილება.

ტ. 5 55 109404

განცხადება # 3.

ვიმუშავებ ნებისმიერ მარკეტში ან ტანსაცმლის მაღაზიაში კონსულტანტად ან გამყიდველად, ვარ 30 წლის, სასიამოვნო გარეგნობის. ტელ: 555737532

განცხადების თარიღი: **18/01/06** შენახვის ვადა: **02/02/06**-მდე

განცხადება # 4.

16/01/2006

ინტერნეტკლუბი „ულტიმა“ აცხადებს კონკურსს ოპერატორის ვაკანტურ ადგილზე მხოლოდ ვაჟებისთვის.

პირობები: მორიგეობა ყოველ მესამე დღეს. დღიური ხელფასი 15 ლარი.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას პრ.№11 მეტრო სამედიცინო ინსტიტუტთან.

საკონტაქტო პირი: თეა. ტ. 37-29-24 . 577 75-05-08 .

განცხადება # 5.

ვარ ახალგაზრდა ქალბატონი. მყავს ოჯახი, ვცხოვრობ თბილისში. განათლება _ უმაღლესი. ბრწყინვალედ ვფლობ ქართულ და რუსულ ენებს. ვეძებ სამსახურს რესტორანში, ბარმენად. ამ სფეროში მაქვს 6 წლის სტაჟი.

ლალი

ტ. 598 222132

❖ *შემოხაზეთ სწორი პასუხები:*

I. **რომელ განცხადებაშია მითითებული ანაზღაურება?**
(1) მესამე
(2) მეოთხე
(3) მეორე
(4) მეხუთე

II. **რომელ განცხადებებში მოითხოვენ უცხო ენის ცოდნას?**
(1) მეოთხესა და მეხუთეში
(2) მესამესა და მეოთხეში
(3) პირველსა და მეორეში
(4) მესამესა და მეხუთეში

III. **რომელი განცხადების პირობაა მუშაობა სამ დღეში ერთხელ?**
(1) მეორე
(2) პირველი
(3) მესამე
(4) მეხუთე

IV. **რომელი განცხადებაა დათარიღებული ახალი წლის პირველი დღით?**
(1) მეოთხე
(2) მეორე
(3) მესამე
(4) მეხუთე

V. **რომელი განცხადებაშია მითითებული კომპანიის მისამართი?**
(1) პირველ
(2) მეორე
(3) მეოთხე
(4) მეხუთე

VI. **რომელი განცხადებაა დაუთარიღებელი?**
(1) მესამე
(2) მეხუთე
(3) მეორე
(4) პირველი

VII. **რომელი განცხადების ავტორი ეძებს ბარმენის სამსახურს?**
(1) მესამე
(2) მეოთხე
(3) მეხუთე
(4) მეორე

VIII. **რომელი განცხადებაა ინტერნეტში განთავსებული ოთხ საათზე?**
(1) პირველი
(2) მეორე
(3) მესამე
(4) მეოთხე

IX. **რომელ განცხადებას არ ჰყავს ავტორი?**
(1) მესამეს
(2) მეორეს
(3) პირველს
(4) მეხუთეს

X. **რომელი განცხადების ავტორები აწყობენ კონკურსს მხოლოდ მამაკაცებისთვის?**
(1) მეორე
(2) მეოთხე
(3) მესამე
(4) მეხუთე

XI. **რომელ განცხადებაშია მითითებული ავტორის ასაკი?**
(1) მესამე
(2) მეხუთე
(3) მეორე
(4) მეოთხე

XII. **რომელ განცხადებაშია მითითებული ავტორის საცხოვრებელი ადგილი?**
(1) მეხუთე
(2) მეორე
(3) მესამე
(4) მეოთხე

XIII. **რომელ განცხადებაშია დაწესებული ვაკანსიაზე კანდიდატის ასაკობრივი ზღვარი?**
(1) მეორე
(2) პირველ
(3) მესამე
(4) მეოთხე

XIV. **რომელ განცხადებაშია მითითებული ელექტრონული მისამართი?**
(1) მეორე
(2) პირველ
(3) მესამე
(4) მეოთხე

XV. **რომელ განცხადებაშია აქცენტი გაკეთებული გარეგნობაზე?**
(1) მესამე
(2) მეხუთე
(3) პირველ
(4) მეოთხე

XVI. **როგორ იცის მეხუთე განცხადების ავტორმა ქართული და რუსული?**
(1) კარგად
(2) ძალიან კარგად
(3) საშუალოდ
(4) ცუდად

- **ავტობიოგრაფია**

მე ვარ თეა ნონიკაშვილი, დავიბადე 1978 წელს გორში, 1984 წელს სწავლა დავიწყე გიორგი ერისთვის სახელობის ხიდისთვის საჯარო სკოლაში, 1994 წელს ჩავირიცხე გორის სამედიცინო სასწავლებელში მედდის საქმის სპეციალობით, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1997 წელს სწავლა გავაგრძელე ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ბიოლოგია-ქიმიის სპეციალობით, რომელიც ასევე წარჩინებით დავამთავრე 2002 წელს, 1999 წლიდან დღემდე ვმუშაობ ხიდისთავის საჯარო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად. 2011 წელს ჩავაბარე სასერტიფიკაციო გამოცდები და ვარ ბიოლოგიის სერტიფიცირებული მასწავლებელი. ვარ ინოვაციურ მასწავლებელთა ფორუმის გამარჯვებული, სადაც დავიკავე მე-3 ადგილი.

- **გადაიყვანეთ ტექსტი მესამე პირში.**

- **დაწერეთ თქვენი ავტობიოგრაფია.**

✓ **პროფესიული ავტობიოგრაფია (CV)**

მერაბ დანელია

დაბ.: 1962 წლის 29 თებერვალი.
მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის პლატო, V მკრ, მე-10 კორპ., ბ. 22.
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: 2-39-52-29; 595-52-54-22
ელექტრონული ფოსტა mdanelia@gmail.com

განათლება, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი

	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი
1	1986-1989	ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა		ფილ. მეცნ. დოქტორი
2	1980-1985	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგი	

სამუშაო გამოცდილება

	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტის/განყოფილების დასახელება	ორგანიზაციის დასახელება
1	2011-დან დღემდე	პროფესორი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	2004-დან დღემდე	ექსპერტი	-	ენის მოდელირების ასოციაცია
3	1988-2001	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	ქართველურ ენათა განყოფილება	ენათმეცნიერების ინსტიტუტი
4	1992-1995	რედაქტორი	გაზეთი „დროება“	შპს გაზეთი „დროება“
5	1990-1997	დოცენტი	ქართული ენის კათედრა	სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი
6	2001-2004	სამმართველოს უფროსი	ინფორმაციისა და ანალიტიკის სამმართველო	საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა

სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა - 62

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია
2012-	პროექტის ხელმძღვანელი	ლაზურისა და მეგრულის შეპირისპირებითი გრამატიკა	ეროვნული სამეცნიერო ფონდი
2011 წ. 1 მაისი - 2011 წ. 30	მასწავლებელთა ტრენერი	ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების	საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ივნისი		პროგრამა	
2006-2008	ექსპერტი	„ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“	ფონდი „ფოლკსვაგენი“
2005 წ:	მასწავლებელთა ტრენერი; მონიტორინგის ჯგუფის წევრი;	ენის კურსები საჯარო მოხელეთათვის	ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისია
2002	წიგნის ავტორი	ქართული ენის თვითმასწავლებელი აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისათვის	ფონდი “ღია საზოგადოება საქართველო”

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: მაიკროსოფტ ოფისი

ენების ცოდნა:

	ენის დასახელება	ლექსიკონით	საშუალოდ	კარგად	თავისუფლად
1	ქართული ენა				+
2	რუსული ენა			+	
3	ინგლისური ენა			+	
4	გერმანული ენა	+			

ჰობი: მოგზაურობა

❖ ***შემოხაზეთ სწორი პასუხები:***

I. **სად მუშაობს ამჟამად მერაბ დანელია?**

(1) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ენის მოდელირების ასოციაციაში
(2) გაზეთ „დროებაში“
(3) პედაგოგიურ ინსტიტუტში
(4) საქ. ენის სახელმწიფო პალატაში

II. **რომელ მიკრორაიონში ცხოვრობს მერაბ დანელია?**

(1) მესამე
(2) მეოთხე
(3) მეხუთე
(4) მეშვიდე

III. **რამდენი ენა იცის მერაბ დანელიამ კარგად?**

(1) ორი
(2) სამი
(3) ერთი
(4) ოთხი

IV. რომელი ენა იცის მერაბ დანელიამ საშუალოდ?

(1) ქართული
(2) ინგლისური
(3) გერმანული
(4) რუსული

V. რომელი პროექტის დამფინანსებელია კომპანია ფონდი „ფოლკსვაგენი“?

(1) „ლაზურისა და მეგრულის შეპირისპირებითი გრამატიკა“
(2) „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“
(3) ქართული ენის თვითმასწავლებელი აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისათვის
(4) ენის კურსები საჯარო მოხელეთათვის

VI. რამდენ პროექტში აქვს მონაწილება მიღებული მერაბ დანელიას?

(1) ხუთ
(2) სამ
(3) ორ
(4) ოთხ

VII. რომელ წელს დაფინანსდა პროექტი „ენის კურსები საჯარო მოხელეთათვის“?

(1) ორი ათას შვიდ წელს
(2) ორი ათას ხუთ წელს
(3) ორი ათას თხუთმეტ წელს
(4) ორი ათას ორ წელს

VIII. რამდენწლიანია პროექტი „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“?

(1) ორწლიანი
(2) სამწლიანი
(3) ერთლიანი
(4) ხუთწლიანი

IX. სად მუშაობდა მერაბ დანელია 2003 წელს?

(1) საქ. ენის სახელმწიფო პალატაში
(2) საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში
(3) ენათმეცნიერების ინსტიტუტში
(4) ენის მოდელირების ასოციაციაში

X. რომელ პროექტზე მუშაობს ამჟამად მერაბ დანელია?

(1) „ლაზურისა და მეგრულის შეპირისპირებითი გრამატიკა“
(2) „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“
(3) „ენის კურსები საჯარო მოხელეთათვის“
(4) „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“

XI. რომელი ენა იცის ყველაზე კარგად მერაბ დანელიამ?

(1) რუსული
(2) ქართული
(3) ინგლისური
(4) გერმანული

XII. რას საქმიანობდა მერაბ დანელია ორი ათას თერთმეტი წლის პირველი მაისიდან ორი ათას თერთმეტი წლის წლის ოცდაათ ივნისამდე?

(1) აბარებდა გამოცდებს
(2) ატარებდა გამოცდებს
(3) ატარებდა ტრენინგებს
(4) მღეროდა გუნდში

XIII. რომელ პროექტშია მერაბ დანელია ექსპერტის როლში?

(1) „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“
(2) „ლაზურისა და მეგრულის შეპირისპირებითი გრამატიკა“
(3) „ენის კურსები საჯარო მოხელეთათვის“
(4) ქართული ენის თვითმასწავლებელი აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისათვის

XIV. რა არის მერაბ დანელიას გატაცება?

(1) ცურვა
(2) ხატვა
(3) მოგზაურობა
(4) მგზავრობა

XV. რამდენი ნაშრომის ავტორია მერაბ დანელია?

(1) სამოცდათორმეტი
(2) ორმოცდათორმეტი
(3) სამოცდაორი
(4) ოცდაორი

➢ სარეკლამო განცხადებები

ტურისტული სააგენტოები

- **„გზა“**

სააგენტო „გზა“ გთავაზობთ ტურებს ისტორიული და მითიური საქართველოს თემატიკით.

ისტორიული საქართველო _ მარშრუტი გთავაზობთ მოგზაურობას საქართველოში, რომელიც იწყება დედაქალაქის, თბილისის დათვალიერებით. შემდეგ მოგზაურობა გრძელდება კახეთსა და საქართველოს მთიან რეგიონებში. შესაძლებლობა გექნებათ დაათვალიეროთ საქართველოს გული _ ქართლი, რომელიც მდიდარია ისტორიული ძეგლებით, აგრეთვე კოლხეთი, ოქროს საწმისის მხარე და დაასრულოთ თქვენი მოგზაურობა შავი ზღვის სანაპიროზე, ქალაქ ბათუმში.

„მითიური საქართველო“ _ გთავაზობთ მოგზაურობას საქართველოს მთიან რეგიონებში: სვანეთში, თუშეთსა თუ ხევსურეთში, სადაც საშუალება მოგეცემათ დაათვალიეროთ 1600-დან – 2500 მეტრის სიმაღლეზე მდებარე სოფლები არაჩვეულებრივი პეიზაჟებით, ეთნოგრაფიული მუზეუმები. მოგზაურობაში შედის თბილისის, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ძველი დედაქალაქის – ქუთაისის დათვალიერება, აღმოსავლეთ საქართველოს ყოფილი დედაქალაქისა და მევენახეობისა და მეღვინეობის ცენტრის, თელავის ნახვა.

- **„ბილიკი“**

„ბილიკი“ გთავაზობთ საქართველოში ტურების საუკეთესო არჩევანს, რომელშიც შედის ტრანსპორტი, დაბინავება, დახვედრა, გიდი და ინსტრუქტორი, სასტუმროს დაჯავშნა, აღჭურვილობა, დაზღვევა, ფოტომომსახურება, კვება, გასართობი პროგრამები...

„ბილიკი“ გთავაზობთ ტურებსა და ექსკურსიებს საქართველოს ყველა კუთხეში, შეგიძლიათ შეარჩიოთ კულტურული, სათავგადასავლო და სხვა ტიპის ტურები.

- **„მოგზაური“**

„მოგზაური“ გთავაზობთ ტურებს აჭარაში, გუდაურში, ბაკურიანში, ექსკურსიებს თბილისის გარშემო. „მოგზაური“ დაგიგეგმავთ და ორგანიზებას გაუწევს თქვენს დასვენებას.

- **„მეგზური“**

კომპანია „მეგზური“ გთავაზობთ მოგზაურობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კომპანიის მომსახურების ფარგლებში შეგიძლიათ თქვენთვის სასურველი ნებისმიერი ტიპის მოგზაურობა აირჩიოთ.

- **„გიდი“**

კომპანია „გიდი“ გთავაზობთ ტურებს საქართველოს მასშტაბით როგორც კერძო პირებს, ისე ტურისტულ ჯგუფებს.

„გიდი“ სრულ მომსახურებას გთავაზობთ, რომელიც მაქსიმალურ კომფორტსა და სიამოვნებას მოგანიჭებთ.

- **შემოხაზეთ სწორი ვარიანტები**

❖ *რომელი კომპანია გვთავაზობს:*

I. **მოგზაურობას კახეთსა და საქართველოს მთიან რეგიონებში:**
(1) „გზა“
(2) „ბილიკი“
(3) „მოგზაური“
(4) „მეგზური“

II. **ტურს აჭარაში:**
(1) „ბილიკი“
(2) „მოგზაური“
(3) „მეგზური“
(4) „გიდი“

III. **ფოტომომსახურებას:**
(1) „გზა“
(2) „ბილიკი“
(3) „მეგზური“
(4) „გიდი“

IV. **ტურებს როგორც კერძო პირებს, ისე ტურისტულ ჯგუფებს:**
(1) „მოგზაური“
(2) „ბილიკი“
(3) „მეგზური“
(4) „გიდი

V. **1600-დან – 2500 მეტრის სიმაღლეზე მდებარე სოფლების დათვალიერებას:**
(1) „მოგზაური“
(2) „ბილიკი“
(3) „მეგზური“
(4) „გზა“

VI. **ტურებს ისტორიული და მითიური საქართველოს თემატიკით:**
(1) „ბილიკი“
(2) „მოგზაური“
(3) „გზა“
(4) „გიდი“

VII. **ექსკურსიებს თბილისის გარშემო:**
(1) „მეგზური“
(2) „მოგზაური“
(3) „გზა“
(4) „გიდი“

VIII. **მოგზაურობას შავი ზღვის სანაპირობე:**
(1) „ბილიკი“
(2) „მოგზაური“
(3) „გზა“
(4) „გიდი“

IX. **ტურების საუკეთესო არჩევანს:**
(1) „გიდი“
(2) „ბილიკი“
(3) „მოგზაური“
(4) „მეგზური“

X. **სათავგადასავლო ტურებს:**
(1) „მეგზური“
(2) „მოგზაური“
(3) „ბილიკი“
(4) „გიდი“

XI. **ტურს გუდაურში:**
(1) „მეგზური“
(2) „მოგზაური“
(3) „გზა“
(4) „გიდი“

XII. **მაქსიმალურ კომფორტს:**
(1) „მეგზური“
(2) „გზა“
(3) „გიდი“
(4) „ბილიკი“

XIII. **რომელია ოქროს საწმისის მხარე?**
(1) ხევსურეთი
(2) კახეთი
(3) რაჭა
(4) კოლხეთი

XIV. **რომელი კომპანიის სერვისში შედის დაზღვევა?**
(1) „მეგზურის“
(2) „ბილიკის“
(3) „მოგზაურის“
(4) „გიდის“

XV. **სად შეგვიძლია დავათვალიეროთ ეთნოგრაფიული მუზეუმები?**
(1) სვანეთში, თუშეთსა თუ ხევსურეთში
(2) იმერეთსა და ლეჩხუმში
(3) ფშავში
(4) ქართლსა და მთიულეთში

XVI. **რომელია დასავლეთ საქართველოს ძველი დედაქალაქი?**
(1) ახმეტა
(2) ზუგდიდი
(3) ბათუმი
(4) ქუთაისი

XVII. **რომელია მევენახეობისა და მეღვინეობის ცენტრი?**
(1) გორი
(2) სოხუმი
(3) ცხინვალი
(4) თელავი

XVIII. **რომელია საქართველოს გული?**
(1) თუშეთი
(2) გურია
(3) ქართლი
(4) სამეგრელო

❖ **დაწერეთ თემა: ექსკურსიაზე/ლაშქრობაზე...**